852/2 ... 11793

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | სამშაბათი, 14 დეკემბერი 1993 № 27 (74) | ფასი 1800 კუპონი


2 ერმან თეროღლუ: არველაძე სუპერმოთამაშეა!

3 ომარ თეთრაძე: მოღალატე არა ვარ

4 „მილანი" და „ბარსელონა" ლიდერობენ
საფეხბურთო ევროტურნირები

5 შტიხმა გერმანიას გაამარჯვებინა
ფრეიზერი გადადგა


რედაქციისაგან: ადვილად მისახვედრი მიზეზების გამო „სარბიელის" წინა გამოშვებიდან ორ კვირაზე მეტი გამოხდა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენებურსა თუ უცხოურ სპორტში იმდენი მნიშვნელოვანი რამ მოხდა, რომ გაზეთის ამ გამოშვებაში მოსათავსებელი ინფორმაციის ასარჩევად საგანგებო კრიტერიუმების მოხმობა მოგვიხდა. რაკილა სპორტული გაზეთი ერთდროულად მემატიანე, განმსჯელი და მაცნეცაა, ამიტომ ნუ დაგვძრახავთ, თუ ზოგი ამბავი მოძველებული მოგეჩვენებათ — მათი უხსენებლობა, უბრალოდ, არ ეგებოდა. რაც შეეხება „სარბიელის" გამოშვების სამომავლო განრიგს, შემდეგ ნომრებს სავარაუდოდ 21 და 28 დეკემბრისთვის უნდა ელოდეთ — თუ, რაღა თქმა უნდა, უდენობამ, უქაღალდობამ, უკილიტობამ, უსაღებავობამ და მისთანებმა ისევ არ დაგვადუმეს.



გია ახალაძის ფოტო

**თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა ვაჟ ხელბურთელთა მეოთხე ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის პირველი ტურის შეხვედრები. ასპარეზობაში მონაწილე რვა გუნდი ორ ქვეჯგუფად დაიყო. პირველში შევიდნენ საქართველოს ჩემპიონი „შევარდენი-სტუ", „ამირანი-2", „ორბი-სტუ" და „სამტრედია", მეორეში — „ამირანი", „მამული", „მართვე" და გორის „იბერია". 16-19 დეკემბერს სპორტის სასახლეშივე მოეწყობა მეორე ტური და გამოვლინდება ექვსეული, რომელიც მარტიდან ოთხ წრედ გააგრძელებს ბრძოლას პირველობისათვის. რომ იტყვიან, „ჩიტი ბრდღვნად" ნამდვილად ღირს — ჩემპიონატის ოთხი საუკეთესო გუნდი გაისად ევროტურნირებში იასპარეზებს.**

## დეკემბრის სუსხის მიუხედავად...

ასპარეზობა გაიხსნა წინა პირველობის ვერცხლის პრიზიორის „ამირანისა" და ჯემალ ცერცვაძის სახელობის ოლიმპიური რეზერვის ხელბურთის სპორტსკოლის გუნდის „მართვეს" შეხვედრით. სამწუხაროდ, დეკემბრის სუსხი უზარმაზარ სპორტის სასახლეშიც ისევე იგრძნობა, როგორც გარეთ. ამის გამო, ყოველდღე ოთხ მატჩზე დასწრება უძნელესი საქმეა. და მაინც, ტურნირი საინტერესოდ მიმდინარეობდა და ცოტაოდენი მაყურებელიც კი ესწრებოდა. „ამირანი" და „მართვე" განსხვავებული ძალის გუნდებია და ჩემპიონატში მიზნებიც სხვადასხვა აქვთ. „ამირანი" პირველობისათვის აპირებს ბრძოლას, მართვეები კი უფრო მოკრძალებულ შედეგს უმიზნებენ - ოთხეულში მოხვედრას. თუმცა, ჭაბუკი ხელბურთელების სადღეისოდ უმთავრესი ამოცანაა სათამაშო პრაქტიკისა და გამოცდილების შეძენა. „მართვეს", რომელიც ფაქტობრივად საქართველოს ნაკრებია, პრაქტიკულად ამ შემადგენლობით მოუწევს ზაფხულში თანატოლთა ევროპული პირველობის შესარჩევ ჯგუფში პოლანდიისა და რუმინეთის გუნდებთან თამაში. ეროვნული ჩემპიონატი კი მათთვის თამაშის დონის ამაღლების ერთადერთი საშუალებაა. ბუნებრივია, ჯერ „ამირანთან", მერე კი „მამულთან" მატჩებში „მართვე" ვერაფერს გახდა და დიდი სხვაობითაც დამარცხდა. მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ბოლო შეხვედრა ექვსეულში გასასვლელად თავის ძირითად კონკურენტთან გორის „იბერიასთან", რომელიც სხვადასხვა მიზეზთა გამო მართალია, ლამის განახევრებული შემადგენლობით ესტუმრა თბილისს, მაგრამ მიუხედავად ამისა, 9 მოთამაშითაც ფიცხელი ბრძოლა გაუჩაღა სრულშემადგენლობიან მეტოქეს.

იხილეთ მეხუთე გვერდი



ნინო ხურციძე

დაიბადა 1975 წლის 28 სექტემბერს თბილისში. თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი. მსოფლიოს ჩემპიონი 20 წლამდე გოგონათა შორის

## მსოფლიოს ჩემპიონი და დიდოსტატი

ინდოეთში, კალკუტაში დამთავრდა მსოფლიო პირველობა 20 წლამდე ასაკის გოგონათა შორის, სადაც გაიმარჯვა თბილისელმა ნინო ხურციძემ. მან დაუმარცხებლად განვლო შეჯიბრება და 13-დან 8,5 ქულით I ადგილი დაიკავა. ფიდე-ს ახალი დადგენილებით მას საერთაშორისო დიდოსტატობა მიენიჭა.

ნინო ორჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი (1989, 1993 წწ.), მსოფლიო ჩემპიონი 16 წლის გოგონათა შორის (1991 წ.). მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი 18 წლის გოგონათა შორის (1992 წ.) და ევროპის ჩემპიონი 20 წლამდე ასაკის გოგონათა შორის (1993 წ.). ოსტატის წოდება ნინომ მოიპოვა 1989 წელს, საერთაშორისო ოსტატისა — 1993 წელს. მისი მწვრთნელია ბიძამისი ელგუჯა ფხაკაძე

## კახი ცხადაძე საქართველოს ნაკრებში ითამაშებს!

ადრე გაცნობეთ, რომ რუსეთის ნაკრების ხელმძღვანელობა კახი ცხადაძის გადაბირებას ცდილობს. ესპანეთის „დეპორტივოსთან" მატჩის წინ ჩვენ დავუკავშირდით კახის და ვთხოვეთ ამ ინფორმაციისთვის კომენტარი გაეკეთებინა. „ეჭვი ნურავის ექნება, რომ მე მხოლოდდამხოლოდ საქართველოს ნაკრებში ვითამაშებ" — გვითხრა კახიმ და განაგრძო: „რა თქმა უნდა, სადღაც გული მწყდება — მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი ხომ ალბათ აღარ მექნება. მაგრამ მე ქართველი ვარ და სხვაგვარად ვერ მოვიქცევი".

კახიმ ისიც გვაცნობა, რომ მურთაზ შელია უკვე თამაშობს მეორე ბუნდესლიგის „ზაარბრიუკენში", რომელიც მესამე ადგილზეა და ბუნდესლიგაში გადმოსვლის კარგი პერსპექტივა აქვს. ბოლო მატჩი „ზაარბრიუკენმა" 4:1 მოიგო და მურთაზმა ამერიკელ ვინალდასთან ერთად უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

როგორც გერმანიიდან ჟურნალისტმა დავით კაკაბაძემ შეგვატყობინა, გასულ კვირას „ზაარბრიუკენში" ვარჯიში დაიწყო საქართველოს 1992-93 სეზონის საუკეთესო ფეხბურთელმა გიორგი ქინქლაძემ, რომელიც თბილისის „დინამომ" ამ კლუბს მაისამდე ათხოვა. გერმანული პრესა აღფრთოვანებით შეხვდა ქინქლაძის ჩასვლას. „კიკერის" სიტყვებით „ეს ის ფეხბურთელია, რომელშიც 3 მილიონ დოლარს თვით „ბარსელონა" იხდიდა.

## კალათბურთელებმა მეორე წრე დაიწყეს

ვერის ბაღის საკალათბურთო სასახლეში I ჯგუფის გუნდებმა 7 თამაში გამართეს. **10 დეკემბერი:** „კაქტუსი" — „ჯიქი" 95:65, „ვითა" — „შევარდენი" 85:38; **11 დეკემბერი:** „კაქტუსი" — „შევარდენი" 73:48, „ვითა" — „მერანი" 81:60; **12 დეკემბერი:** „კაქტუსი" — „მერანი" 89:55, „ჯიქი" — „შევარდენი" 50:76; **13 დეკემბერი:** „ჯიქი" — „მერანი" 51:70, „ვითა" — „კაქტუსი" ამ უკანასკნელის იტალიაში გამგზავრების გამო გადაიდო. დღეს თამაშობენ: „მერანი" — „შევარდენი", „ვითა" — „ჯიქი", ხვალ კი მეორე წრეს დანარჩენი ხუთი გუნდი დაიწყებს.

ამ ტურის შედეგებს ვრცლად შემდეგ ნომერში მიმოვიხილავთ, დღეს კი მე-7 გვერდზე პირველი წრის ერთობლივი ტურის შედეგებს გაეცნობით.

## ვინიცობაა ვერ შესძლონ...

(ოთხ), 8.XII. ვაკე. 80 მაყურებელი

**ვესტა 18 (8) — შევარდენი 3 (3)**

ვესტა: ქავთარაშვილი; ბუგიანიშვილი, ჩხენკელი, მარჯანიშვილი, ნ. ხვედელიძე; ჩავლეიშვილი, იოვაძე; გაგნიძე, ჩიქოვანი, დაუშვილი; წეველიძე, ობოლაძე, ხუადე, კობახიძე (კახიანი, 59); გ. გიუნაშვილი. — 2ლ: ობოლაძე (30), იოვაძე (75); გ: ჩავლეიშვილი (75); 2ს: ჩავლეიშვილი (19, 57)

შევარდენი: ნ. იურინი; შანშიაშვილი, ფარცვანია, ძნელაძე, ჩიტაძე; მოდებაძე, ჯანელიძე; ჩიქავა, აბაშიძე, პარწიკანაშვილი; ცხვედიანი, ბექაური, ნადირაძე, მჭედლიშვილი; სორდია. — ს: მოდებაძე (34)

მსაჯები: პ. ნარიმანაშვილი (აკადემია); რ. ჩხეიძე (ამირანი), გ. კარკაძე

ეს თამაში 28 ნოემბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ მორიგი თოვლის გამო გადადო იმისდა მიუხედავად, რომ ქართველმა ვეტერანებმა დათოვლილი მოედანი ... ფეხით დახაზეს. სათამაშოდ ყველაფერი თითქოს მზად იყო, რომ უეცრად გამოცხადდა, თავად მორაგბეებს აღარ სურთ თამაშიო. ამის შემდეგ სტადიონზე შეკრებილი საზოგადოებრიობა იმ იმედით დაიშალა, რომ ოდესმე გამოიდარებდა.

მართლაც, ერთ კვირაში სტადიონზე თოვლის ნასახიც აღარ დარჩა, მაგრამ თამაშის დღეს ისევ მოიღრუბლა და ჩამოსცრა. მატჩის დაწყება მაინც დაგვიანდა 75 წუთით, მაგრამ ორივე გუნდს ეტყობოდა, რომ რაგბის თამაში მონატრებოდა — იმდენად, რომ ფეხბურთის კარები თავადვე გაასვენეს მოედნიდან.

„ვესტამ" ალალად და დამაჯერებლად მოიგო. მისი მორკინალები ყოველმხრივ მძლავრობდნენ, მეტადრე ღია თამაშში, რის გამოც უკანა ხაზსაც მეტი გასაქანი მიეცა. გამოირჩეოდნენ მარჯანიშვილი, ობოლაძე, ხუადე და სხვები. პოლონეთიდან დაბრუნებული ჩავლეიშვილიც ტრადიციულ ვესტურ ყაიდაზე უძღვებოდა თამაშს.

„შევარდენში" ძლიერი კი იყო შერკინების პირველი ხაზი, მაგრამ დანარჩენი ხუთი მორკინალი მოისუსტებდა, რის გამოც სამმეოთხედელები ისე ათამაშებდნენ ბურთს, თითქოს შვიდკაცას თამაშობენო. და მაინც, იურინმა, მოდებაძემ და ძნელაძემ ერთი-ორჯერ გაინავარდეს.

პირველ ნახევარში „შევარდენს" სამი დარტყმა გაუცუდდა, რის გამოც შესვენებაზე ბურთი საგანგებოდ გაბერეს. ამის შემდეგ მოდებაძეს კარში დარტყმის შანსი აღარ მისცემია.

„ვესტამ" პირველი ლელო ორკაციანი დერეფნის შემდეგ გაიტანა: ხუადემ ბურთი მოიგო, გაქანებული ობოლაძის შეჩერება კი ლელომდე ვერავინ შეძლო. მეორე ტაიმში „ვესტა" მეტად დაწინაურდა, მერე „შევარდენი" ერთი პირობა მეტოქის ლელოსთან დამკვიდრდა, მაგრამ დაუშვილმა მარჯვედ მოიგერია მიმხდური ჩიქავა. ბოლოს გიუნაშვილმა, იოვაძემ, ხუადემა და წეველიძემ შერკინებიდან შეუტიეს და იოვაძემაც გადამწყვეტი ლელო გაიტანა.

„თბილისს" წაგება მიესაჯა „ამირანთან". კვირას, 12 დეკემბერს რუსთავის „აზოტმა" ინტერნატებში, „პივის ბოჭკებთან" უმასპინძლა „ვესტას", ვაკეში კი „ამირანი" „შევარდენს" ეთამაშა. საქართველოს პირველობაზე მოსახვედრად „ვესტას" მოგება სჭირდებოდა, „აზოტსა" და „შევარდენს" კი ფრეებიც ხელს აძლევდათ, მაგრამ ისე მოხდა, რომ ორივემ მოიგო. რუსთაველებმა რაფავას ორი ლელოთი და ლეჟავას ოთხი გოლით 21:3 სძლიეს აწ უკვე ექს-ჩემპიონს, „შევარდენმა" კი 23:18 გაიმარჯვა, რის შედეგადაც ორ ლიდერს ქულები თანაბრად დაუგროვდა და თუ ვინიცობაა იმერლები ქვეყნის პირველობაზე ასპარეზობას ვერ შეძლებენ, „აზოტსა" და „შევარდენს" მოუწევთ ამერისა და იმავდროულად საქართველოს ჩემპიონობისთვის დამატებითი მატჩის გამართვა.

საბოლოო მდგომარეობა ამერის I ჯგუფში:

| | თ | მ | ფ | წ | — | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აზოტი (რ) | 12 | 10 | 0 | 2 | 0 | 296-134 | 20 |
| შევარდენი | 12 | 10 | 0 | 2 | 0 | 270-187 | 20 |
| ვესტა | 12 | 9 | 0 | 3 | 1 | 290-126 | 17 |
| ამირანი | 12 | 7 | 0 | 5 | 0 | 175-122 | 14 |
| თბილისი | 12 | 2 | 1 | 9 | 1 | 181-272 | 4 |
| ყოჩები | 12 | 2 | 1 | 9 | 2 | 150-297 | 3 |
| ქორები | 12 | 1 | 0 | 11 | 0 | 124-373 | 2 |

პირველი ჯგუფი.
აღმოსავლეთი
XVII ტური

**მეტალურგი 0**
**შევარდენი 1**

რუსთავი. სტადიონი „მეტალურგი"
27 ნოემბერი.

მეტალურგი: ქორიძე, გაბელაია, ბურნაძე, არჩვაძე, კობიაშვილი, ვ. კილასონია, ამბიძე, გ. კილასონია, ლუდუშაური, მეტრეველი (გახოკიძე, 46), ალადაშვილი
შევარდენი 1906: ნაჭყებია, ელიაშვილი, კვიტატიანი, მელქაძე, ჯიშკარიანი, ნადირაძე, ბაკურაძე (ტარტარაშვილი, 76), ჯიქია (ბუკია, 80), ქოჩლაძე, ფანცულაია, ჯანაშია

0:1 ჯანაშია (22)

პენალტი ვერ გაიტანა ვ. კილასონიამ (30)
მსაჯი: გ. ხეჩუაშვილი (კასპი)

IX ტური

**კახეთი 0**
**მარგვეთი 5**

თბილისი. სტადიონი „სინათლე"
28 ნოემბერი

კახეთი: გრიშიკაშვილი, შონია, კაციტაძე, ტოგონიძე, ნიქარიშვილი, ნაკუდაიძე, სეფაშვილი, ლ. ხორხელი, კალუჟა (დემეტრაძე, 46), ბაბულაიძე, ა. ხორხელი
მარგვეთი: ბაბუაძე, მანაგაძე, გურიელიძე, გიგატაძე, ლონლაძე, ნიქარიშვილი, ჩიხლაძე, ხუნდაძე, მეგრელაძე, მინაშვილი, შენგელია

0:1 მანაგაძე (72)
0:2 გიგატაძე (74)
0:3 მეგრელაძე (77)
0:4 ხუნდაძე (78)
0:5 მეგრელაძე (83)

მსაჯი: გ. ხეჩუაშვილი (კასპი)

**დილა 1**
**ერქვანი 0**

გორი. ცენტრალური სტადიონი
30 ნოემბერი

დილა: ვოლკოვი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, გაგნიძე, თარხნიშვილი, ციცქიშვილი, მარეხაშვილი, მიქელაძე, ნკრიალაშვილი (რევაზიშვილი, 65), ხორგუაშვილი, მინდიაშვილი
ერქვანი: ნარეკლიშვილი, თაბუკაშვილი, გაგნიძე, პაპიძე, ლაცაბიძე, ფოფხაძე, ინიაშვილი, დოლიძე, ყიზილაშვილი (გელბახიანი, 75), ყიფიანი, მეტრეველი

1:0 მარეხაშვილი (70)

მსაჯი: ვ. ეჯიბია (თბილისი)

XIII ტური

**შევარდენი 3**
**დინამო 0**

თბილისი. სტადიონი „შევარდენი"
[illegible]

შევარდენი 1906: ნაჭყებია, ელიაშვილი, კვიტატიანი, მელქაძე, ჯიშკარიანი, ნადირაძე, ბაკურაძე (ტარტარაშვილი, 70), ჯიქია, ქოჩლაძე, ფანცულაია, ჯანაშია
დინამო: ზოიძე, ბერაძე, ლობჟანიძე, შ. ხუჯაძე, ი. ხუჯაძე (ტრაპაიძე, 46), ყაველაშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, მაზიაშვილი, იაშვილი, ცქიტიშვილი

1:0 ჯიქია (18)
2:0 ბაკურაძე (20)
3:0 ჯანაშია (70)

გაფრთხილება: ქოჩლაძე, ბერაძე
გაძევება: ბერაძე (76)
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

XVIII ტური

**მეტალურგი 3**
**ერქვანი 0**

მეტალურგს მოგება ჩაეთვალა

XX ტური
3 დეკემბერი

დინამო — მრეტები 6:2
საპოვნელა — მაღაროელი 1:0
ერქვანი — დილა 1:4

XIII ტური
7 დეკემბერი

მეტალურგი — მრეტები 1:2
კახეთი — ივერია 1:4

XIX ტური
9 დეკემბერი
დილა — შევარდენი 1906 2:1

XXII ტური
11 დეკემბერი
დინამო — საპოვნელა 1:2

XXI ტური
12 დეკემბერი
მრეტები — შევარდენი 1:2
ივერია — ერქვანი 7:3
დილა — მარგვეთი 3:1
კახეთი — მეტალურგი 1:7

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 19 | 14 | 1 | 4 | 73-28 | 43 |
| ივერია | 18 | 10 | 5 | 3 | 38-24 | 35 |
| დილა | 19 | 10 | 2 | 7 | 32-31 | 32 |
| საპოვნელა | 19 | 9 | 3 | 7 | 33-22 | 30 |
| შევარდენი | 15 | 9 | 1 | 5 | 28-22 | 28 |
| მარგვეთი | 17 | 7 | 4 | 5 | 36-25 | 28 |
| მაღაროელი | 17 | 7 | 4 | 6 | 26-24 | 25 |
| ერქვანი | 18 | 5 | 5 | 8 | 26-39 | 20 |
| მეტალურგი | 19 | 5 | 1 | 13 | 31-44 | 16 |
| კახეთი | 18 | 4 | 3 | 11 | 24-50 | 15 |
| მრეტები | 19 | 3 | 1 | 15 | 17-55 | 10 |

დასავლეთი
XIX ტური

**ოდიში 4**
**ტორპედო 4**

ზუგდიდი. ცენტრალური სტადიონი
20 ნოემბერი

ოდიში: ჭანტურია, ჯოლოხავა, მესხი, თუთბერიძე, აბსანძე (ნიტაიშვილი, 46), გაბედავა, კვარაცხელია, გუგუჩია, დარასელია, ქაძანაია, აფაქიძე
ტორპედო: ნიშნიანიძე, ნოზაძე, სადილიანი, ვოსკანოვი, ხართიშვილი, ჭინჭარაძე, კვეტენაძე, გიორგობიანი (თურმანიძე, 77), მაღლაკელიძე, ხუჭუა (ხერხაძე, 77), ვაჩიბერაძე

1:0 გაბედავა (2)
1:1 ვაჩიბერაძ (13)
2:1 დარასელია (27 პ)
2:2 კვეტენაძე (35)
2:3 კვეტენაძე (58)
2:4 ნოზაძე (76)
3:4 ქაძანაია (76)
4:4 დარასელია (88)

პენალტი ვერ გაიტანა გაბედავამ
გაფრთხილება: აფაქიძე, ხართიშვილი
მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

XII ტური

**შუქურა 2**
**ტორპედო 4**

ქობულეთი, ცენტრალური სტადიონი
29 ნოემბერი

შუქურა: ლონლაძე, კოროტკოვი, ჭელიძე, ხურციძე, ბერიძე, გვიანიძე, კედელაძე, გორგილაძე, ჩელებაძე, ლლონტი (10 კაცით ითამაშეს)
ტორპედო: ნიშნიანიძე, ნოზაძე, ჩხაბერიძე, დიდავა, ხართიშვილი, ვოსკანოვი, ჭინჭარაძე (გიორგობიანი, 60), სადილიანი, მაღლაკელიძე, ხუჭუა, კვეტენაძე

0:1 ნოზაძე (4)
0:2 ხუჭუა (22)
0:3 ხუჭუა (28)
1:3 ჩელებაძე (47 პ)
1:4 ვოსკანოვი (56)
2:4 გორგილაძე (85)

მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

XV ტური

**სამტრედია 4**
**სამგურალი 0**

სამტრედია. ეროსი მანჯგალაძის სტადიონი
29 ნოემბერი.

სამტრედია: მიქაძე, იონანიძე, სიდამონიძე, ბზიკაძე, ვაშაკიძე (ჭყონია, 70), ამაშუკელი (კალაძე, 50), გოგიაშვილი, გენძეხაძე, ჯანაშია, ფანჩულიძე, ტონია
სამგურალი: კიკალეიშვილი, ჯანხოთელი, მაღლაკელიძე, გუჩუა, ლ. ფესტვენიძე, ქობულაძე (ჯანაშია, 46), ცნობილაძე, რ. იობიძე, გუბელაძე, დვალიშვილი, ჭ. იობიძე (ვ. ჯანელიძე, 46)

1:0 ჯანაშია (32)
2:0 ჯანაშია (39)
3:0 ჯანაშია (50)
4:0 იონანიძე (75)

გაფრთხილება: კიკალეიშვილი
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

XX ტური

**კოლხეთი 1913 3**
**ოდიში 2**

ფოთი. სტადიონი „კოლხეთი"
29 ნოემბერი

კოლხეთი 1913: გვასალია, ტორჩინავა (თიბილაშვილი, 74), კაკაჩია (კიკლიაშვილი (62), მაჭავარიანი, ქუნთელია, ცომაია, გოროზია, მახარაძე, მიქაბერიძე, დარასელია, ჩხაიძე
ოდიში: ჭანტურია, ჯოლოხავა, მესხი, თუთბერიძე, აბსანძე, გაბედავა, კუტალია, გუგუჩია (ნიტაიშვილი, 75), დარასელია, ქაძანაია, აფაქიძე (კვარაცხელია, 67)

1:0 მახარაძე (10)
1:1 ქაძანაია (49)
2:1 დარასელია (61)
2:2 დარასელია (66)
3:2 დარასელია (74)

მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

XXI ტური

**გურია 2**
**ბათუმი 0**

ლანჩხუთი. ცენტრალური სტადიონი
29 ნოემბერი

გურია: აბუსერიძე, პაპავა, თევზაძე, დანელია, ბუცურეიშვილი, მალანია, ნარიაშვილი, რეხვიაშვილი, გოგოლაძე, ფრიდონაშვილი, გამცემლიძე
ბათუმი: ბალაძე, გოგიტიძე, შანიძე, გეთია (ფუტკარაძე, 78), შეყილაძე, თორლაშვილი, მახარაძე, მაჭუტაძე, ხომერიკი, ტულუში, კანტიძე

1:0 გოგოლაძე (30)
2:0 გოგოლაძე (40)

პენალტი ვერ გაიტანა დანელიამ
გაფრთხილება: ბუცურეიშვილი, გოგიტიძე
მსაჯი: ა. წერეთელი (ჭიათურა)

3 დეკემბერი
V ტური
გურია — შუქურა 1:0
XI ტური
ოდიში — ბათუმი 3:4
XIV ტური
სამგურალი — კოლხეთი 1913 1:2
XVI ტური
ტორპედო — სამტრედია 1:1

6 დეკემბერი
XII ტური
ოდიში — გურია 3:4

შუქურა — სამტრედია 2:1

XV ტური
კოლხეთი 1913 — ტორპედო 7:2
XVI ტური
სამგურალი — ბათუმი 1:4

9 დეკემბერი
VI ტური
შუქურა — ოდიში 4:2
XVI ტური
სამტრედია — კოლხეთი 1913 1:3
გურია — სამგურალი 6:2
ბათუმი — ტორპედო 0:2

12 დეკემბერი
VII ტური
ოდიში — სამგურალი ?
XIII ტური
კოლხეთი 1913 — შუქურა ?
XVIII ტური
ტორპედო — გურია 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გურია | 11 | 8 | 0 | 3 | 28-15 | 24 |
| კოლხეთი 1913 | 10 | 7 | 1 | 2 | 24-12 | 22 |
| ბათუმი | 11 | 6 | 1 | 4 | 24-16 | 19 |
| ტორპედო | 13 | 5 | 3 | 5 | 21-26 | 18 |
| სამტრედია | 10 | 5 | 1 | 4 | 18-14 | 15 |
| შუქურა | 9 | 4 | 1 | 4 | 18-16 | 13 |
| ოდიში | 8 | 1 | 1 | 6 | 17-26 | 4 |
| სამგურალი | 10 | 1 | 0 | 9 | 8-33 | 3 |

მეორე ჯგუფი
აღმოსავლეთი

XVI ტური. 29 ნოემბერი
რკონი — მესხეთი 5:2
სიონი — თორი 3:1
არმაზი — ნაფარეული 3:3
არაგვი — შირაქი 6:2
არმაზი-90 — თეთრი არწივი 0:2
დურუჯი — ჭაბუკიანი 3:0
ქართლი — მერანი-91 2:2
მერანი-ბაჩო — ანცი 0:3
XVII ტური.
ანცი — რკონი 2:0
მერანი-91 — მერანი-ბაჩო 2:2
ერქვანი-ზოოვეტი — ქართლი 7:1
თეთრი არწივი — დურუჯი 1:0
შირაქა — არმაზი-90 2:2
ნაფარეული — არაგვი 3:0
თორი — არმაზი 3:0 (არ გამოცხ.)
მესხეთი — სიონი 3:0
ჭაბუკიანი — ბახტრიონი 3:0
გამოტოვებული მატჩები:
მერანი-ბაჩო — არმაზი 2:0
ბახტრიონი — ერქვანი-ზოოვეტი 2:2

პირველი წრის შემდეგ:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თეთრი არწივი | 17 | 15 | 0 | 2 | 46-11 | 45 |
| ანცი | 17 | 14 | 1 | 2 | 43-4 | 43 |
| დურუჯი | 17 | 13 | 1 | 3 | 37-15 | 40 |
| ნაფარეული | 17 | 11 | 2 | 4 | 38-19 | 35 |
| ჭაბუკიანი | 17 | 9 | 2 | 6 | 35-19 | 29 |
| არაგვი | 17 | 8 | 1 | 8 | 27-31 | 25 |
| სიონი | 17 | 8 | 1 | 8 | 27-24 | 25 |
| ერქვანი-ზოოვ. | 17 | 7 | 4 | 6 | 34-28 | 25 |
| მესხეთი | 17 | 7 | 2 | 8 | 26-31 | 23 |
| რკონი | 17 | 7 | 1 | 9 | 37-35 | 22 |
| თორი | 17 | 6 | 3 | 8 | 26-31 | 21 |
| ბახტრიონი | 17 | 6 | 2 | 9 | 23-29 | 20 |
| მერანი-ბაჩო | 17 | 5 | 3 | 9 | 26-36 | 18 |
| მერანი-91 | 17 | 4 | 4 | 9 | 17-34 | 16 |
| არმაზი-90 | 17 | 4 | 4 | 9 | 26-28 | 16 |
| შირაქი | 17 | 4 | 3 | 10 | 13-47 | 15 |
| არმაზი | 17 | 3 | 4 | 10 | 22-39 | 13 |
| ქართლი | 17 | 2 | 2 | 13 | 13-45 | 8 |

მეორე ჯგუფი
დასავლეთი

ჩიხურა — ჩხერიმელა 0:2
გურია-2 — სულორი 4:0
ეგრისი — ანაკო-მერცხალი 1:0
ჩხერიმელა — ულუმბო 6:2
მეშახტე — კოლხეთი 1:0
ჩიხურა — ულუმბო 1:1
კახაბერი — ჩხერიმელა 1:5
ანაკო-მერცხალი — შევარდენი 4:2
ანაკო-მერცხალი — ჩხერიმელა 2:1
სულორი — ეგრისი 2:4
ეგრისი — გურია-2 3:0

მესამე ჯგუფი
I ქვეჯგუფი

გარეჯი — ქიზიყი 2:1
მერანი — სამგორი 2:2
ფხოვი — იმედი 4:7
ფხოვი — ქიზიყი 0:3 (წაგება მიესაჯა)
იმედი — სამგორი 3:1
ქიზიყი — იმედი 3:0 (მოგება მიეკუთვნა)
გარეჯი — მერანი 2:0
ფხოვი — გარეჯი 1:2
სამგორი — ქიზიყი 0:3 (არ გამოცხ.)

პირველი ეტაპის საბოლოო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქიზიყი | 10 | 7 | 1 | 2 | 25-7 | 22 |
| გარეჯი | 10 | 7 | 0 | 3 | 16-11 | 21 |
| იმედი | 10 | 6 | 1 | 3 | 31-16 | 19 |
| მერანი | 10 | 5 | 1 | 4 | 12-15 | 16 |
| ფხოვი | 10 | 2 | 0 | 8 | 13-28 | 6 |
| სამგორი | 10 | 1 | 1 | 8 | 7-27 | 4 |

მესამე ჯგუფი
მეორე ქვეჯგუფი

იბერია — ვიქტორია 0:1
ყინვალი — იმედი 12:1
მუხნარი — ავაზა 1:0
ცხინვალი — ტორპედო-2 2:0
ყინვალი — ვიქტორია 2:2
მუხნარი — იბერია 3:1
ცხინვალი — იმედი 3:0 (არ გამოცხ.)
ტორპედო-2 — ავაზა 1:0
ვიქტორია — ავაზა 2:4
იმედი — ტორპედო-2 2:5
იბერია — ცხინვალი 1:2
ყინვალი — მუხნარი 3:1
მუხნარი — ვიქტორია 3:0 (არ გამ.)
ავაზა — იმედი 1:0
ტორპედო — იბერია 3:0
ცხინვალი — ყინვალი 3:0

პირველი ეტაპის საბოლოო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მუხნარი | 14 | 8 | 1 | 5 | 43-21 | 25 |
| იბერია | 14 | 8 | 1 | 5 | 36-17 | 25 |
| ცხინვალი | 14 | 7 | 4 | 3 | 23-13 | 25 |
| ტორპედო | 14 | 7 | 3 | 4 | 31-27 | 24 |
| ყინვალი | 14 | 6 | 4 | 4 | 43-35 | 22 |
| ავაზა | 14 | 6 | 2 | 6 | 24-21 | 20 |
| ვიქტორია | 14 | 5 | 3 | 6 | 27-20 | 18 |
| იმედი | 14 | 0 | 0 | 14 | 12-85 | 0 |

# თუროღლუმ ტრაბზონს ორი ქართველის შეძენა ურჩია...

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შავი ზღვის თანამშრომლობის სამმართველოს უფროსის მოადგილე ზაურ მჭედლიშვილი ამას წინათ დაბრუნდა თურქეთიდან და თურქული გაზეთების დასტა ჩამოიტანა. ბატონმა ზაურმა თავადვე თარგმნა ჩვენთვის საინტერესო მასალები და ცნობილი მსახიობისა და ფეხბურთის დიდი გულშემატკივრის ბადრი ბეგალიშვილის ხელით „სარბიელს" გადმოსცა ისინი. დღეს არველაძეების ამბავს გთავაზობთ, მომავალში კი იმასაც გაეცნობით, თუ რას წერდა თურქული პრესა „დინამო" — „ლინფილდის" სკანდალური მატჩის შესახებ.**

ჩვენმა, ფიფას კატეგორიის მსაჯმა ერმან თუროღლუმ, ტრაბზონსფორის ხელმძღვანელობას ურჩია ორი ქართველი ფეხბურთელის შეძენა. თოროღლუმ, რომელიც ტრაბზონსფორ — კალიარის მატჩს ესწრებოდა, გუნდის პრეზიდენტს სალრი შენერს წინადადება მისცა თბილისის დინამოელები არჩილი და რევაზი შეეძინა. „პრეზიდენტო, ხომ იცით მე ამ გუნდის მატჩი ვიმსაჯე. ეს ორი ფეხბურთელი სუპერ-მოთამაშეა" — უთხრა თოროღლუმ. შენერმა კი უპასუხა: „საქართველოში ახლა ომია. როგორც კი ომი შეწყდება, ამ ორ ფეხბურთელს უმალვე შევიძენ და ჩამოვიყვან". (გაზ. „საბაჰი". 21.10.)

თურქეთის ყველაზე მრავალტირაჟიანი გაზეთი „მილიეთი" (16 ნოემბრის ნომერი) აქვეყნებს ფოტოებს, შემდეგი მინაწერით: „ტყუპების ურთიერთმხარდაჭერა (სოლიდარობა)".

მობდა. მატჩის ბოლოს კი შოთას მიერ გატანილი გოლით გამოწვეული სიხარული ყელზე გადახვევით გაიზიარა".

იმავე გაზეთ „მილიეთში" ტრაბზონსფორის მომავალ მატჩში „ბეშიქთაშთან" ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელის გამო ძნელი მდგომარეობის შესახებ დაწერილი სტატია ასე მთავრდება: „ამავე დროს, ტრაბზონსფორში თბილისის დინამოდან გადმოსული შოთას პირველ მატჩში ნათამაშებმა ფეხბურთმა და გატანილმა გოლმა გუნდის ტექნიკური ხელმძღვანელობა ძალზე გაახარა".

გაზეთ „ჰურიეთის" 16 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულია განვლილი ტურის მიხედვით შედგენილი ტრადიციული „ოქროს გუნდის"(ტურის ნაკრები) შემადგენლობა... 11 ფეხბურთელს შორისაა შოთაც (თურქები მოთამაშეებს ყოველთვის სახელით მიმართავენ და პრესაშიც ასე





ისინი ყოველგვარ გრძნობებს ერთად განიცდიან... ერთის მწუხარება მეორეს სახის მჭვუნვარებაცაა, ერთის სიხარული მეორეს სახესაც აციაკროვნებს... ერთი და იგივე გრძნობებს იზიარებენ, ერთი და იგივე ბედნიერებით ხარობენ... მოკლედ, ერთსა და იმავე ცხოვრებას ინაწილებენ, ერთი და იმავე თხილის ნაყოფივით... ვინ არიან ესენი? ესენია ტრაბზონსფორში, თბილისის დინამოდან ტრანსფერით გადმოსული ტყუპები არჩილი და შოთა.... გაზიანთებსპორთან მატჩში მოედანზე იყო, არჩილი კი, ტრავმის გამო მინდვრის მიღმა დარჩა. მაგრამ არჩილი ძმის მოქმედებას მოედანზე ისეთნაირად განიცდიდა, რომ მაყურებლებიც კი გაკვირვებულები დარჩნენ. ხან მოწინააღმდეგის კარს უკან გარბოდა და საგოლე პოზიციებში ძმასთან ერთად ყოფნა სურდა, ხანაც სტვენით ძმას თავისუფალ პოზიციაზე გასასვლელად უხმოიხსენიებენ).

გაზეთი „ჯუმჰურიეთი" 16 ნოემბრის ნომერში აქვეყნებს სტატიას „ტრაბზონსპორის ცაზე შავი ღრუბლები გაიფანტა". სტატიაში ტრაბზონსფორში მომხდარ სასიკეთო ძვრებზე საუბრობს გუნდის ერთ-ერთი პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ჰაირეთინ ჰაჯისალიოღლუ, რომელიც შოთას თამაშის ხარისხს შემდეგნაირად ახასიათებს: „შოთამ, თავისი პირველი ოფიციალური მატჩი ტრაბზონსფორის შემადგენლობაში, ჩვენი აზრით და საზოგადოების აზრითაც წარმატებით ჩაატარა".

„სარბიელის" რედაქციისგან: შოთა არველაძე დიდებული თამაშით გამოირჩევა თურქეთის ჩემპიონატში და რამდენჯერმე ტურის ნაკრებში, ე.წ. „ოქროს გუნდშიც" მოხვდა. კვირას, მორიგ ტურში, იგი უკვე არჩილის მხარდამხარ თამაშობდა და ორი გოლიც შეაგდო.

# ჯიშკარიანი – კიევში, ცვეიბა – იაპონიაში

„ცხუმის" და საქართველოს ნაკრების თავდამსხმელს, ქვეყნის 1991-1992 წლების საუკეთესო ფეხბურთელსა და ბომბარდირს მიხეილ ჯიშკარიანს ბოლო წელს სათამაშოდ იწვევდნენ სხვადასხვა ქვეყნის გუნდებში. სექტემბერში მან ძალები მოსინჯა გერმანიაში. მაგრამ აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის გამო საქართველოში დაბრუნდა: ძალიან აწუხებდა მშობლებისა და ახლობლების ბედი, რომლებიც სოხუმში იმყოფებოდნენ. როგორც იქნა, კეთილი ადამიანების დახმარებით, ნოემბრის შუა რიცხვებში მოხერხდა მიშას დედის, ქალბატონ ნაზის, სოხუმიდან სოჭში, შემდეგ კი თბილისში გადაყვანა, მამამისი დიმიტრი კი ჯერჯერობით აფხაზეთშია: იგი აფხაზებს ფსოუზე დაუბრუნებიათ და ფული მოუთხოვიათ...თბილისში იმყოფებიან მიშას მეუღლე თამრიკო ვარდოსანიძე, ორი წლის შვილი — მიხეილი და მისი და ეკა.

ორი კვირის წინ თამრიკომ მითხრა, რომ მიშა კიევშია და იქაურ „დინამოში" ვარჯიშობს. ტელეფონით დავუკავშირდი კიევის „დინამოს" საწვრთნელ ბაზას კონჩა-ზასპეში.

— **როგორ და როდის მოხვდი კიევში?**

— 19 ნოემბრიდან აქ ვარ, ვვარჯიშობ „დინამოში". გუნდის მთავარი მწვრთნელი მიხეილ ფომენკო მანამდეც მიცნობდა და კმაყოფილია ჩემი ვარჯიშით. უკრაინის ჩემპიონატში არ მითამაშია, რადგან საჭიროა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ნებართვა. რამდენიმე დღეში ვაპირებ ჩამოსვლას თბილისში და, ვფიქრობ, ფედერაციაც ნებას დამრთავს. რა თქმა უნდა, მე ვარ საქართველოს მოქალაქე და მზად ვარ ვითამაშო საქართველოს ეროვნულ ნაკრებში.

— **როგორ შეგხვდნენ კიევის „დინამოში" და რა პირობებს გთავაზობენ?**

— გუნდში კარგად შემხვდნენ. მთავაზობენ სამწლიან კონტრაქტს. საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია.

— **შეპეტოვკის „ტემპში" თამაშობენ შენი ყოფილი პარტნიორები: ჟორჟოლიანი, გაბისკირია, ჩიხრაძე და კიდევ რამდენიმე ქართველი. ხომ არაფერი გსმენია მათი?**

— ტელეფონით ვესაუბრე გაბისკირიას. ერთად ვაპირებთ საქართველოში ჩამოსვლას.

— **მამათქვენის შესახებ რა იცით?**

— ვიცი, რომ ცოცხალია, იმყოფება გაგრაში, ფაქტობრივად, მძევლად ჰყავთ. რამდენიმე დღის წინათ ვესაუბრე ახრიკ ცვეიბას. როგორც მან მითხრა, დამეხმარება აფხაზეთიდან მამაჩემის გამოყვანაში. ხოლო თავად ახრიკი მომავალი წლიდან იაპონიაში თამაშს აპირებს.

**თენგიზ პაჭკორია**, საქინფორმ-
„სპეციალურად „სარბიელისთვის"

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომარ თეთრაძე:
## ბოლოს მაინც საქართველოში დავბრუნდები



ხოროვეტინსტიტუტის „კრწანისის" მცველის, აფხაზეთში გმირულად დაღუპული ზაზა ბენდელიანის წლისთავზე მრავალმა ფეხბურთელმა მოიყარა თავი. ბიჭები არ ივიწყებენ დაღუპული ძმაკაცის ოჯახს და შეძლებისდაგვარად აკითხავენ ზაზას მამასა და დას. გულში სითბო ჩამეღვარა, რიდესაც ზაზას ოჯახში ასული სხვებთან ერთად მოსკოვის „დინამოს" ლიდერს, ომარ თეთრაძესაც წავაწყდი.

ომარი მესამე წელია მოსკოვში იმყოფება. რაღა არ გადაუტანია ამ ბიჭს: დაცინვაც, გულგრილობაც, მოულოდნელი ტრავმებიც... მოღალატეობაც დასწამეს, მაგრამ ბოლოსდაბოლოს თეთრაძემ ყველას დაუმტკიცა, რომ იგი უპირველეს ყოვლისა სულითაა სპორტსმენი და დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლია.

**— ომარ, რამდენი დღით ჩამოხვედი?**

— სამი დღით, ზაზას წლისთავს დავესწრები და იმ საღამოსვე მოსკოვში მივფრინავ. მეორე დღეს მოსკოვის „დინამოს" ხელმძღვანელობასთან მაქვს შეხვედრა ჩემი შემდგომი ბედ-იღბლის შესახებ.

**— დაგვიწყებია ქართული...**

— რუსულ სიტყვებს რომ ვურევ, არ გეგონოს გამართული ქართული არ შემეძლოს, სამი წელი საქართველოში არ ვყოფილვარ და გადავეჩვიე კიდეც ჩემს მშობლიურ ენაზე საუბარს. კახი ცხადაძეს ფრანკფურტში წასვლის შემდეგ სტუმრად ჩამოსულ ჩემს თბილისელ მეგობრებთანღა მიწევს ქართულად საუბარი.

**— მოდი, სანამ მოსკოვის „დინამოზე" ვისაუბრებდეთ, ის ისტორია მოუყევი, რატომ მიატოვე საქართველო და მოსკოვში რატომ წახვედი.**

— მე აქ არავის აღარ ვჭირდებოდი, აღარავის სჯეროდა ჩემი, ვგრძნობდი: ცოტაც და ძალა მიმტყუნებდა და ჩემს სათაყვანებელ ფეხბურთს სამუდამოდ ჩამოვშორდებოდი. ამიტომაც წაველი მოსკოვში და ყველას დავუმტკიცე, რომ შემძლებია ფეხბურთის თამაში.

**— წახვედი თუ არა, მაშინვე გაისმა: ეგ თეთრაძე კი არა ოსიპოვია. გაგვარკვიე ბოლოსდაბოლოს შენს წარმომავლობასა და ეროვნებაში.**

— მართალი უთქვამთ, ოსიპოვი ვარ. დედაც ბერძენი მყავს და მამაც. ბებია მყავდა თეთრაძე და „დინამოში" რომ მივედით, თეთრაძედ გადავიკეთე გვარი.

**— რახან აქამდე შევყევით, მოდი შენი ბავშვობაც გაიხსენე და ქრონოლოგიურად მივყვეთ 1990 წლამდე, სანამ ეროვნული ჩემპიონატი დაიწყებოდა.**

— დმანისის რაიონის სოფელ ველისპირში დავიბადე, მალევე თბილისში გადმოვსახლდით და ჩემი ბავშვობა სპორტის სასახლის უკან რომ ბარაკები იდგა იქ გავატარე. თავიდან დედამ მუსიკის სიყვარულით აკორდეონზე მიმიყვანა, მაგრამ ჩემი ნამდვილი გატაცება ფეხბურთი იყო. სკოლიდან გამოვიპარებოდი „შატალოზე" და მაშინაც ფეხბურთს ვთამაშობდი. მამამ ყველაფერი იცოდა და ბოლოსდაბოლოს ნება დამრთო, ფეხბურთზე მევლო. ერთი ბერძენი ფეხბურთელი იყო, თუ გახსოვს, ოდისეი აბრამიდისი (დღეს იგი საბერძნეთში თამაშობს), იმისმა მამამ მიმიყვანა „ავაზაში" და ცხონებულ ოთარ გიგოლაშვილს ჩააბარა ჩემი თავი. ძალიან მიყვარდა ოთარ მასწავლებელი, ერთ თვეში იგი „ავაზიდან" წავიდა და მეც მივატოვე ფეხბურთი. ჩემმა ახალმა მასწავლებელმა, ზურაბ მაისურაძემ მომნახა და დამაბრუნა გუნდში. თუ ბავშვობაში რაიმე ვისწავლე, ამ კაცს უნდა ვუმადლოდე, ის მართლაც ბავშვთა ფეხბურთის მწვრთნელია და თან გადამყვა. „ავაზას" „დინამოსთან" მუდამ არ სწყალობდა ბედი, ხშირად ვაგებდით, თუმცა ყოველთვის მათზე უკეთესად ვთამაშობდით. ამ მატჩებში შემამჩნია ნიკა ამირეჯიბმა და საქართველოს ნაკრებში ამიყვანა, საიდანაც სსრკ ახალგაზრდულ ნაკრებში მოვხვდი ბორის იგნატიევთან და 1987 წლის 17 ოქტომბერს გორში რუმინელთა წინააღმდეგ ვითამაშე პირველი მატჩი. ჩვენთან იყვნენ იმ დროს სალენკო, ნიკიფოროვი, მიშა კალატოზიშვილი, მეკარე პჩელნიკოვი, ზაეცი, ბეჟენარი, პოპოვიჩი. მიშას გარდა დღეს ყველა დიდ ფეხბურთს თამაშობს.

**— კალატოზიშვილი სსრკ-ს ჩემპიონატის დროს თბილისის „დინამოს" დუბლშემადგენლობაში თამაშობდა, პირველ ეროვნულ ჩემპიონატში — ოზურგეთის „მერცხალში", შემდეგ კი გაქრა...**

— მიშა ახლა ბიზნესმენია, მოსკოვში ცხოვრობს და თითქმის მუდამ ერთად ვართ. მის დაკარგვაში მე ვარ უნებლიე დამნაშავე, ჩეხოსლოვაკიაში მე მის მაგივრად წამიყვანეს უკანასკნელ წუთს და დიდი ხნის შემდეგ მიშამ მითხრა, იმ დღიდან ავიყარე გული ფეხბურთზეო.

**— ოთხმოცდარვა წელს თქვენ ევროპის ჩემპიონები გახდით პრაღაში...**

— ფინალამდე არ მათამაშეს, ფინალში პორტუგალიელებს შევხვდით და შეცვლაზე შემოგვიყვანეს მე და ნიკიფოროვი, რომელმაც გაიტანა გამარჯვების გოლი და ევროპის ჩემპიონებიც გავხდით.

**— სანამ შენს საფეხბურთო ბიოგრაფიას გავაგრძელებდეთ, ის შემთხვევა გაიხსენე, როდესაც რამდენიმე თვის წინ მოსკოველმა მილიციელებმა სასტიკად გცემეს და ამის გამო ნაკრების შემადგენლობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში ველარ გაემგზავრე.**

— იმ პერიოდში წვერი მქონდა მოშვებული, ნაკრებთან ერთად ვვარჯიშობდი, არადა მოსკოვში უკვე კავკასიელთა საშინელი დევნა დაიწყეს. სრულიად შემთხვევით მე და კალატოზიშვილი პირდაპირ სასტუმროდან აგვიყვანეს, წვერმოშვებული ალბათ ბანდიტი ვეგონეთ. მიშას ჯიბეში არაფერი ჰქონდა, მე კი პატარა ჯაყვა აღმომაჩნდა. წამიყვანეს სამორიგეოში და სანამ მიშა გაზაევს მოიყვანდა, იმდენი მირტყეს, სახელიც დამავიწყდა ჩემი. ყბა მომტეხეს. ვეგდე დასისხლიანებული, როდესაც გაზაევი შემოვარდა ადვოკატთან ერთად და სიკვდილისაგან მიხსნა. დღემდე ვერ მიმხვდარვარ რა უნდოდათ...

**— ამერიკაში წასვლა კი დაგაკარგვინეს და...**

— ამერიკაში მაინც წავედი, მოსკოვის „დინამო" ჩილეში გაემგზავრა ორიოდ დღეში და მეც ფაქტიურად ტურისტად გავყევი, ვიწექი მთელი დღეები პლაჟზე და გაგანია თებერვალში „ზაგარს" ვიღებდი.

**— მოდი ისევ საქართველოს დავუბრუნდეთ. მაშ ასე: 1990 წელს საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო...**

— ჯერ მანამდე რა მოხდა, იმას მოგიყვები. „დინამოში" კახი ასათიანმა ამიყვანა, თუმცა ზონინმა გამიშვა გუნდიდან. მე დავით ყიფიანთან წავედი, რომელიც „ლოკომოტივს" ედგა სათავეში, ორ კვირაში ისევ „დინამოში" მიმიწვიეს. პირველად „სპარტაკთან" ვითამაშე 0:3 წავაგეთ, შემდეგ მატჩში „ჩერნომორეცთან" ტრავმა მივიღე. ერთი თვე ვმკურნალობდი. შემდეგ „დინამოს" კვლავ ყიფიანი ჩაუდგა სათავეში და ისევ „სპარტაკთან" გამოვედი თბილისში, ცაავას გოლის წყალობით 1:0 მოვიგეთ. შემდეგი მატჩი კვლავ „ჩერნომორეცთან" გვქონდა და ჰოი საოცრებავ! ისევ დამამტვრიეს. ამ ტრავმის შემდეგ მუხლების ტკივილი დამეწყო, ჩემი ხარჯებით წყალტუბოშიც ვიმკურნალე, მოსკოვშიც — არაფერმა მიშველა. ხუთი თვე არავის ვახსენებივარ, „დინამოში" ხელფასიც მომიხსნეს, ჩაიქნიეს ხელი ჩემზე. ბოლოს მამაჩემმა მირჩია... გლანდები ამომეჭრა. მართლაც ოპერაციის შემდეგ მუხლების ტკივილმაც გამიარა. ერთ კვირაში ფეხზე დავდექი. ყველასთვის მინდოდა დამემტკიცებინა ჩემი შესაძლებლობები: დილის ექვს საათზე ვდგებოდი და დღის თორმეტ საათამდე ვვარჯიშობდი. სამ წრეს, ზუსტად სამ წრეს ვარტყამდი თბილისი ზღვას. ყიფიანმა ლანჩხუთში გამიშვა. „გურია" ლესელიძეში ვარჯიშობდა, ისევ ამტკივდა მუხლები და ფომენკოს ვთხოვე, გავეშვი. ფეხბურთში ასეა, სანამ თამაშობ — საჭირო ხარ; როგორც კი ფეხი გადაგიბრუნდება, ყველა მიგატოვებს.

**— მაგრამ ეროვნული ჩემპიონატი შენ „მერცხალში" დაიწყე და ნიკა ამირეჯიბისაგან ვიცი შენი ოზურგეთში მიწვევის ისტორია...**

— ზურა მაისურაძის შემდეგ ნიკა ამირეჯიბია კაცი, რომლის ამაგსაც ვერასოდეს გადავიხდი... ეროვნული ჩემპიონატის წინ მძიმედ ვიყავი, დღე-ღამეში მხოლოდ ნახევარი საათით შემეძლო ფეხზე დგომა, ისიც გამართული ფეხებით უნდა მევლო, მუხლებს ვერ ვხრიდი. ამირეჯიბმა მომძებნა და ოზურგეთში წასვლა შემომთავაზა. „ნიკა მასწ, სიარული აღარ შემიძლია, ვერ გავამართლებ შენს იმედებს-მეთქი". — წამოდი და მე გიმკურნალებო, — მითხრა. ერთი წუთითაც აღარ მიყოყმანია და ოზურგეთს მივაშურე. ამირეჯიბმა კარგი გუნდი დააყენა ოზურგეთში, მალე ფორმაში შევედი და საკმაოდ კარგ ფეხბურთს ვთამაშობდით. ოზურგეთელების დიდი მადლობელი ვარ, დიდი პატივი მცეს. მათ წინაშე დღემდე ვალში ვგრძნობ თავს და უახლოეს მომავალში შეძლებისდაგვარად დავეხმარები „მერცხალს".

**— ბიჭებმა მითხრეს, თბილისის „დინამოსათვის" ათი ბურთი გიჩუქნია.**

— ეს ჩემი მცირედი საპასუხო ჟესტია იმ ამაგისათვის, რაც ჩემთვის „დინამოში" გამოიჩინეს, თუმცა მწარეც ბევრი გამახსენდება...

**— მეორე ჩემპიონატიც ოზურგეთში დაიწყე...**

— უკვე აღარ შემეძლო აქ გაჩერება. ნიკა ამირეჯიბიც წამოვიდა გუნდიდან. მხოლოდ მიხეილ კალატოზიშვილი მაკავებდა ოზურგეთში. როგორც კი მიშა ორიოდ დღით თბილისში გაემგზავრა, ვიხელთე დრო და მოსკოვში გავფრინდი, იგნატიევთან მოლაპარაკებული ვიყავი, ვიცოდი, რომ „დინამოში" მივდიოდი.

**— ისევ მინდა დასაწყისში დასმული კითხვა გავიმეორო: რატომ მიატოვე საქართველო?**

— აღარ მეშვები და გრძლად გიპასუხებ: სულ მუდამ მახსოვდა, რომ აქ ბედის ანაბარა დამტოვეს. ოცი წლის ბიჭი აღარავის ვჭირდებოდი. მამაჩემი პურის მანქანის მძღოლი იყო, სამი ძმა ვიყავით, ყველანი ჩემს იმედად იყვნენ, მე კი მტკივანი ფეხების გარდა აღარაფერი მებადა. ცხოვრება შანსს რომ გაძლევს, უნდა გამოიყენო. მეც გავრისკე და გამიმართლა. ახლა ჩემი ძმებიც იქ მყავნან, მალე მშობლებსაც მოსკოვში გადავიყვან. ნუ მიწყენენ ოზურგეთელები, მე პერსპექტივას ვეღარ ვხედავდი საქართველოში და მერე დავრწმუნდი, სწორად რომ მოვქცეულვარ.

**— კი მაგრამ, რუსეთის ნაკრებში რატომღა ითამაშე?**

— მოსკოვში წასვლას რომ ვაპირებდი, ოჯახს ემუქრებოდნენ ვიღაც არაფორმალები, ასე გიზამთ, ისე გიზამთო... რუსეთში თამაში რომ დავიწყე, მაშინვე გაახსენდათ, ოსიპოვი რომ ვიყავი. დიახ, მე ბერძენი ვარ და ვამაყობ ამით, მაგრამ ჩემი სამშობლო საქართველოა, მეც ვოცნებობდი საქართველოს ნაკრების მაისურზე, მეგონა ან ახლა დამიძახებენ, ან ახლა-მეთქი. როცა შევიტყვე, აღარ მეძახდნენ, გადავწყვიტე რუსეთის მოქალაქეობა მიმეღო და იქაურ ნაკრებში მეთამაშა.

**— რამდენადაც ვიცი, მოსკოვის „დინამოს" გარდა რუსეთის სხვა გუნდებიც გეპატიჟებოდნენ.**

— ვლადიკავკაზის „სპარტაკში" მეძახდა გაზაევი, მაგრამ ოსეთში ვერ წავიდოდი, იმ პერიოდში სამაჩაბლოშიც ომი ატყდა, მე კი ფეხბურთის თამაში მინდოდა.

**— „დინამოში" გაზაევის მოსვლამდე მაინცდამაინც არ გწყალობდნენ.**

— ოზურგეთში „მერცხალის" ერთ-ერთი თანამშრომელი, ხარიტონ ფიოდოროვიჩი მეუბნებოდა, სად მიდიხარ, სათადარიგოთა სკამს ვერ ასცდებიო. მე ვუთხარი სამი მატჩი ვიჯდები და მეოთხეზე ძირითადში ვითამაშებ-მეთქი. მართლაც მეოთხე მატჩზე „დნეპრთან" გამომიყვანეს. მაშინ ჩვენი მწრთვნელი გონტარი იყო დროებით. მან შემაქო მატჩის მერე. შემდეგ უკვე გაზაევი მოვიდა და მეც ძირითადში ჩავჯექი და ჩავჯექი...

**— რუსეთში მოთამაშე ქართველებთან თუ გაქვს კონტაქტი?**

— კახი ცხადაძესთან რამდენიმე თვე ვითამაშე და ძალიან დავუახლოვდი. გოგრიჭიანთანაც ხშირი ურთიერთობა მქონდა. გოჩას „ცესკა" ეპატიჟებოდა, მან კი კვიპროსი არჩია. ბახვა თედეევი ჩემი თანაგუნდელი და უახლოესი ძმაკაცია, საქართველოზე ნოსტალგიას ერთმანეთთან საუბრებით ვიქარვებთ. ბადრი სპანდერაშვილი „როსტსელმაშის" წამყვანი მოთამაშეა. ჩემი მეგობარი პაატა ჩხეიძეც მიიწვია „ჟემჩუჟინამ" (პაატა ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობდა „შევარდენში", შემდეგ სტუ-ს კაპიტანი იყო. მ.კ.), მაგრამ მან რატომღაც უარი თქვა. ვმეგობრობ თბილისის „დინამოს" ყოფილ მეკარესან, ზაურ ხაპოვთან, სხვათა შორის, მას თბილისში გატარებულ წლებთან საუკეთესო მოგონებები აკავშირებს.

**— ქართველმა მაყურებელმა ნამდვილი თეთრაძე „ტორინოსთან" იხილა...**

— „დინამოში" საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციებს ვასრულებ, ეს ჩემი ამპლუაა. „ტორინოსთან" კი გაზაევმა შიფოს წინააღმდეგ პერსონალური თამაში დამავალა. შიფოს ბადალი ფეხბურთელი მე მინდორზე არ მინახავს. დამტანჯა ორივე მატჩის განმავლობაში. არადა, პირველ მატჩამდე ერთი კვირით ადრე მოვიშუშე ტრავმა. ჩემი თამაშით ყველა კმაყოფილი დარჩა, მაგრამ შიფომ ისე „შემამჟულა" თავი, რომ მაისური აგილერას გავუცვალე, შიფოს დანახვაც კი არ მინდოდა.

**— გჯეროდა, რომ „ტორინოს" დაამარცხებდით?**

— არა მჯეროდა, მაგრამ გაზაევის მიერ სწორად არჩეულმა ტაქტიკამ გაამართლა.

**— შემდეგ ეტაპზე „აინტრახტთან" ფიასკოსათვის კი გაზაევი მოხსნეს...**

— ის დამარცხება მხოლოდ საბაბი იყო. გაზაევს არ ჰქონდა კარგი ურთიერთობა „დინამოს" პრეზიდენტ ნიკოლაი ტოლსტიხთან — აი ეს იყო ნამდვილი მიზეზი. მე ძალიან დავუახლოვდი გაზაევს და მეგობრობას დღესაც ვაგრძელებთ.

**— „ტორინოს" მერე უცხოურ კლუბებისაგან ბევრი წინადადება მიიღე?**

— მეპატიჟებოდნენ და ახლაც მეპატიჟებიან მიუნხენის „ბავარია", მადრიდის „ატლეტიკო", ბილბაოს „ატლეტიკი", „ფიორენტინა" და „ატალანტა".

**— მერედა რას ფიქრობ?**

— საზღვარგარეთ წასვლას ყოველთვის მოვასწრებ. „დინამოსთან" კონტრაქტი კიდევ ერთი სეზონით მაქვს დადებული. რუსეთის სხვა კლუბებიც მეპატიჟებიან. კლუბს გარკვეული პირობები წავუყენე, თუ შემისრულებენ, დავრჩები. ბესკოვმა მთხოვა, დარჩიო.

**— წელან ახსენე, რაც საქართველოში ჩამოვედი, წონაში მოვიმატეო. „დინამოში" დიდი სიმკაცრეა ამ მხრივ?**

— „დინამოში" ყველაფერი პროფესიულ დონეზეა, თუმცა შეკრებების დროს მოწევის, ან დალევისთვის 500-500 დოლარი ჯარიმაა, მშვენიერი სქესის წარმომადგენელთან ურთიერთობა კი 1000 დოლარით ისჯება.

**— სამი წლის შემდეგ პირველად ჩამოხვედი საქართველოში...**

— მოსკოვის „დინამოს" ხელმძღვანელობამ კლუბის ხარჯებით ფეხბურთელები კვიპროსში გაუშვა დასასვენებლად. ვინც მოისურვებდა, ცოლ-შვილის წაყვანაც შეეძლო. ის კი არა, უცოლო ფეხბურთელებს უთხრეს, შეგიძლიათ მეგობარი გოგონაც წამოიყვანოთო. მე გულმა საქართველოსკენ გამომიწია, თუმცა კი მიჭირდა თბილისში ჩამოსვლა, მოღალატის იარლიყიც ხომ მოწებებული მქონდა ერთ დროს...

**— მომზადებას როდის იწყებთ?**

— 5-10 იანვარს იაპონიაში ვიქნებით, 14-26 იანვარს გერმანიის ერთ-ერთ ქალაქში ტრადიციულ მინი-ფეხბურთის ტურნირში ვითამაშებთ, თებერვალში კი ჯერ ესპანეთში წავალთ, შემდეგ იტალიაში.

**— წელან ბიჭებს ქართული სიმღერების კასეტა სთხოვე მოსკოვში წასაღებად...**

— ნოსტალგიას საქართველოზე ქართული სიმღერებითა და ფილმებით ვიქარვებ ხოლმე. ჩემდა გასახარად ვიდეოთეკაში ქართულ ფილმ „არ იდარდოს" წავაწყდი. მე და პაატა ჩხეიძემ რამდენჯერმე ვუყურეთ და იმ დროს თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს თბილისში ვიყავი.

**— რუსეთის მოქალაქე კი ხარ, მაგრამ თუ ახლავე ასეთი ნოსტალგია გაქვს, რაც დრო გავა, კიდევ უფრო გაგიძნელდება. შენს მომავალს როგორ უყურებ?**

— მე საქართველოში დავიბადე და ბოლოსდაბოლოს ისევ საქართველოში უნდა დავბრუნდე. ფეხბურთს ოცდაათ წლამდე ვითამაშებ, მაქსიმუმ — ოცდათხუთმეტამდე, შემდეგ რაღა მინდა რუსეთში, ისევ აქ ჩამოვალ. კიდევ ვიმეორებ, მე რუსეთში ჩემი თავისა და ჩემი ოჯახის გადასარჩენად წაველი. სხვა გზა არ მქონდა. არასოდეს დამავიწყდება, როგორ მიმატოვა ყველამ, როცა ავად ვიყავი და ვერც იმ ითითოოროლა კაცს დავივიწყებ, ვისაც ბოლომდე სჯეროდა ჩემი. ძალიან მინდა საქართველო აყვავებული და ბედნიერი ქვეყანა დამხვდეს. ახლა არც ჩემს სახლშია შუქი, წყალი და გაზი, მაგრამ თბილისში გატარებული რამდენიმე დღე სამუდამოდ დამამახსოვრდება. ის კი არა, მაზე ვფიქრობ, შესაძლებელია თუ არა საქართველოს ნაკრებში ჩემი თამაში? თუ ჩვენი ხელმძღვანელობა მოისურვებს, რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებ. ვერ წარმოიდგენ, როგორ მინდოდა საქართველოს ნაკრების მაისური მცმოდა. არ გეწყინოს, მაგრამ სიტყვა მქონდა მიცემული, რომ საქართველოში ინტერვიუ არავისთვის მიმეცა, ვისთვის რა დამიშავებია, მოღალატის იარლიყი რომ მომაკრეს? მხოლოდ მეგობრებმა დამიყოლიეს გაგესაუბრებოდი, თანაც მითხრეს, ჩვენს საყვარელ გაზეთ „სარბიელში" დაიბეჭდებაო.

**— შენმა მეგობრებმა ისიც მითხრეს, როდესაც საქართველოდან მიდიოდი, ორადორი წიგნი: მუხრან მაჭავარიანის ლექსები და „ვეფხისტყაოსანი" წაგიღია.**

— აკი ზემოთაც გითხარი, ნოსტალგიას ლექსებით, სიმღერებითა და ფილმებით ვიქარვებთ. მოკლედ, საქართველო მიყვარდა, მიყვარს და მეყვარება!

მამუკა კვარაცხელია

იგორ უტკინის ფოტო

# კვირას ლას-ვეგასში წილისყრაა!

გუნდები სიძლიერის მიხედვით უკვე განაწილებული არიან ექვს „კალათაში“: I — აშშ, არგენტინა, იტალია, ბრაზილია, გერმანია, ბელგია; II — ესპანეთი, რუსეთი, კამერუნი, ირლანდია, რუმინეთი, მექსიკა; III — კოლუმბია, ჰოლანდია, მაროკო, ბულგარეთი, კორეა, შვედეთი; IV — საუდის არაბეთი, ბოლივია, საბერძნეთი, ნიგერია, ნორვეგია, შვეიცარია. ეს სია საბოლოოდ პარასკევს დამტკიცდება, განაწილების კრიტერიუმად კი ბოლო სამი მსოფლიო ჩემპიონატის შედეგები იყო აღებული.

ნოემბრის ბოლო დღეს კი ფიფა-მ გამოაქვეყნა იმ 30 არბიტრის სია, რომლებიც ამერიკაში იმსაჯებენ. ესენია: პიერლუიჯი პაირეტო (იტალია), ლესლი მოტრამი (შოტლანდია), ნეჯი ჯუიni (ტუნისი), არტურო ბრისიო კარტერი (მექსიკა), ჯემალ ალ-შარიფი (სირია), ჰელმუტ კრუგი (გერმანია), ბუ კარლსონი (შვედეთი), ფაბიო ბალდასი (იტალია), სიხ-იშირო ობატა (იაპონია), ფრანსისკო ლამოლინა (არგენტინა), ერნესტო ფილიპი (ურუგვაი), გი გუტალსი (ბელგია), ალი მოჰამედ ბუჯსაიმი (არაბეთის გაერთიანებულ საემიროები), მარიო ვან დერ ენდე (ჰოლანდია), კურტ როტლისბერგერი (შვეიცარია), როდრიგო პადილია (კოსტარიკა), არტურო ანჯელესი (აშშ), ხოსე ტორესი (კოლუმბია), მანუელ დიას ვეგა (ესპანეთი), ფილიპ დონი (ინგლისი), პეტერ მიკელსენი (დანია), რენატო მარსილია (ბრაზილია), ალბერტო ტეხადა (პერუ), ან-იან ლიმ კე ჩონგი (მავრიკია), ჟოელ კინიუ (საფრანგეთი), შანდორ პული (უნგრეთი), ვასილიოს ნიკაკისი (საბერძნეთი), სალვადორ იმპერატორე (ჩილე), მარსიო რესენდე (ბრაზილია) და ჟან-ფიდელ დირამბა (გაბონი). ამ 30 მსაჯიდან ჩემპიონატისწინა შეკრებაზე აირჩევა 22 საუკეთესო. ეს შეკრება 13—18 მარტს დალასში გაიმართება. როგორც ხედავთ, ამჯერად მსოფლიოს ჩემპიონატი რუსი მსაჯების გარეშე ჩაივლის. ამას არ მოელოდა რუსეთის მსაჯთა ასოციაცია და მისმა ლიდერმა შკლოვსკიმ ფიფას პროტესტი გაუგზავნა.

არასასიამოვნო ვითარებაა რუსეთის ეროვნულ ნაკრებშიც. საბერძნეთთან ბოლო მატჩში წაგების შემდეგ ნაკრების 14-მა ფეხბურთელმა წერილით მიმართა ელცინის მრჩეველს სპორტის საკითხებში შამილ ტარპიშევს, რომელშიც ნაკრების მწვრთნელის სადირინის გადადგომა და მის ადგილზე ბიშოვეცის დანიშვნა მოითხოვეს. სადირინის გარდა ფეხბურთელებმა თვით რუსეთის ფეხბურთის ფედერაციასაც წაუყენეს რიგი პრეტენზიები. საქმე ეხება ჰონორარებს, რომლებიც მათი აზრით, მცირეა. აგრეთვე ზოგმა ფეხბურთელმა უარი თქვა „რიბოქის“ ბუცებით თამაშზე, ვინაიდან მათ სხვა ფირმებთან ინდივიდუალური კონტრაქტები აქვთ. წერილში ნათქვამი ისიც იყო, რომ საბერძნეთთან მატჩის წინ შეკრება არანორმალურ ვითარებაში ჩატარდა (ნოვოგორსკში წყალსადენი მილი გასკდა და ნაკრები წყლისა და გათბობის გარეშე დარჩა). კოლოსკოვმა ამ პრეტენზიებს უსაფუძვლო უწოდა. 7 დეკემბერს რუსეთის ფეხბურთის კავშირმა განიხილა ფეხბურთელთა განცხადება და არ დააკმაყოფილა იგი. ნაკრებს ამერიკის ჩემპიონატზე პაველ სადირინი უხელმძღვანელებს.

საპირისპირო სიტუაციაა ბულგარეთის ნაკრებში. ფრანგების დამაქცეველი გუნდის წევრები ქვეყნის პრეზიდენტმა ჟელიუ ჟელევმა მიიღო. უსაშველოდ დიდ ტორტთან ერთად ფეხბურთელებმა სხვადასხვა ფასიანი საჩუქრები, მათ შორის ოქროს მონეტები, მიიღეს, ხოლო ემილ კოსტადინოვს გაზიზინებული „ოპელ-კალიბრი“ შეხვდა. ჟელევმა აღუთქვა ფეხბურთელებს, რომ ამიერიდან ნაკრების მატჩებს აუცილებლად დაესწრება.

კვირას კენჭისყრამდე კი ჩემპიონატის ერთ-ერთი სპონსორის, **„Eurocard-Mastercard“**-ის მიერ მოწყობილი კონკურსის ფინალი გაიმართება. კონკურსის მიზანია ევროპის ქვეყნების საუკეთესო ფეხბურთელები დაასახელოს.

## ისევ «სან-პაულუ»

კვირას ტოკიოში ტელე სანტანამ და მისმა „სან პაულუმ“ ზედიზედ მეორედ მოიგეს საკონტინენტთაშორისო თასი. „მილანი“ ფლობდა უპირატესობას, მაგრამ მისი დაცვა შეცდომებით თამაშობდა. მე-20 წუთზე პალინიამ გახსნა ანგარიში. მეორე ტაიმის დასაწყისში იტალიელთაგან საუკეთესო მასარომ საპასუხო გოლი გაიტანა, მაგრამ მალე უბერებელმა ტონინიო სერეზომ კვლავ წინ გაიყვანა ბრაზილიელები. 82-ე წუთზე პაპენმა ისევ აღადგინა წონასწორება, მაგრამ მეკარე როსიმ მიულერს გაარტყა ბურთი და ისიც კარში შევარდა 2:3.

ეს თამაში შეიძლება ერთ-ერთი ბოლო აღმოჩნდეს საკონტინენტთაშორისო თასის ისტორიაში. როგორც გუშინწინ იოზეფ ბლატერმა განაცხადა, ფიფას დაგეგმილი აქვს 1995 წლიდან ჩაატაროს მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი, რომელიც კენტ წლებში გაიმართება. მასში 16 გუნდი გამოვა — 8 ევროპიდან და 2-2 დანარჩენი კონტინენტებიდან. შესარჩევი მატჩები არ იქნება და კლუბებს კონფედერაციები დაასახელებენ. საფეხბურთო სამყარო ფრთხილად შეხვდა ამ იდეას. მართალია, კლუბები დამატებით შემოსავალს ნახავენ, მაგრამ სამაგიეროდ ფეხბურთელების დატვირთვა ერთიორად გაიზრდება. ფიფას ახალი იდეა პარასკევს ლას-ვეგასში განიხილება და იქვე დამტკიცდება... ან არ დამტკიცდება.



გადამწყვეტი გოლის ავტორი მიულერი

## საქართველოს ჩემპიონი — უეფას თასზე?

2 დეკემბერს, უეფამ დროებითი წევრის სტატუსი მიანიჭა აზერბაიჯანისა და მოლდოვას ფეხბურთის ფედერაციებს. (ამგვარად, ამ ორგანიზაციის რიგებში უკვე 48 ასოციაციაა გაწევრიანებული). მაგრამ ეს ამბავი ბევრისთვის თითქმის შეუმჩნეველი დარჩა იმ სენსაციურ ცნობასთან შედარებით, რომელიც იმ დღეს უეფას გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა გააკეთა პრესკონფერენციაზე.

აიგნერის თქმით, უკვე მომავალი 1994—95 სეზონიდან ჩემპიონთა თასი ახალი სისტემით გაიმართება და... მასში ევროპის ყველა ქვეყნის ჩემპიონი აღარ ითამაშებს. გათამაშებაში მხოლოდ გასული წლების კოეფიციენტებით უძლიერესი 24 გუნდი ჩაებმება, აქედან 8 უძლიერესი პირდაპირ ჩემპიონთა ლიგაში მოხვდება, დანარჩენი 16 კი ლიგის კიდევ 8 საგზურს ერთმანეთში გაითამაშებენ. ამრიგად, „ჩემპიონთა ლიგა“ მომავალ წელს კიდევ უფრო გაიზრდება და მასში მონაწილე გუნდების რიცხვი 16-ს მიაღწევს. ისინი ოთხ ჯგუფში განაწილდებიან და 1994 წლის სექტემბრიდან დეკემბრამდე ორ წრედ ითამაშებენ, შემდეგ კი ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასული რვა გუნდი ტრადიციული ოლიმპიური სისტემით მეოთხედფინალიდან მოყოლებული ჩემპიონთა თასს გაითამაშებს.

მაშ სადღა წავლენ დანარჩენი 24 ქვეყნის ჩემპიონები? ახალი სისტემით ისინი ... უეფას თასზე გამოვლენ. აქ ტრადიციული 64 გუნდის ნაცვლად 100 ითამაშებს. რაც შეეხება თასების მფლობელთა თასს, იქ ყველაფერი ძველებურად დარჩება.

ჯერჯერობით ეს მხოლოდ პროექტია. მართალია, უეფას მაღალ ეშელონებში მოწონებული, მაგრამ მაინც პროექტი, რომელიც აპრილში უეფას აღმასკომმა უნდა დაამტკიცოს. ასეთ დროს თითქმის ასპროცენტიანი გარანტიაა, რომ პროექტს მიიღებენ, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე ალბათ არც ისე უმტკივნეულოდ ჩაივლის. როგორც ჩვენმა ლონდონელმა კორესპოდენტმა დავით მჭედლიშვილმა გვაცნობა, უკვე გაისმის აღშფოთებული განცხადებები ევროპის „არაელიტური“ ქვეყნების ფედერაციებიდან (მაგ. ჩრდილო ირლანდიის) და ისინი ამ პროექტს „დისკრიმინაციულს“ უწოდებენ. მართლაც, აპრილის აღმასკომზე დიდი ამბავი დატრიალდება — ძალები ხომ თანაბარია: 24 — ვინც ითამაშებს და 24 — ვინც ვერა.

## ჩემპიონთა ლიგა

მეორე ტური. 1.XII, 8.XII

მეორე ტური ზამთრის პირველ დღეს დაიწყო — „სან-პაულუსთან“ მომავალი მატჩის გამო „მილანმა“ „პორტუს“ ერთი კვირით ადრე უმასპინძლა და დიდი ანგარიშითაც დაამარცხა. „მილანის“ მცველებმა მხოლოდ ერთი შეცდომა დაუშვეს, თუმცა დომინგუშმა ვერც ის გამოიყენა. აღსანიშნავია სავიჩევიჩის თამაში. ფრანგი დესაის მოსვლის შემდეგ იგი კვლავ სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა და დაიმუქრა კიდეც — ყელში ამომივა და გუნდიდან წავალო. დესაის ჯერ არ შეუძლია ევროთასებზე თამაში, ამიტომაც კაპელომ „პორტუსთან“ სავიჩევიჩი დააყენა და მანაც გაამართლა: სამივე გოლი ჩერნოგორიელის პასით გავიდა. მეორე მატჩში დამთავრებამდე 24 წუთით ადრე „ვერდერი“ 0:3 აგებდა, მაგრამ მერე ხუთი გოლი გაიტანა.

რუსეთის ჩემპიონმა ვერაფერი გააწყო გიოტცისა [illegible] მაზის გარეშე მოთამაშე [illegible] არაისი[illegible]ნ“. სტუმრები მშვენივრ[illegible] უსხიან ამი[illegible] ჰოლანდიელმა მსაჯ[illegible] 56-ე წუთისთვის ორ[illegible] — მამე[illegible] ა, მალე მან ამ ორს [illegible] ხედ მიაყოლა, მაგრამ [illegible] შეცვლილა — მოგებასთან უფრო ახლოს თურქები იყვნენ. მარტო ის რად ღირს, რომ კუთხურებით სტუმრებმა 9:3 იმარჯვეს. „ბარსელონამ“ ნახევარ საათში მოუთავა საქმე „მონაკოს“.

**A ჯგუფი**

„სპარტაკი“ — „გალათასარაი“ 0:0
მოსკოვი. 38000 მაყურებელი.

„სპარტაკი“: პომაზუნი, ხლესტოვი (ივანოვი, 33), მამედოვი, ციმბალარი, პისარევი, ნიკიფოროვი, ონოპკო, კარპინი, პიატნიცკი, ლედიახოვი, ბესჩასტნიხი (ანანკო, 58).
„გალათასარაი“: ჰაირეთინი, შტუმპფი, ბ. ქორქმაზი, თეფექჩლე, მ. ქორქმაზი (ქესერი, 85), ქერიმოღლუ, თუთუნექერი, ჰამზაოღლუ, შუკური, ქაია, ერდემი.
გაფრთხილება: ონოპკო (17), შტუმპფი (12), ერდემი (27), ქაია (38), თუთუნექერი (44).
გაძევება: მამედოვი (28), ონოპკო (56), შტუმპფი (73).

„ბარსელონა“ — „მონაკო“ 2:0
ბარსელონა. 89 600 მაყურებელი.

„ბარსელონა“: სუბისარეტა, ფერერი, გვარდიოლა (ივანი, 80), კუმანი, კოდოლა, ბაკერო, გოიკოეჩეა, სტოიჩკოვი, ლაუდრუპი, ამორი, ბეგირისტაინი (ნადალი, 60).
„მონაკო“: ეტორი, ვალერი, სონორი, პეტი, დიუმა, პიუელი, კლინსმანი, ჟორკაეფი (სიმბა, 70), ტიურამი (ნიაკო, 46), შიფო, იკპება.
გოლები: ბეგირისტაინი (16, 27).
კუმანმა ვენ გაიტანა პენალტი (89)
გაფრთხილება: დიუმა (34), იკპება (49), სონორი (59).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 3 |
| მონაკო | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 2 |
| გალათასარაი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| სპარტაკი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |

**B ჯგუფი**

„მილანი“ — „პორტუ“ 3:0
მილანი. 32000 მაყურებელი.

„მილანი“: როსი, პანუჩი, მალდინი, ალბერტინი, კოსტაკურტა, ბარეზი, მასარო, დონადონი, პაპენი (ტასოტი, 64), სავიჩევიჩი, რადუჩოიუ (კარბონე, 83).
„პორტუ“: ვიტორ ბაია, ჟოაო პინტუ, პაულუ პერეირა (ვინია, 46), ალვეში, ფერნანდუ კოუტუ, ჟოზე კარლუში, სეკრეტარიუ, რუი ჟორჟე, დომინგუში, სემედუ, პაულინიუ სანტუში (რუი ფელიპე, 46).
გოლები: რადუჩოიუ (18), პანუჩი (40), მასარო (63).
გაფრთხილება: სეკრეტარიუ (62).

„ვერდერი“ — „ანდერლეხტი“ 5:3
ბრემენი. 29000 მაყურებელი.

„ვერდერი“: რეკი, ბასლერი (ვიდენერი, 86), ბოდე, ბრატსეტი, ბაიერსდორფერი, ბოროვკა, აილტსი, ვოტავა, ჰობში, ჰერცოგი (ვოლტერი, 46), რუფერი.
„ანდერლეხტი“: დე ვილდე, კრასონი, რუტიესი, ალბერი, ემერსი, ვალემი, ზეტერბერგი (კოიმანი, 83), ბოსმანი (ნილისი, 70), ხაარდორენი, ვერსაველი, ბოფენი.
გოლები: ალბერი (16), ბოფენი (18, 33), რუფერი (66, 89), ბრატსეტი (72), ჰობში (80), ბოდე (82).
გაფრთხილება: ვერსაველი (46), ბოსმანი (46), ზეტერბერგი (58), ვიდენერი (90).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-0 | 3 |
| ვერდერი | 2 | 1 | 0 | 1 | 7-6 | 2 |
| პორტუ | 2 | 1 | 0 | 1 | 3-5 | 2 |
| ანდერლეხტი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-5 | 1 |

## უეფას თასი

მერვედფინალი. 7-8.XII

ლა კორუნია — აინტრახტი 0:1 (0:1)
გაუდინო (11)
კარლსრუე — ბორდო 3:0 (0:1)
შმიტი-2, კირიაკოვი
ბოავიშტა — ო.ფ.ი. 2:0 (4:1)
ტენერიფე — იუვენტუსი 2:1 (0:3)
აგილერა (37), დელ სოლარი (89); მიოლერი (85)
კაზინო — სპორტინგი 3:0 დ.დ. (0:2)
კაზინომ მეორე გოლი 90-ე წუთზე შეაგდო
ინტერი — ნორვიჩ სიტი 1:0 (1:0)
ბერხკამპი (88)
ბორუსია (დორტმ.) — ბრონდბიუ 1:0 (1:1)
ცორკი
კალიარი — მეხელენი 2:0 (3:1)
ფირიკანო (14), ალეგრი (79)

## ფეხბურთის რუკასთან

**არგენტინის** ნაკრები ხვალ მაიამიში ამხანაგურ მატჩში ხვდება გერმანიას, რომელიც ამერიკულ ტურნეს იწყებს. გასულ ოთხშაბათს არგენტინელებს კამერუნის ნაკრებისთვის უნდა ემასპინძლათ, მაგრამ აფრიკელებმა ფეხბურთელები ვერ შეკრიბეს და მატჩიც ჩაიშალა.

**ჩრდილოეთ ირლანდიის** ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პიროვნება დენი ბლენჩფლაუერი პარასკევს 67 წლისა გარდაიცვალა ხანშიშესულთა თავშესაფარში. მას 1950-63 წლებში 56 მატჩი აქვს ნათამაშები ნაკრებში. იყო „ტოტენჰემის“ კაპიტანი, როცა ამ კლუბმა 1961 წელს დუბლი გააკეთა და თასების თასი მოიგო. შემდგომში ბლენჩფლაუერი „ჩელსისა“ და ჩრდილო ირლანდიის ნაკრების მწვრთნელი იყო, შემდეგ კი ინგლისურ პრესაში მიმომხილველად მუშაობდა.

**ავსტრიის** „კაზინოსთან“ 0:3 წაგება და უეფას თასიდან გამოვარდნა არ აპატიეს ბობი რობსონს და ლისაბონის „სპორტინგის“ ხელმძღვანელობამ იგი მწვრთნელობიდან დაითხოვა. ახლა რობსონი, ალბათ, წავა „ევერტონში“, რომელიც თავის მხრივ გასულ კვირას მწვრთნელ ჰოვარდ ქენდალს გამოეთხოვა.

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციამ 20-20 ათასი გირვანქა და საპროცედურო ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებით დააჯარიმა ორი კლუბი: „ასტონ ვილა“ და „ნოთს ქაუნთი“. ორივეს ავსტრალიელ მოთამაშეებთან კონტრაქტის არასწორად გაფორმება დაუმტკიცდა. „ვილაში“ ავსტრალიელთაგან მეკარე მარკ ბოსნიჩი ირიცხება, „ქაუნთიში“ კი — შონ მერფი და ბობ კატლინი.

**აფრიკაში** სათასო თვე იყო. აფრიკის ჩემპიონთა თასისთვის განის მნიშვნელობით მეორე ქალაქ კამაზეში იქაური „აშანტე კოტოკო“ ეგვიპტის „ზამალექს“ ვერ მოერია 0:0. სტუმრები ბევრს ეცადნენ, თამაში ქვეყნის დედაქალაქ აკრაში რომ გადაეტანინებიათ — აქაო და ნახევარფინალში „აშანტი კოტოკომ“ გამარჯვებით 23 სპილოს ძვლის ნაპირელი ქომაგი შეიწირაო. განმეორებითი შეხვედრა ქაიროში გაიმართა. პენალტებით 7:6 გაიმარჯვა „ზამალექმა“. რაც შეეხება აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის თასს, ტანზანიის დედაქალაქ დარ-ეს-სალამში 26 ათასი მაყურებლის თვალწინ სპილოს ძვლის ნაპირის „სტელა აბიჟონმა“ 2:0 მოუგო იქაურ „სიმბა სპორტ-კლაბს“. ბურთები კუამი დიზირემ და ზურინ ნგესენმა შეაგდეს 70-ე და 77-ე წუთებზე. მანამდე „სტელამ“ შინ ფრედ 0:0 ითამაშა, ამიტომ სტუმრად მოგების წყალობით თასიც დაისაკუთრა.

**სამხრეთ აფრიკის** რესპუბლიკაში ჩემპიონობა მესამედ მოიგო „მამელოდი სანდაუნზმა“ („დაისმა“), რომელმაც წინ უქმეებზე მაჩანჩალა „დაინამოზს“ („დინამოებს“) 2:0 სძლია. პირველობა ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ მეორე ადგილზე მიმავალი „მოროკო სვოლოუზ“ („მერცხლები“) „მამელოდის“ ვეღარ დაეწევა. შაბათსვე გაიმართა თასის ფინალიც. ზანგური ჰოუმლენდის — კვანდებელეს „ვიტბანკ ეისიზმა“ („ტუზებმა“) იოჰანესბურგში „კაიზერ ჩიფსი“ („ბელადები“) 1:0 დაამარცხეს. გამარჯვების მომტანი გოლი თამაშისთვის წამატებულ წუთებში რიჩარდ ჰეერმა გაიტანა თავისუფალი დარტყმით. აღსანიშნავია, რომ ვიტბანკელებმა ნახევარფინალში წააგეს დურბანის „ჩეთვორს რეინჯერსთან“ („ცხენოსან ჩაფრებთან“), მაგრამ ამათ ნებადართულზე მეტი უცხოელი უთამაშებიათ და წაგება მისჯიათ. სათქმელია ისიც, რომ ფეხბურთი სამხრეთ აფრიკაში, „ურჩხულად“ ცნობილი რაგბისა და კრიკეტისაგან განსხვავებით ერთიანად ზანგების სპორტია. გუნდებს თეთრკანიანები მტრისათვის თვალში ნაცრის შესაყრელადა თუ ჰყავთ.

**საფრანგეთში** ხელმოცარული ნაკრების უვარგის მრწვთნელს ფეხბურთის ფედერაციის უხერხემლო პრეზიდენტიც მიაყოლეს. წინა სამშაბათს ჟერარ ულიეს კვალად ჟან ფურნე-ფაიარიც გადადგა. ფურნე-ფაიარს დაბრალდა გულარხეინობა ბასტიის კატასტროფის გამო, როცა ჩაქცეულმა ტრიბუნამ 15 მაყურებელი იმსხვერპლა, „მარსელის“ საქრთამო სკანდალისას დაბნეულობა, როცა ფედერაცია უმოქმედოდ იყო ფიფასა და უეფას ჩარევამდე, და ბოლოს ნაკრების მარცხი, რომელმაც ისრაელთან და ბულგარეთთან ბოლო წუთებზე წააგო და აშშ-ის მიღმა დარჩა. როგორც მედია აღნიშნავს, ფურნე-ფაიარის გადადგომა ფრანგული ფეხბურთის იმიჯის გამოკეთებას წაადგებაო. თებერვალში აღნიშნულ არჩევნებამდე ფედერაციას უთავკაცებს უეფას ექს-პრეზიდენტი, მაგრამ ფიფას ვიცე-პრეზიდენტი ჟაკ ჟორჟი.

## ესპანეთი

XIII ტური. 28 ნოემბერი. სპორტინგი — რეალი 2:1, სელტა — სევილია 2:1, ვალიადოლიდი — სოსიედადი 0:0, ლოგრონიესი — ალბასეტე 2:2, ვალეკანო — ბარსელონა 2:4, ლერიდა — სარაგოსა 0:1, ტენერიფე — ოსასუნა 1:0, სანტანდერი — ვალიადოლიდი 5:1, ატლეტიკო — ლა კორუნია 0:1, ატლეტიკი — ოვიედო 1:1.

XIV ტური. 5 დეკემბერი. რეალი — ატლეტიკი 2:1, სევილია — სპორტინგი 1:2, სოსიედადი — სელტა 2:1, ალბასეტე — ვალენსია 3:1, ბარსელონა — ლოგრონიესი 2:2, სარაგოსა — ვალეკანო 4:1, ოსასუნა — ლერიდა 1:0, ვალიადოლიდი — ტენერიფე 2:0, ლა კორუნია — სანტანდერი 1:0, ოვიედო — ატლეტიკო 1:1.

XV ტური. 12 დეკემბერი. რეალი — სევილია 0:0, სპორტინგი — სოსიედადი 3:2, სელტა — ალბასეტე 1:4, ვალენსია — ბარსელონა 0:4, ლოგრონიესი — სარაგოსა 2:2, ვალეკანო — ოსასუნა 1:0, ლერიდა — ვალიადოლიდი 1:0, ტენერიფე — ლა კორუნია 0:1, სანტანდერი — ოვიედო 1:2, ატლეტიკი — ატლეტიკო 3:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლა კორუნია (3) | 15 | 9 | 4 | 2 | 19-5 | 22 |
| ბარსელონა (1) | 15 | 9 | 3 | 3 | 32-16 | 21 |
| სპორტინგი (13) | 15 | 9 | 2 | 4 | 20-14 | 20 |
| რეალი (2) | 15 | 8 | 3 | 4 | 24-15 | 19 |
| ატლეტიკი (8) | 15 | 8 | 3 | 4 | 26-18 | 19 |
| სევილია (7) | 15 | 6 | 5 | 4 | 22-13 | 17 |
| ვალენსია (4) | 15 | 7 | 3 | 5 | 19-20 | 17 |
| ალბასეტე (17) | 15 | 4 | 8 | 3 | 21-19 | 16 |
| სოსიედადი (12) | 15 | 6 | 4 | 5 | 21-23 | 16 |
| სანტანდერი (დ) | 15 | 6 | 3 | 6 | 16-12 | 15 |
| სარაგოსა (9) | 15 | 5 | 4 | 6 | 24-23 | 14 |
| ატლეტიკო (6) | 15 | 4 | 6 | 5 | 23-22 | 14 |
| ტენერიფე (5) | 15 | 6 | 2 | 7 | 20-27 | 14 |
| ოვიედო (16) | 15 | 4 | 5 | 6 | 12-21 | 13 |
| რაიო ვალ. (14) | 15 | 5 | 2 | 8 | 21-28 | 12 |
| სელტა (11) | 15 | 3 | 6 | 6 | 13-20 | 12 |
| ლოგრონ. (15) | 15 | 3 | 5 | 7 | 20-25 | 11 |
| ოსასუნა (10) | 15 | 4 | 2 | 9 | 14-23 | 10 |
| ვალიადოლ. (დ) | 15 | 3 | 4 | 8 | 10-21 | 10 |
| ლერიდა (დ) | 15 | 3 | 2 | 10 | 9-21 | 8 |

## გერმანია

XVIII ტური. 27 ნოემბერი. შტუტგარტი — ვერდერი 0:0, ფრაიბურგი — ბაიერნი 3:1, აინტრახტი — მიონხენგლადბახი 0:3, კარლსრუე — დორტმუნდი 3:3, ლევერკუზენი — დუისბურგი 2:1, კაიზერსლაუტერნი — კიოლნი 3:0, შალკე — ვატენშაიდი 4:1, ნიურნბერგი — ჰამბურგი 0:1, დინამო — ლაიპციგი 1:0.

XIX ტური. 4 დეკემბერი. ბაიერნი — ლევერკუზენი 1:1, ვერდერი — აინტრახტი 1:0, დორტმუნდი — შალკე 1:1, ჰამბურგი — კარლსრუე 1:1, ლაიპციგი — შტუტგარტი 0:0, მიონხენგლადბახი — კაიზერსლაუტერნი 3:1, კიოლნი — ნიურნბერგი 0:1, ვატენშაიდი — ფრაიბურგი 3:1, დუისბურგი — დინამო 1:1.

XX ტური. 10-11 დეკემბერი. ლაიპციგი — ვერდერი 1:1, დინამო — ბაიერნი 1:1, კაიზერსლაუტერნი — აინტრახტი 1:1, ფრაიბურგი — დორტმუნდი 4:1, ლევერკუზენი — ვატენშაიდი 1:1, კარლსრუე — კიოლნი 2:0, შტუტგარტი — დუისბურგი 4:0, ნიურნბერგი — მიონხენგლადბახი 2:4, შალკე — ჰამბურგი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზ. (5) | 20 | 9 | 7 | 4 | 40-27 | 25 |
| აინტრახტი (3) | 20 | 10 | 5 | 5 | 35-24 | 25 |
| ბაიერნი (2) | 20 | 8 | 8 | 4 | 42-23 | 24 |
| კაიზერსლ. (8) | 20 | 10 | 4 | 6 | 39-26 | 24 |
| ვერდერი (1) | 20 | 8 | 7 | 5 | 30-23 | 23 |
| ჰამბურგი (11) | 20 | 10 | 3 | 7 | 34-29 | 23 |
| დუისბურგი (დ) | 20 | 8 | 7 | 5 | 26-29 | 23 |
| მ.გლადბახი (9) | 20 | 8 | 5 | 7 | 41-38 | 21 |
| კარლსრუე (6) | 20 | 6 | 8 | 6 | 27-22 | 20 |
| დორტმუნ. (4) | 20 | 7 | 6 | 7 | 29-31 | 20 |
| ფრაიბურგი (დ) | 20 | 7 | 5 | 8 | 36-36 | 19 |
| კიოლნი (12) | 20 | 8 | 3 | 9 | 24-28 | 19 |
| შტუტგარ. (7) | 20 | 5 | 8 | 7 | 26-31 | 18 |
| დინამო (15) | 20 | 6 | 8 | 6 | 21-29 | 16 |
| ნიურნბერ. (13) | 20 | 6 | 3 | 11 | 24-33 | 15 |
| ვატენშ. (14) | 20 | 3 | 8 | 9 | 26-38 | 14 |
| შალკე (10) | 20 | 4 | 6 | 10 | 20-34 | 14 |
| ლაიპციგი (დ) | 20 | 2 | 9 | 9 | 16-35 | 13 |

„დინამოს“ დაკლებული აქვს 4 ქულა.
ჩემპიონატი 12 თებერვალს განახლდება

# შტიხმა დაჩრდილა ბეკერი

დევისის თასის ფინალი.
დიუსელდორფი. 3-5.XII

**გერმანია — ავსტრალია 4-1**

25 წლის მიუნხენელი შტიხი გერმანელ ქომაგთა ახალი კერპი შეიქნა: მან ფინალშიც გაამარჯვებინა გერმანიას ხელოვნურ საფარზე — წითელ სინთეტიკურ ხალიჩაზე. გერმანელებს დიდად დაეხმარა 13 ათასი მაყურებელიც, რომელიც მღეროდა, ფეხებს აბრაგუნებდა და ე.წ. მექსიკურ ტალღასაც აწყობდა, რალა თქმა უნდა, ბურთის გათამაშებებს შორის შუალედებში.

ავსტრალია თავიდანვე მაჩანჩალად მიიჩნეოდა. ერთმა ბრიტანელმა მიმომხილველმა შენიშნა, ახალი ზელანდიის კრიკეტის გუნდზე სჯობს ფსონის გაკეთება, ვიდრე ავსტრალიის ჩოგბურთისაზეო. თუ რატომ — „შედეგთა დაფიდან" შეიტყობთ.

ერთეულთა პირველი თამაშებისთვის სტუმართა კაპიტანმა ნილ ფრეიზერმა შტიხს მაზურის ნაცვლად სტოლტენბერგი შეახვედრა, გერმანელებმა კი ავსტრალიელთა ლიდერ ფრომბერგს გელნერი შეაჯიბრეს. გელნერი შესვენებებისას სულ ბანანებს მიირთმევდა; აი, ტასმანიელ გოლიათ ფრომბერგს მატჩისთვის მზადებისას კი ფეხის კუნთი სტკენოდა და ხეირიანად ვერ ევარჯიშა. სტოლტენბერგი ბალახზე თამაშის ოსტატადაა ცნობილი, მაგრამ ხალიჩაზეც არ შეეპუა გერმანელთა ლიდერს. შტიხმა ხუთ ხელშიღა მოიგო 6:7, 6:3, 6:1, 4:6, 6:3, თანაც ბოლო ხელში თავიდან 0:2 აგებდა. თიხაზე თამაშის სპეციალისტ ფრომბერგსაც ოთხნახევარსაათიანი ომი გადახდა გელნერთან. გერმანელმა პირველი ორი ხელი მოიგო, მერე კი მესამე ხელის ტაი-ბრეიკში სამი მატჩ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ფრომბერგმა სამივეჯერ მოიგო გათამაშება, მოიგო ხელიც, მერე მოიგო მეოთხე ხელიც, მაგრამ მეხუთეში გელნერი 7:6 დაწინაურდა და კიდევ ორჯერ მიაღწია მატჩ-პოინტამდე. პირველ ჯერზე ფრომბერგი ეისმა იხსნა, მეორედ — დაუცემლად დარტყმამ. სტუმარმა ეს ხელი ბოლოსდაბოლოს 9:7 მოიგო და გუნდური ანგარიში გააყაიმა 1-1.

ამ ეტაპზე ფრე ავსტრალიისათვის იყო ხელსაყრელი, რაკილა საშაბათოდ მისი „ვუდების" წყვილი — ვუდფორდი და ვუდბრიჯი შტიხ — კიუნენის ახლადშეკოწიწებულ დუეტს უნდა შეხვედროდა. შტიხს წყვილში აქამდე უიმბლდონიც მოეგო, ოღონდ ჯონ მაკინროუსთან ერთად, „ვუდებს" კი აქამდე ზედიზედ 17 ფინალი მოეგოთ, მაგრამ სწორედ იმ უქმეებზე დამარცხებულიყვნენ ჰოლანდიელ წყვილთან (იხილე „დაფა"). „ვუდები" ისევ დამარცხდნენ. მართალია, თავიდან შტიხმა წააგო მოწოდება და სტუმრები პირველ ხელში 4:1 დაწინაურდნენ, მაგრამ არც ვუდფორდი დარჩენილა ვალში. საბოლოოდ საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა და ხელიც გერმანელებმა მოიგეს. მეორე ხელში სტუმრებმა იმარჯვეს, მაგრამ მესამეში ვუდბრიჯმა წააგო მოწოდება. მეოთხე ხელში 5:3-ზე შტიხმაც წააგო მოწოდება, მაგრამ მაინც გერმანიამ მოიგო 7:6, 4:6, 6:3, 7:6, რაც უკვე გამარჯვებას მოასწავებდა, რადგანაც 1977 წლიდან მოყოლებული ვისაც წყვილთა შეხვედრა მოეგო, თასიც მისი გამხდარა. ასეც მოხდა. კვირას, ერთეულთა პირველსავე შექცეულ შეხვედრაში შტიხმა ფრომბერგს აშკარად აჯობა 6:4, 6:2, 6:2 და გუნდს მესამე ქულა მოუპოვა.

გერმანელებმა ბოლო ექვს წელიწადში მესამედ მოიპოვეს დევისის თასი. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია გაისიდან გათამაშების სისტემის შეცვლას აპირებს: მსოფლიო ჯგუფში პირველ ეტაპზე მოეწყობა წრიული ტურნირები ისე, რომ თითოეულ მონაწილეს მინიმუმ სამი მატჩი ჰქონდეს გარანტირებული.

მარცხიანად დასრულდა ავსტრალიელთა კაპიტნის კარიერაც. ფრეიზერი 24 წელი ხელმძღვანელობდა გუნდს, მაგრამ იმის გამო, რომ დიდი სლემის გამარჯვებულთაგან კეშის მეტი არავინ ჰყოლია, 6 ჯერზე მეტად ვერ გაიყვანა გუნდი ფინალში და 4 ჯერზე მეტად ვერ მოიგო თასი. ფრეიზერის წინამორბედმა ჰარი ჰოპმანმა კი 20-წლიანი ზეობა 15 ტრიუმფით აღნიშნა: მის დროს ავსტრალიას ემერსონი, ლეივერი, ნიუკომბი და მისთანები ჰყავდა და ამას გარდა 1972 წლამდე თასის მფლობელი შემდეგ გათამაშებაში ხომ უშუალოდ ფინალს თამაშობდა. ფრეიზერს, რომელსაც ემერსონის მხარდამხარ უიმბლდონში და აშშ-ის ღია პირველობაზე გაუმარჯვნია წყვილში, ნაკრების საჭესთან სავარაუდოდ შეცვლის ჰოპმანის მოწაფე და ლენდლის მწვრთნელყოფილი ტონი როუჩი. 45 წლის მანძილზე იგი ავსტრალიელთა ოდენ მესამე (!) კაპიტანი იქნება.



# დეკემბრის სუსხის მიუხედავად...

(დასაწყისი პირველ გვერდზე)

შეხვედრა პირველიდან ბოლო წამებამდე დაძაბულად მიმდინარეობდა და ზავით დამთავრდა.

საერთოდ კი ექვსეულის ერთადერთ ვაკანსიაზე (დანარჩენი ხუთი ადგილი პრაქტიკულად განაღდებული აქვთ „შევარდენს", „მამულს", „ორბს" და ორივე „ამირანს") „მართვესა" და „იბერიასთან" ერთად სამტრედიის გუნდიც აცხადებს პრეტენზიას. ამ უკანასკნელთა მონაწილეობა ჩემპიონატში განსაკუთრებულად აღსანიშნავია. სამტრედიელებს სულა უარი რომ ეთქვათ თამაშზე, ვის მოუბრუნდებოდა ენა მათზე ძვირის სათქმელად. ქალაქში, რომელიც ორიოდე თვის წინ სამარი მოქმედების ეპიცენტრი იყო და ნგრევასთან ერთად მორალური ტრავმაც განიცადა, ერთი შეხედვით, დღეს საბურთაოდ არა სცალიათ და მაინც, თუკი სამტრედიაში სპორტის ეს სახეობა ჯერ კიდევ ოდნავ ფეთქავს, იმ თხუთმეტიოდე ფანატიკოსის დამსახურებაა, რომლებსაც სათავეში მწვრთნელი მილერ ქიშმარია უდგას. გუნდმა წლეულს მოიპოვა ეროვნულ ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება. თბილისში ჩამოუსვლელობა კი ამ ადგილის დაკარგვას ნიშნავდა და ცხრა კაციანმა გუნდმაც დედაქალაქისკენ გამოსწია. მაგრამ გზაში იმდენი იწვალეს, მათ ადგილზე ალბათ ყველა უკან გაბრუნდებოდა. ჯერ იყო და სამტრედიიდან წამოსული მატარებელი გაურკვეველი დროით ზესტაფონში გაიჭედა. ავტობუსზე გადამჯდართ ზედ რიკოთის უღელტეხილზე უმტყუნა ძრავმა. თოვლსა და ყინვაში გათოშილებს გზად მომავალი „იკარუსის" მძღოლმაც დააჭირა წიხლი და თბილისამდე ორასიოდე კილომეტრში კაცზე 300 000 კუპონი მოითხოვა. ცხადია, სამილიონებო ხარჯები ამ თანხასთან შედარებით კაპიკები იყო და ბიჭებსაც საკუთარი ჯიბიდან მოუწიათ გადახდა. მოკლედ, ორდღიანი ტანჯვის შემდეგ გუნდმა, როგორც იქნა, დაგვიანებით, მაგრამ მაინც ჩამოაღწია თბილისში. მარტო ამიტომ იმსახურებენ სამტრედიელი ხელბურთელები პატივისცემასა და მხარდაჭერას, მით უფრო, რომ ისინი თავის ქვეჯგუფში აუტსაიდერები არიან და პრაქტიკულად, წინასწარ წაგებულ თამაშებზე მოდიოდნენ.

რაც შეეხება ჩემპიონობის მთავარ კანდიდატებს „შევარდენსა" და „ამირანს", ჯერჯერობით არცერთს არანაირი პრობლემა არ გასჩენია და ქულათა მაქსიმუმით სათავეში უდგანან სატურნირო ცხრილს.

აქვე გაცნობებთ, რომ მეორე ტურში, რომელიც ზეგ დაიწყება სპორტის სასახლეში, რამდენიმე საინტერესო თამაში გველის, რომელთაგანაც უმთავრესია საკვირაოდ დანიშნული „შევარდენი" — „ამირანის" დერბი.

გია ახალაძე

ავტორის ფოტო



# მწვრთნელთა აზრით...

ჩემპიონატის დაწყების წინ გავესაუბრეთ რვავე გუნდის მწვრთნელს. კითხვები ყველას ერთნაირი დავუსვით: როგორ მოემზადნენ პირველობისთვის და რა მიზნები აქვთ?

**„შევარდენი-სტუ".**
**წინა სამივე ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული.**

**მერაბ მეტრეველი:** — ივნისის ბოლოს დამთავრებული წინა ჩემპიონატის შემდეგ ბიჭებმა სულ ორიოდე კვირა დაისვენეს და ევროპის ჩემპიონთა თასზე თამაშებისთვის დაიწყეს მზადება. ჩეხეთში გამართული ორი მატჩის შემდეგ, სექტემბრიდან ძირითადი ყურადღება გავამახვილეთ ფიზიკურ მომზადებაზე. მაშინ გადავწყვიტეთ რამდენიმე მოთამაშის გადაყვანა პირველიდან ჩვენს მეორე გუნდში „ორბში". ჯერ ერთი, „ორბის" გასაძლიერებლად, და რაც მთავარია, იმისთვის, რომ ამ ბიჭებს თამაშის საშუალება მისცემოდა, რადგან „შევარდენში" უმეტესად სათადარიგოთა სკამზე უხდებოდათ ჯდომა. თავის მხრივ „ორბიდან" გადმოვიყვანეთ სპარტაკ ქისიევი, გიორგი ქობელაშვილი და დავით იაკობიძე. „კოლხეთი-91"-დან მოვიდა გიორგი თურქია. დაცვის ერთ-ერთი ბურჯი რომან სივოპლიასოვი მოსკოვის „ალფა-ომეგაში" გადავიდა ერთი სეზონით და ზაფხულში, ევროპის თასზე თამაშებისთვის დაუბრუნდება გუნდს. „შევარდენი" ცხადია, ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

**„ამირანი"**
**1991-92 — III**
**1992-93 — II**

**ვახტანგ ბერიაშვილი:** — ჩვენც ისეთივე გაჭირვებულ პირობებში ვემზადებოდით, როგორც სხვა გუნდები - გათბობისა და ცხელი წყლის გარეშე, რის არსებობაც საერთოდ დაგვავიწყდა. ვვარჯიშობთ სპორტკომპლექს „იმედის" დარბაზში. ამ უტრანსპორტობის დროს ძნელია ვარჯიშებზე ასპროცენტიანი დასწრება მოსთხოვო ბიჭებს. მათი მატერიალური წახალისებისათვის საშუალება კი გამოვნახეთ, მაგრამ ეს მაინც მხოლოდ წვეთია ზღვაში. გუნდი დასტოვა ერთ-ერთმა წამყვანმა მოთამაშემ ერიკ სივოპლიასოვმა, რომელიც კონტრაქტით თამაშობს კვიპროსში, კერძოდ ნიქოზიის „სტროვოლისში". მომავალ ჩემპიონატში „ამირანის" ამოცანაა პირველობისთვის ბრძოლა.

**„მამული"**
**1990-91 - III**
**1991-92 - IV**
**1992-93 - III**

**რევაზ ჭანტურია:** — სხვადასხვა მიზეზის გამო გუნდის ოთხი მოთამაშე გამოტოვებს პირველ ტურს. ძირითადმა მეკარემ ტატო დოლიძემ თვალი დაიზიანა. თემურ კინწურაშვილსაც ტრავმა აქვს. ჩვენი ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშე ტიტე კალანდაძე თურქეთის ჩემპიონატში თამაშობდა „ესკიშეირის" შემადგენლობაში და საკმაო წარმატებითაც - ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. ამ დღეებში დაბრუნდება და შემოუერთდება გუნდს. რაც შეეხება რევაზ უშვერიძეს, ის რუსეთში წავიდა სათამაშოდ. აღსანიშნავია, რომ კლავინდებურად მხარში გვიდგას და მატერიალურად ყოველმხრივ გვეხმარება ჩვენი სპონსორი - თბილისის ბიზნეს ცენტრი. მომავალ ჩემპიონატში „მამულის" პროგრამა-მინიმუმია მესამე ადგილი.

**„ამირანი-2"**

ეს გუნდი სახელითაა ახალი, ისე კი საკმაოდ გამოცდილი ხელბურთელებითაა დაკომპლექტებული. ისინი არიან საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის „კოლხეთი - 91"-ის წევრები. ეს საინტერესო, იმედის მომცემი კოლექტივი წინა ჩემპიონატის შემდეგ, რომელშიც მეოთხე ადგილზე გავიდა, ინსტიტუტისა და სპონსორთა უსახსრობის გამო დაიშალა. სწორედ მაშინ გამოუჩნდათ ბიჭებს ახალი მეპატრონე „კავკასიის კონცერნის" სახით და ისინიც მთელი შემადგენლობით გადავიდნენ „ამირანში".

**ალექსანდრე ნავროზაშვილი:** — ჩვენც პირველ „ამირანთან" ერთად „იმედში" ვვარჯიშობთ მართალია, გუნდის ძირითადი ბირთვია ყოფილი „კოლხეთის" წევრები, მაგრამ მაინც შეთამაშებას და მოედანზე ურთიერთგაგებას გარკვეული დრო დასჭირდება. ახალი გუნდის კვალობაზე მიზანი შედარებით მოკრძალებული გვაქვს — მთავარია ოთხეულში გასვლა, რაც გაისად ევროპულ ტურნირში თამაშის საშუალებას მოგვცემს.

**„ორბი-სტუ"**
**1991-92 - VI**
**1992-93 - V**

**ამბერკი ტაბიძე:** — „ორბი" საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეორე გუნდია, რომლის მიზანია შევსება მოუმზადოს „შევარდენს". წელს პირველი გუნდიდან „ორბში" გადმოვიყვანეთ რამოდენიმე მოთამაშე, აგრეთვე დავაბრუნეთ მეკარე გიორგი ბუთიკაშვილი, გამოცდილი ალექსანდრე სალაყაია და გამთამაშებელი გიორგი ჩრდილელი, რომლებსაც საერთოდ დანებებული ჰქონდათ თავი ხელბურთისათვის. მომავალ ჩემპიონატში „ორბი" საპრიზო ადგილისთვის იბრძოლებს.

**„მართვე"**
**1990-91 - V**
**1991-92 - V**
**1992-93 - VIII**

**ჯიმშერ დვალიშვილი:** — ჩემპიონატისთვის საკუთარ ჭერქვეშ, ჯემალ ცერცვაძის სახელობის სპეციალიზირებული სკოლის დარბაზში ვემზადებოდით, რაც დღევანდელ პირობებში საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია. გუნდის ყველა წევრიც ჩვენი სკოლის მოსწავლეა, მხოლოდ ერთია „გარედან" - გორელი მწვრთნელის ლევან იაშვილის აღზრდილი ილია თურაზაშვილი. „მართვეს", რომელიც პრაქტიკულად საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებია, გაისად დიდი გამოცდა ელის - თანატოლთა ევროპის პირველობის შესარჩევი მატჩები პოლანდიისა და რუმინეთის გუნდებთან. ამდენად, რესპუბლიკის ჩემპიონატი მათთვის მოსამზადებელი პერიოდია, რომელიც იმედია, ნაყოფიერად ჩაივლის და სარგებლობას მოუტანს ბიჭებს. ჯერ მთავარია ექვსეულში მოხვედრა, მერე კი ოთხეულზეც შეიძლება ფიქრი.

**„იბერია" (გორი)**
**1992-93 - VII**

**ლევან იაშვილი:** — გუნდი ემზადებოდა გორის ეკონომიკური ინსტიტუტის ერთიციცქნა დარბაზში, რომელიც სრულიად შეუფერებელია ნორმალური ვარჯიშისთვის. ქალაქში არის უკეთესი დარბაზი - სპორტსკოლისა, მაგრამ იქ არ გვიშვებენ. მადლობის მეტი რა მეთქმის ბიჭების მისამართით, რომლებიც ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ვარჯიშობენ, ფორმასაც თავისი ფულით ყიდულობენ და ჯერ კიდევ არ განელებიათ სიყვარული ხელბურთისადმი. ახლაც თბილისში საკუთარი ხარჯით წამოვიდნენ, რადგან ქალაქის სპორტკომიტეტმა ვერ მოგვცა მივლინების თანხა. დიდი მადლობა გაზეთ „სარბიელს", რომელმაც გადაიხადა ჩვენი გუნდის საწევრო შესატანი, აგრეთვე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს მერაბ მეტრეველს, რომელიც გვეხმარება შეძლებისდაგვარად და ახლაც აგვინაზღაურა კვებისა და სასტუმროს ხარჯები. ფედერაციის პრეზიდენტის, ბატონ ნიკა ცხაკაიას მცდელობით „იბერიას" სპონსორი გამოუჩნდა - ესაა გორის საწარმოო გაერთიანება „ბამბეულის კომბინატი". გაერთიანების დირექტორი ბატონი მერაბ ნიჟარაძე უახლოეს დღეებში მნიშვნელოვან მატერიალურ დახმარებას დაგვპირდა. ჩემპიონატში „იბერიის" მთავარი ამოცანაა უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება.

**„სამტრედია"**
**უმაღლეს ლიგაში პირველად გამოდის**

**მილერ ქიშმარია:** — ცნობილი მიზეზების გამო გუნდის წევრები მხოლოდ ერთი თვის წინ შეუდგნენ ვარჯიშს. და მაინც ჩავთვალეთ, რომ აუცილებელი იყო ჩემპიონატში მონაწილეობა, მითუმეტეს, რომ კონკრეტული მიზანიც გვაქვს - ექვსეულში მოხვედრა, რაც შეგვინარჩუნებს ადგილს უმაღლეს ლიგაში. პირველი ტურის მატჩებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეები ნუგზარ ფანჩულიძე და ოთარ წულეისკირი. იმედია, ისინი მალე შემოგვიერთდებიან და მნიშვნელოვნადაც დაეხმარებიან.

**6 დეკემბერი**

**„ამირანი" — „მართვე" 42:14 (20:6)**
„ამირანი": ქოქოსაძე, კერესელიძე (7), ანდრიაშვილი (6), ნავრატილი (6), თორდია (6), ბერაძე (5), ხანიაშვილი (3), გელაშვილი (3), როგავა (2), ბაბაჯანი (2), ხურციძე (1), თხილავა (1), კენჭაძე.
„მართვე": ცხადაია, ზვიადაური(5), ტაბატაძე(4), ჩაჩანიძე(2), მჟავია(1), ჯღარკავა(1), ჭაფოძე, გვაზავა, ლუხუტაშვილი, დანელია, თურაზაშვილი, რობაქიძე.

**„ამირანი-2"—„ორბი-სტუ" 24:27 (10:12)**
„ამირანი-2": დავით ბერიკაშვილი, მარგებაძე (7), ზვიად შათირიშვილი (5), იუნანოვი (4), კაცაძე (3), ჯუსოშვილი (2), სიორიძე (2), ხორგუაშვილი (1), სოსო შათირიშვილი, ყარმაზანაშვილი, მახარობლიძე.
„ორბი-სტუ": ბუთიკაშვილი, ბოყოჩაძე (10), განერელია (5), ჩხაიძე (5), ჩაჩანაშვილი (3), ურუშაძე (2), პაპიაშვილი (1), ნაროზაული (1), კარაიანისი, ნადირაშვილი, ალასანია.

**„მამული" — „იბერია" (გორი) 50:22 (27:9)**
„მამული": ჯაფარიძე, გაბრიჩიძე (15), მჭედლიშვილი (14), ბარათაშვილი (6), ჯიაძე (4), ყიყიაშვლი (4), არსენიშვილი (4), მაღლაქველიძე (3), ღლონტი, ბარბაქაძე, სალუქვაძე.
„იბერია": კოვზიაშვილი, მამაცაშვილი (12), მშვიდობაძე (4), მოციქულაშვილი (3), თურმანიძე (1), მაისურაძე (1), მემანიშვილი (1), ქურდაძე.

**„შევარდენი-სტუ" — „სამტრედია" 10:0**
სამტრედიელებს თბილისში ჩამოსვლა დააგვიანდათ და წაგება ჩაეთვალათ.

**7 დეკემბერი**

**„ამირანი-2" — „სამტრედია" 22:17 (12:4)**
„ამირანი-2": დავით ბერიკაშვილი, მარგებაძე (5), ნარჩომაშვილი (4), ჯუსოშვილი (3), კაცაძე (2), ხორგუაშვილი (2), მახარობლიძე (2), ზვიად შათირიშვილი (1), იუნანოვი (1), ყარმაზანაშვილი (1), სიორიძე (1).
„სამტრედია": კიკნაძე, ხელისუფალი (10), ლომიძე (4), ჯულაქიძე (2), რუხაძე (1), ქოიავა, ხვიჩია, კიკაჩეიშვილი.

**„ამირანი" — „იბერია" 36:13 (20:9)**
„ამირანი": კენჭაძე, ანდრიაშვილი (5), კერესელიძე (5), თორდია (5), ხურციძე (5), ბერაძე (3), როგავა (3), გელაშვილი (3), ნავრატილი (2), ხანიაშვილი (2), თხილავა (2), ბაბაჯანი (1).
„იბერია": კოვზიაშვილი, მამაცაშვილი (4), მოციქულაშვილი (4), მშვიდობაძე (3), თურმანიძე (2), მემანიშვილი, მაისურაძე.

**„მამული" — „მართვე" 42:20 (22:11)**
„მამული": ჯაფარიძე, მჭედლიშვილი (9), მაღლაქველიძე (7), ბარათაშვილი (6), გაბრიჩიძე (6), არსენიშვილი (5), ყიყიაშვილი (5), ჯიაძე (3), ბარბაქაძე (1), ღლონტი, სალუქვაძე.
„მართვე": ცხადაია, გვაზავა (5), ლუხუტაშვილი (4), ჩაჩანიძე (3), ტაბატაძე (3), ზვიადაური (2), ჯღარკავა (2), ლუტიძე (1), ჭაფოძე, თურაზაშვილი, მჟავია, რობაქიძე.

**„შევარდენი-სტუ"—„ორბი-სტუ" 37:33 (17:12)**
„შევარდენი": ქისიევი, ორჯონიკიძე (11), მეიფარიანი (7), მჟავანაძე (7), იაკობიძე (6), თურქია (2), მინდელი (2), ქობელაშვილი (2), კეკელიძე.
„ორბი": ბუთიკაშვილი, ბოყოჩაძე (9), განერელია (6),პაპიაშვილი (5), ჩხაიძე (4), ჩაჩანაშვილი (3), ურუშაძე (3), ნაროზაული (2), ნადირაშვილი (1), სალაყაია, კარაიანისი, ალასანია.

**8 დეკემბერი**

**„მართვე" — „იბერია" 22:22 (9:11)**
„მართვე": ცხადაია, ჩაჩანიძე (9), ლუხუტაშვილი (5), თურაზაშვილი (3), ჭაფოძე (2), ზვიადაური (2), ჯღარკავა (1), გვაზავა, ტაბატაძე, მჟავია, ლუტიძე, რობაქიძე.
„იბერია": კოვზიაშვილი, თურმანიძე (6), მამაცაშვილი (5), დადიანიძე (5), მშვიდობაძე (3), მოციქულაშვილი (2), მემანიშვილი (1).

**„ორბი-სტუ" — „სამტრედია" 32:14 (11:8)**
„ორბი-სტუ": ბუთიკაშვილი, ურუშაძე (12), ჩრდილელი (5), ბოყოჩაძე (4), ჩაჩანაშვილი (3), კარაიანისი (3), განერელია (2), ჩხაიძე (2), პაპიაშვილი (1), სალაყაია, ნაროზაული, ნადირაშვილი, ალასანია.
„სამტრედია": კიკნაძე, ხელისუფალი (7), ჯულაყიძე (3), ლომიძე (2), რუხაძე (2), ქოიავა, ხვიჩია.

**9 დეკემბერი**

**„შევარდენი-სტუ" — „ამირანი-2" 35:27 (19:9)**
„შევარდენი": ქისიევი, თურქია (11), მეიფარიანი (5), იაკობიძე (4), ქობელაშვილი (4), ორჯონიკიძე (4), მინდელი (3), მჟავანაძე (2), კეკელიძე (2), ბარამიძე.
„ამირანი-2": დავით ბერიკაშვილი, იუნანოვი (6), კაცაძე (5), მარგებაძე (4), ზვიად შათირიშვილი (4), სიორიძე (2), ჯუსოშვილი (2), ხორგუაშვილი (2), ყარმაზანაშვილი (2), მახარობლიძე, ნარჩომაშვილი, ოთარ ბერიკაშვილი.

**„ამირანი" — „მამული" 34:26 (17:11)**
„ამირანი": ქოქოსაძე, თორდია (9), გელაშვილი (7), კერესელიძე (6), ანდრიაშვილი (5), ნავრატილი (3), ხურციძე (2), როგავა (1), ბერაძე (1), ბაბაჯანი, ხანიაშვილი, კენჭაძე.
„მამული": სალუქვაძე, გაბრიჩიძე (7), არსენიშვილი (5), მჭედლიშვილი (5), ღლონტი (4), ბარათაშვილი (4), მაღლაქველიძე (1), ყიყიაშვილი, ჯაფარიძე.

**მდგომარეობა I ტურის შემდეგ**

**პირველი ქვეჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შევარდენი-სტუ | 3 | 3 | 0 | 0 | 82-60 | 6 |
| ორბი-სტუ | 3 | 2 | 0 | 1 | 92-75 | 4 |
| ამირანი-2 | 3 | 1 | 0 | 2 | 73-79 | 2 |
| სამტრედია | 3 | 0 | 0 | 3 | 31-64 | 0 |

**მეორე ქვეჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამირანი | 3 | 3 | 0 | 0 | 112-53 | 6 |
| მამული | 3 | 2 | 0 | 1 | 118-76 | 4 |
| მართვე | 3 | 0 | 1 | 2 | 56-106 | 1 |
| იბერია | 3 | 0 | 1 | 2 | 57-108 | 1 |

# ტოტალიზატორი "CROCO"

თამაშის წესები:

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად რამდენიმე მატჩის შედეგის გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიცხენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგების კოეფიციენტია — 4,0.

ფსონის მინიმალური თანხაა 5 000 კუპონი. ფსონების ვარიანტების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.

მოგებები გაიცემა ქვითარში აღნიშნული ბოლო მატჩის დღიდან ერთი კვირის განმავლობაში.

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს ეროვნული სტადიონის მეხუთე სალაროში 13-დან 16 საათამდე.

დაწვრილებით წესებს შეგიძლიათ გაეცნოთ ეროვნული სტადიონის V სალაროში.

## უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 18-19 დეკემბერი | აშშ — გერმანია | | 4,0 | 2,2 | 1,4 |
| | მანჩესტერ იუნ. — ასტონ ვილა | | 1,2 | 2,4 | 6,0 |
| | ტოტენჰემი — ლივერპული | | 1,4 | 2,2 | 4,0 |
| | ლიდსი — არსენალი | | 1,4 | 2,2 | 4,0 |
| | სევილია — ბილბაო | | 1,6 | 2,0 | 3,4 |
| | სოსიედადი — რეალ მადრიდი | | 2,5 | 2,0 | 2,0 |
| | ალბასეტე — სპორტინგი | | 1,7 | 2,0 | 3,2 |
| | ბარსელონა — სელტა | | 1,2 | 2,4 | 6,0 |
| | ოსასუნა — ლოგრონიესი | | 1,7 | 2,0 | 3,2 |
| | ვალიადოლიდი — ვალეკანო | | 1,5 | 2,0 | 3,6 |
| | დეპორტივო — ლერიდა | 0:1 | 1,4 | 1,7 | 5,0 |
| | ოვიედო — ტენერიფე | | 1,5 | 2,0 | 3,6 |
| | ატლეტიკო — რესინგი | | 1,2 | 2,4 | 6,0 |
| | კრემონეზე — უდინეზე | | 1,2 | 2,4 | 6,0 |
| | ფოჯა — ტორინო | | 1,8 | 2,0 | 3,0 |
| | იუვენტუსი — პიაჩენცა | 0:1 | 1,3 | 2,2 | 4,0 |
| | ლეჩე — ლაციო | | 2,5 | 2,3 | 1,7 |
| | მილანი — კალიარი | 0:1 | 1,4 | 2,2 | 3,0 |
| | პარმა — ნაპოლი | | 1,2 | 2,4 | 6,0 |
| | რომა — ინტერი | | 2,0 | 2,0 | 2,5 |
| | სამპდორია — რეჯანა | 0:1 | 1,2 | 2,4 | 4,5 |

მოგებული თანხები გაიცემა 21-22 დეკემბერს.

22 დეკემბრიდან 7 იანვრამდე ფსონების მიღება და მოგებების გაცემა დროებით შეწყდება. შემდეგი ტური გათამაშდება 8-9 იანვარს

## ჩემპიონთა თასი

1. ჯგუფში გუნდების მიერ დაკავებული ადგილების თანმიმდევრობა — 4,0
2. ჯგუფიდან ნახევარფინალში გასვლა:

„ა" ჯგუფი:
ბარსელონა — 1,4
მონაკო — 1,8
სპარტაკი — 2,0
გალათასარაი — 2,2

„ბ" ჯგუფი:
მილანი — 1,4
ვერდერი — 1,8
პორტუ — 2,0
ანდერლეხტი — 2,2

ფსონის გაკეთება შეიძლება ჯგუფიდან როგორც ერთი, ასევე ორივე გუნდის გასვლაზე. ამ შემთხვევაში შესაბამისი კოეფიციენტები მრავლდება.

3. ჯგუფში პირველ ადგილზე გასული გუნდის გამოცნობა:

„ა" ჯგუფი:
ბარსელონა — 1,5
მონაკო — 4,0
სპარტაკი — 4,5
გალათასარაი — 7,0

„ბ" ჯგუფი:
მილანი — 1,5
ვერდერი — 3,5
პორტუ — 4,8
ანდერლეხტი — 7,0

## თასის მფლობელის გამოცნობა:

| ჩემპიონთა თასი | თასების თასი | უეფას თასი |
|---|---|---|
| მილანი — 2,4 | აიაქსი — 3,5 | იუვენტუსი — 2,8 |
| ბარსელონა — 3,0 | პარმა — 3,5 | ინტერი — 2,8 |
| ვერდერი — 4,5 | რეალი — 3,5 | აინტრახტი — 3,7 |
| პორტუ — 6,0 | არსენალი — 4,5 | ბორუსია — 5,5 |
| ანდერლეხტი — 7,0 | ტორინო — 5,5 | კალიარი — 9,0 |
| მონაკო — 7,5 | პსჟ — 6,0 | კარლსრუე—11,0 |
| სპარტაკი — 8,0 | ბენფიკა — 7,0 | ბოავიშტა—25,0 |
| გალათასარ. — 9,0 | ბაიერი — 7,5 | კაზინო—60,0 |

აღნიშნული კოეფიციენტები მოქმედებს 1 იანვრამდე

ქვითარზე აღინიშნება ფსონის ჩაბარების თარიღი და მოგების შემთხვევაში მიიღებთ თანხას იმ კოეფიციენტით, რომელიც მოქმედებდა ფსონის ჩაბარების დროს.

# შედეგთა დაფა

## ჭადრაკი

საქართველოს საკლუბო ჩემპიონატი. თბილისი, 16-25 ნოემბერი.

12-გუნდიან ტურნირში გაიმარჯვა ხობის „კოლხეთმა" (გენადი ზაიჩიკი, ლაშა ჯანჯღავა, ვლადიმერ სოლოუენკინი, ალექსანდრე დგებუაძე, რომან სიჭინავა, ზურაბ ტყებუჩავა, გოჩა ტყებუჩავა) — 42-დან 32,5 ქულა და გაისად ევროპის საკლუბო ჩემპიონატში გამოვა.

მსოფლიოს ჩემპიონატი 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეებს შორის.

გოგონებში ჩემპიონი გახდა ნინო ხურციძე (საქართველო)

## წყალბურთი

საქართველოს ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი. თბილისი, 28 ნოემბერი — 1 დეკემბერი.

„დინამო" (თბილისი) — სტუ 5:0, „მესეფენი" (თსუ) — „მართვე" (თბილისი) 5:3, „დინამო" — „მართვე" 14:3, „მესეფენი" — სტუ 12:6, „მართვე" — სტუ 12:8, „დინამო" — „მესეფენი" 14:10. საბოლოო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" | 3 | 0 | 0 | 33-13 | 6 |
| „მესეფენი" | 2 | 0 | 1 | 27-23 | 4 |
| „მართვე" | 1 | 0 | 2 | 18-27 | 2 |
| სტუ | 0 | 0 | 3 | 14-29 | 0 |

## ძიუდო

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. პაპენდალი, პოლანდია.

ჩემპიონები: +95 კგ. რალფ კოსერი (გერმანია), 2. ალექსი დავითაშვილი (საქართველო); 95 კგ. დანიელ გიურშნერი (გერმანია), 3. თამაზ ცოფურაშვილი (საქართველო); 86 კგ. დიმიტრი მოროზოვი (რუსეთი); 78 კგ. დარსელ იანცზი (საფრანგეთი); 71 კგ. კონსტანტინ სავიჩკინი (რუსეთი); 65 კგ. ბენიტო მაი (პოლანდია); 60 კგ. გიორგი ვაზაგაშვილი (საქართველო)

## ძალოსნობა

მსოფლიოს ჩემპიონატი. მელბურნი, 12-21 ნოემბერი (ჯერჯერობით 10-დან მხოლოდ 7 წონითი კატეგორიის შედეგები მოვიპოვეთ)

59 კგ. 1. ნიკოლაი პეშალოვი (ბულგარეთი) — 305კგ; 2. პაფეზ სულეიმანოღლუ (თურქეთი) — 295; 3. ტან ნინშენი (ჩინეთი) — 292,5

64 კგ. 1. ნაიმ სულეიმანოღლუ (თურქეთი) — 322,5; 2. რი პი ბონი (ჩრდილო კორეა) — 317,5; 3. იურიკ სარქისიანი (სომხეთი) — 315

70 კგ. 1. იოტო იოტოვი (ბულგარეთი) — 342,5; 2. ერლუნ ბათმაზი (თურქეთი) — 332,5; 3. ანდრეას ბემი (გერმანია) — 330

76 კგ. 1. ალთიმურად ორაზდურდიევი (თურქმენეთი) — 370; 2. რუსლან სავჩენკო (უკრაინა) — 370; 3.კიმ მიონ ნამი (ჩრდილო კორეა) — 362,5

83 კგ. 1. პიროს დიმასი (საბერძნეთი) — 377,5; 2. მარკ პუსტერი (გერმანია) — 375; 3. კირილ კუნევი (ავსტრალია) — 372,5

91 კგ. 1. ივან ჩაკიროვი (ბულგარეთი) — 407,5; 2. კახი კახიაშვილი (საქართველო) — 402,5; 3. ანატოლე ხრაპატი (ყაზახეთი) — 395

99 კგ. 1. ვიქტორ ტრეგუბოვი (რუსეთი) — 407,5; 2. სერგეი სირცოვი (რუსეთი) — 407,5; 3. ბორის ბუროვი (ეკვადორი) — 395

## მძლეოსნობა

იააფ-ის კროსის მსოფლიო თასი. პირველი ეტაპი. ბოლბეკი, საფრანგეთი. კვირა, 28.XI

ვაჟები. 9,5 კმ: 1. ხალიდ გულამი (მაროკო); 2. ეზეკიილ ბიტოკი (კენია)

ქალები. 5 კმ: კატრინ მაკკინონი (ირლანდია); 2. მარია ალბერტინო დიაში (პორტუგალია)

## რაგბი

112-ე საუნივერსიტეტო თამაში „ბოურინგის ლარნაკისათვის". (სამ), 7.XII. თვიქენემი, ლონდონი. 68 ათასი მაყურებელი ოქსფორდი 20 კემბრიჯი (ლარნაკის მფლობელი) 8. კანადის ნაკრების ოქსფორდელმა 10 ნომერმა გარეს რიისმა 3ს და ა შეაგდო

## სქვოში

მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. ყარაჩი, პაკისტანი. 24-29.XI. მონაწილეობდნენ: ავსტრალია (ჩემპიონი), ინგლისი, პაკისტანი, ფინეთი, პოლანდია, შვედეთი, ეგვიპტე, ახალი ზელანდია, გერმანია, ავსტრია, შოტლანდია, დანია, სამხრეთი აფრიკა...

ნახევარფინალი: ავსტრალია—ფინეთი 2-1, პაკისტანი — ინგლისი 2-1

ფინალი: პაკისტანი — ავსტრალია 3-0 (ჯაპანგირ ხანი — ბრეტ მარტინი 6:9, 9:1, 9:5, 9:3; ზარად ჯჰაპან ხანი — როდნი აილსი 3-2; ჯანშირ ხანმა 15 წუთში აჯობა როდნი მარტინს)

## ჩოგბურთი

ვაუ პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის წყვილთა წლის ფინალი. „ელის პარკის" დარბაზი, იოჰანესბურგი, სამხრეთი აფრიკა. 24-28.XI

პიუით-მაკმილანის ჯგუფი: (1) გრანტ კონოლი (კანადა), პეტ გალბრეითი (აშშ) — 2 მოგება; (4) ლუკ და მეთიუ ჯენსენები (აშშ) — 0; (5) დევიდ ადამსი (სამხრეთი აფრიკა), ანდრეი ოლხოვსკი (რუსეთი) — 3; (8) მარკ კრატცმანი, ველი მაზური (ავსტრალია) — 1

ფორბს-სიგალის ჯგუფი: (2) მარკ ვუდფორდი, ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია, შარშანდელი ჩემპიონები) — 2 მოგება; (3) იაკოვ ელტინგი, პაულ პაარხუსი (პოლანდია) — 3; (6) ემილიო სანჩესი, სერხიო კასალი (ესპანეთი) — 1; (7) კირილ სუკი (ჩეხეთი), ტომ ნაისონი (პოლანდია)—0

ნახევარფინალები: ელტინგი, პაარხუსი — კონოლი, გალბრეითი 4:6, 7:6 (7:5), 7:5 (2 საათსა და 17 წუთში); ვუდფორდი, ვუდბრიჯი — ადამსი, ოლხოვსკი 6:2, 7:5 (საათსა და 19 წუთში)

ფინალი: ელტინგი, პაარხუსი — ვუდფორდი, ვუდბრიჯი 7:6 (7:4), 7:6 (7:5), 6:4 (2 სთ, 46 წთ). პოლანდიელებმა, რომლებიც წელსლა შეამხანაგდნენ, ჯილდოდ 225 ათასი დოლარი მიიღეს. ავსტრალიელებს აქამდე ზედიზედ 17 ფინალში გაემარჯვათ

## კრიკეტი

ბენგალიის კრიკეტის ასოციაციის დაარსებიდან მე-60 წლისთავისთვის მიძღვნილი „გმირთა თასი". „იდენ გარდენზი" („ედემის ბაღები"), კალკუტა, ინდოეთი

ნახევარფინალები: (ოთხ), 24.XI. ინდოეთი 195 (50) (აჯარუდინი 90, ამრე 48) სამხრეთი აფრიკა 193-9 (50). ინდოელთაგან ბოლო წყება მოაწოდა 19 წლის საჩიმ თენდუკამ და სამხრეთი აფრიკა 3 გარბენის ამარა დატოვა. ინდოეთმა ბოლო ბურთით გაიმარჯვა. (ხუთ), 25.XI. შრი ლანკა 188-6 (50) (დასილვა 70, კალპაკარი 41) ვესტ ინდოეთი 190-3 (41.5) (ლარა 82, აფერტონი 72). ვესტ-ინდოეთმა გაიმარჯვა 7 ბჭით

ფინალი: (შაბ), 27.XI. ინდოეთი 225-7 (50) (ვინოთ კამბლე 68, მუხამედ აჯარუდინი 38) ვესტ-ინდოეთი 123-ყველა (ლარა 33; ალან კუმბლემ 12 გარბენის სანაცვლოდ 6 ტაფელოსანი გაუგდოთ) — ინდოეთმა გაიმარჯვა 102 გარბენით

ახალი ზელანდიის ტურნე ავსტრალიაში. II ტესტი. „ბელრივ ოვალი", ჰობართი, ტასმანია. 26-29.XI

თამაში ვადამდე, ერთი დღით ადრე დასრულდა. ავსტრალიამ მოიგო შესვლითა და 222 გარბენით: 544 გარბენით 161-ისა და 161-ის წინააღმდეგ. ახალ ზელანდიას ტესტებში ესოდენი მარცხი აქამდე არასოდეს უწვნევია

ვესტ-ინდოეთის ტურნე შრი-ლანკაზე. პირველი ერთდღიანი მატჩი. (ოთხ), 1.XII. კოლომბო

ვესტ-ინდოეთი 197-3 (39) (ლარა 89) შრილანკა 35-1 (12). წვიმის გამო თამაშის დაწყება დაგვიანდა, შებინდების გამო კი დამთავრება ვერ მოესწრო!

## აფროსნობა

„ვითბრედის" გარსაქვეყნო რბოლა. მეორე ეტაპი: პუნტა-დელ-ესტე (ურუგვაი) — ფრიმენთლი (ავსტრალია)

26.XI: 1. ენდევორი; 2. ინტრუმ ჯუსტიცია ჩამორჩებოდა 55 მილით; 3. ტოკიო — კიდევ 21 მილით; 4. მერიტ კაპი

29.XI: ენდევორს ანძა დაუზიანდა. 1. ინტრუმ ჯუსტიცია; 2. ენდევორი — 4 მილით; 3. ტოკიო

3.XII: ბრუქსფილდმა (იტალია) SOS გადასცა და დაიკარგა. კანბერის სამეთვალყურეო სადგურიდან ლა-პოსტი (საფრანგეთი) და ვინსტონი (აშშ) მის საძებნად გააგზავნეს

4.XII: ლა-პოსტმა მიაგნო ბრუქსფილდს, რომელსაც 3 ტონა წყალი შევარდნოდა და რადიო გაეფუჭებინა; იახტას ბუქსირით წაიყვანენ ფრიმენთლში, სადაც შეაკეთებენ. 1. ინტრუმ ჯუსტიცია (ევროპის თანამეგობრობა; 60-ფუტიანი; სკიპერი ლორი სმითი); 2. ტოკიო (60-ფუტიანი; კრის დიქონი) ჩამორჩებოდა 80 მილით; 3. იამაჰა (60-ფუტიანი); 4. ენდევორი (მაქსი)

5.XII: ინტრუმ ჯუსტიცია 64 მილით უსწრებდა ტოკიოს

10.XII: ჯუსტიცია მიცურდა ფრიმენთლში რეკორდზე ორდღენახევრით ადრე

## კალათბურთი

საქართველოს ქალთა ჩემპიონატი. მეორე ტური. 20-24 ნოემბერი

„მეობა" ქუთაისი — „მართვე" 68:46, „ტანდემი" — გ.ე.ი. (გორი) 37:67, სტუ — მეობა 97:81, გორი — მართვე 89:48, ტანდემი — სდუ 48:69, სტუ — ტანდემი 98:24, გორი — მეობა 50:100, მართვე — სდუ 31:71, სდუ — მეობა 80:60, მართვე — ტანდემი 38:56, სტუ — გორი 106:48, მეობა — ტანდემი 81:34, სტუ — მართვე 105:24, სდუ — გორი 86:69

მდგომარეობა ორი ტურის შემდეგ:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მეობა | 10 | 8 | 2 | 736-567 | 18 |
| სტუ | 9 | 8 | 1 | 804-424 | 17 |
| სდუ | 8 | 6 | 2 | 579-455 | 14 |
| გეი | 10 | 4 | 6 | 603-699 | 14 |
| ტანდემი | 9 | 2 | 7 | 373-614 | 11 |
| მართვე | 10 | 0 | 10 | 377-713 | 10 |

პირველი ტურიდან გადადებულ მატჩს ტანდემი — სდუ დაემატა კიდევ ერთი: სტუ — სდუ, რრმელიც დარბაზში შუქის გამორთვის გამო ვერ შედგა.

ამერიკის ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის (NBA) რეგულარული ჩემპიონატი

ინდიანა — პიუსტონი 83:99, დენვერი — კლივლენდი 100:93, კლიპერსი — დალასი 88:84, გოლდენ სტეიტი — ლეიკერსი 103:76, პორტლენდი — ჩიკაგო 120:98, ბოსტონი — ორლანდო 115:106, ფილადელფია — იუტა 124:115, მაიამი — ატლანტა 92:95, შარლოტი — ვაშინგტონი 127:111, დეტროიტი — სან ანტონიო 95:86, მინესოტა — საკრამენტო 113:108, ფინიქსი — პორტლენდი 118:109, ლეიკერსი — ჩიკაგო 86:88, სიეტლი — დალასი 116:87, ბოსტონი — ინდიანა 71:102, ნიუ-იორკი — მაიამი 119:87, სან ანტონიო — კლიპერსი 110:98, ვაშინგტონი — შარლოტი 118:98, ორლანდო — გოლდენ სტეიტი 120:107, ატლანტა — ლეიკერსი 103:94, დალასი — კლიპერსი 98:105, პიუსტონი — ჩიკაგო 100:93, პორტლენდი — დენვერი 109:94, მაიამი — გოლდენ სტეიტი 102:108, შარლოტი — ლეიკერსი 141:124, კლივლენდი — ვაშინგტონი 113:107, დეტროიტი — ბოსტონი 103:118, ინდიანა — ფილადელფია 97:108, მილუოკი — ატლანტა 85:89, მინესოტა — ნიუ ჯერსი 107:106, სან ანტონიო — ჩიკაგო 109:84, იუტა — პიუსტონი 93:95, ფინიქსი — დენვერი 130:97, საკრამენტო — სიეტლი 93:120, ბოსტონი — მაიამი 93:101, ფილადელფია — გოლდენ სტეიტი 88:100, შარლოტი — მილუოკი 110:99, ატლანტა — ვაშინგტონი 124:108, ინდიანა — ლეიკერსი 100:102, მინესოტა — სიეტლი 92:110, დალასი — ჩიკაგო 85:108, დენვერი — პორტლენდი 112:101, იუტა — ნიუ-ჯერსი 100:97, საკრამენტო — პიუსტონი 89:92, ნიუ-იორკი — დეტროიტი 112:85, ვაშინგტონი — ორლანდო 112:110, მაიამი — შარლოტი 114:100, ატლანტა — ფილადელფია 111:79 (ატლანტამ სეზონის მორიგი ცხრა მატჩი მოიგო), კლივლენდი — სიეტლი 101:90 (სიეტლმა სტარტზე 10 მოგების შემდეგ პირველად წააგო), მილუოკი — ბოსტონი 89:85, მინესოტა — ლეიკერსი 92:96, სან ანტონიო — დალასი 104:80, დენვერი — ნიუ ჯერსი 111:89, ფინიქსი — იუტა 120:98, კლიპერსი — პიუსტონი 80:82, დეტროიტი — გოლდენ სტეიტი 88:91, პორტლენდი — საკრამენტო 120:109, სან ანტონიო — მილუოკი 102:95, კლიპერსი — ნიუ ჯერსი 118:94, საკრამენტო — ინდიანა 103:105

მდგომარეობა დეკემბრის დამდეგისთვის:

ალმოსავლეთის გაერთიანება

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| ნიუ-იორკ ნიკს | 11 | 9 | 2 | 818 |
| ატლანტა პოქს | 13 | 9 | 4 | 692 |
| შარლოტ ჰორნეთს | 13 | 8 | 5 | 615 |
| ორლანდო მეჯიქ | 11 | 6 | 5 | 545 |
| ბოსტონ სელტიქს | 13 | 7 | 6 | 538 |
| ვაშინგტონ ბულითს | 12 | 6 | 6 | 500 |
| კლივლენდ კავალიერზ | 11 | 5 | 6 | 455 |
| მაიამი ჰით | 11 | 5 | 6 | 455 |
| ჩიკაგო ბულზ | 12 | 5 | 7 | 417 |
| დეტროიტ პისტონზ | 12 | 5 | 7 | 417 |
| ინდიანა პეისერზ | 12 | 4 | 8 | 333 |
| ფილადელფია სიქსერზ | 13 | 4 | 9 | 308 |
| ნიუ-ჯერსი ნეთს | 14 | 4 | 10 | 286 |
| მილუოკი ბაქს | 13 | 2 | 11 | 154 |

დასავლეთის გაერთიანება

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| ჰიუსტონ როკიტს | 13 | 13 | 0 | 1000 |
| სიეტლ სუპერსონიკს | 11 | 10 | 1 | 909 |
| ფინიქს სანზ | 10 | 8 | 2 | 800 |
| სან-ანტონიო სფერზ | 14 | 9 | 5 | 643 |
| იუტა ჯაზ | 13 | 8 | 5 | 615 |
| პორტლენდ ტრეილ ბლეიზერს | 12 | 7 | 5 | 583 |
| დენვერ ნაგითს | 12 | 6 | 6 | 500 |
| გოლდენ სტეიტ ვორიორზ | 12 | 6 | 6 | 500 |
| ლოს-ანჯელეს კლიპერზ | 12 | 6 | 6 | 500 |
| ლოს-ანჯელეს ლეიკერზ | 14 | 5 | 9 | 357 |
| საკრამენტო კინგზ | 13 | 4 | 9 | 308 |
| მინესოტა ტიმბერვულფს | 11 | 3 | 8 | 273 |
| დალას მავერიქს | 12 | 1 | 11 | 83 |

ამის შემდეგ „ჰიუსტონმა" კიდევ ორი მატჩი მოიგო და „ვაშინგტონის" 1948 წლის რეკორდი გაიმეორა — სეზონის პირველი 15 მატჩი მოიგო, თუმცა რეკორდის გაუმჯობესება აღარ დასცალდა: მე-16 მატჩში დამარცხდა

ევროპის საკლუბო ჩემპიონატი. III ტური.

„ა" ჯგუფი: ბარსელონა — ბაიერი (ლევერკუზენი) 64:90. მდგომარეობა სამ-სამი მატჩის შემდეგ: ოლიმპიაკოსი (პირეოსი), მაეს პილსი (მეხელენი) — 3 მოგება, ლიმოჟი — 2, რეალი (მადრიდი), ბენეტონი (ტრევიზო), ბაიერი, ბარსელონა — 1, გილფორდ კინგზი (ბრიტანეთი) — 0

„ბ" ჯგუფი: პანათინაიკოსი (ათენი) — ეფეს პილსენი (სტამბოლი) 67:82, ხუვენტუდი (ბადალონა) — ციბონა (ზაგრები) 75:60, კლირი (კანტუ) — ბენფიკა (ლისაბონი) 74:65, ბუკლერი (ბოლონია) — პო-ორტეზი (საფრანგეთი) 76:61. მდგომარეობა: ეფეს პილსენი, ხუვენტუდი — 3, ბუკლერი, პანათინაიკოსი 2, პო-ორტეზი, კლირი — 1, ბენფიკა, ციბონა 0

## ხელბურთი

მსოფლიოს ქალთა ჩემპიონატი ნორვეგიაში გერმანელებმა მოიგეს, რომლებმაც ფინალში დანია დაამარცხეს, მესამე ადგილზე მასპინძლები დარჩნენ. შედეგებს უფრო ვრცლად მომდევნო ნომრებში იხილავთ

## ჰოკეი

ეროვნული ლიგის (NHL) ჩემპიონატში სადეკემბროდ ასეთი მდგომარეობა იყო:

ატლანტიკის ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნ.-ი. რეინჯერსი | 17 | 2 | 5 | 97-67 | 36 |
| ფილადელფია | 16 | 1 | 9 | 115-101 | 33 |
| ნიუ-ჯერსი | 15 | 2 | 5 | 85-58 | 32 |
| ვაშინგტონი | 10 | 1 | 12 | 67-74 | 21 |
| ფლორიდა | 8 | 3 | 13 | 63-74 | 19 |
| ნ.-ი. აილენდერსი | 8 | 2 | 13 | 79-84 | 18 |
| ტამპა-ბეი | 6 | 2 | 16 | 56-75 | 14 |

ცენტრალური ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 17 | 4 | 4 | 97-66 | 38 |
| სენტ-ლუისი | 12 | 5 | 6 | 77-73 | 29 |
| დალასი | 11 | 5 | 9 | 89-86 | 27 |
| ჩიკაგო | 12 | 2 | 8 | 77-63 | 26 |
| დეტროიტი | 11 | 2 | 10 | 97-85 | 24 |
| ვინიპეგი | 9 | 3 | 13 | 81-93 | 21 |

ჩრდილო-აღმოსავლეთის ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პიტსბურგი | 12 | 6 | 7 | 91-87 | 30 |
| ბოსტონი | 11 | 6 | 6 | 76-64 | 28 |
| მონრეალი | 11 | 3 | 9 | 68-63 | 25 |
| ბუფალო | 9 | 2 | 12 | 87-86 | 20 |
| კვებეკი | 8 | 4 | 11 | 85-82 | 20 |
| ჰარტფორდი | 6 | 2 | 15 | 61-87 | 14 |
| ოტავა | 5 | 3 | 14 | 74-106 | 13 |

წყნარი ოკეანის ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კალგარი | 15 | 3 | 7 | 93-79 | 33 |
| ვანკუვერი | 13 | 0 | 10 | 78-72 | 26 |
| სან-ხოსე | 10 | 4 | 13 | 67-81 | 24 |
| ლოს-ანჯელესი | 9 | 2 | 12 | 86-96 | 20 |
| ანაჰეიმი | 8 | 2 | 15 | 66-83 | 18 |
| ედმონტონი | 4 | 3 | 18 | 64-94 | 11 |

## გოლფი

მსოფლიო გოლფის უმდიდრესი ტურნირი — ერთი-მილიონ-დოლარიანი შეჯიბრება. სან-სითი, ბოპუტოტცვანის ჰოუმლენდი, სამხრეთი აფრიკა. 2-5.XII. გერი პლეიერის ქანთრი კლაბი. გზის ოთხგზის ნორმა — 288 დარტყმა

1. ნიკ პრაისი (ზიმბაბვე) 24-ით უკეთესი (67, 66, 66, 65); 2. მარკ მაკნოლტი (ზიმბაბვე) 12; 3. ბერნჰარდ ლანგერი (გერმანია) 9; 4. ფოლტონ ალენი (სამხრეთი აფრიკა) 8; 5. ნიკ ფალდო (ინგლისი) 7... პრაისმა 35-გრადუსიან პაპანაქებაში არნახული შედეგის ჩვენებით მილიონი $ მიითვალა

# ვერისბაღული საკალათბურთო მარათონი

საქართველოს ჩემპიონატი

გამოტოვებული მატჩები

19 ნოემბერი

**დინამო — აზოტი 97:79**

დინამო: ი. ვაშაკიძე (5), სამხარაძე (2), გ.ვაშაკიძე (28), ცხვედიანი (25), გოგუა (2); დავითულიანი (15), კილაძე (11), ბაქრაძე (4), მაისურაძე (1), სხიერელი (4)

აზოტი: აბზიანიძე (2), გაბისონია (8), ბერუაშვილი (36), კეჭაყმაძე (13), მიქიაშვილი (10); კიკვიძე (6), აბაშიძე (4), ქობულაძე, კოჭლამაზაშვილი, მჭედლიძე

„დინამოს" დარსაძის არყოფნა დაეტყო, გუნდი მეორე ტაიმის მე-12 წუთამდე უკან იყო. კარგა ხნის განმავლობაში ანგარიშის სხვაობა რუსთაველთა სასარგებლოდ 10 ქულის ფარგლებში ტრიალებდა. მატჩი „აზოტის" გამარჯვებით რომ დამთავრებულიყო, ამაში ალოგიკური არაფერი იქნებოდა, მაგრამ ბოლო ათი წუთის განმავლობაში „ქიმიკოსებმა" კალათში სულ ორი-სამი ტყორცნის მოთავსება მოახერხეს; „ცასა და მიწაზე" გაბატონებულ თბილისელებს კი ვინღა გააჩერებდა ...

**თბილისი — თორსი 119:80**

თბილისი: ცაგარეიშვილი (5), ახვლედიანი (16), სანაძე (15), აბულაშვილი (10), დერიუგინი (28); გურასპაული (17), ხელაშვილი (20), კოკოლიშვილი (4), ქარაბაკი (4), ქორფაშვილი (2)

თორსი: დ.თორთლაძე (29), ფერიაშვილი (24), ტალაბაძე (6), იაშვილი (6), ხარაძე (5); ცაგარეიშვილი (4), ლუდუშაური (2), ი.თორთლაძე (2), მიქაძე (2), ფიცხელაური, ლომიძე

„თბილისმა" უპრობლემოდ შეახრამუნა „თორსი". ერთი პირობა სტუდენტებმა მეტად მოინდომეს და ფავორიტებსაც თამაში ცოტათი აეშალათ, მაგრამ გურასპაულმა და მისმა მეგობრებმა ყველაფერი თავისს ადგილზე დააყენეს. როგორც ჩანს, ფორმაში შედის დერიუგინი. თბილისელთა მე-11 ნომერმა ამ დღეს 10-ჯერ მოიგო ასხლეტილი ბურთისთვის ბრძოლა, ერთხელ დააფარა და თანაც 28 ქულა შესძინა გუნდს.

ერთობლივი ტური

26 ნოემბერი

**ჯიხვი — კაქტუსი 65:73**

ჯიხვი: მუშკუდიანი, ხუჯაძე, ნაცვლიშვილი (18), დევიძე (11), ბერეკაშვილი (6), გუმბერიძე (17), ჯალაღონია, თურქაძე (6), ჩიხრაძე (4), მაჩალაძე (2), სამხარაძე (14)

კაქტუსი: ა. ულენტი (8), ს. ულენტი (2), ქართველიშვილი (13), ხუხაშვილი (9), ოთიურიძე (18), ბერძენიშვილი (21), ჩხეიძე (14)

**აზოტი — ჯიქი 71:51**

აზოტი: აბზიანიძე (10), გაბისონია (4), ბერუაშვილი (22), კიკვიძე (7), აბაშიძე (10), კოჭლამაზაშვილი, ქობულაძე, კეჭაყმაძე (8), მიქიაშვილი (10)

ჯიქი: წივწივაძე (11), მერკვილაძე (11), რატიანი (4), ლომთაძე (12), შერმადინი (6), გოგალაძე (2), ლოლიშვილი (2), დავითაია, ბიჭიაშვილი

**ვითა — თორსი 97:56**

ვითა: უძილაური (9), ბერუაშილი, კობეშავიძე (9), ტურაშვილი (6), ბეჟანიშვილი (13), ჩერქეზიშვილი (14), შენგელია (14), მაჭარაძე (2), დადიანი (19), ჩუბინიძე (14), ორმოცაძე (4)

თორსი: ცაგარეიშვილი (3), ლუდუშაური (1), ფიცხელაური (4), ტალაბაძე (2), ვასაძე (2), ლომიძე (2), დ.თორთლაძე (13), ფერიაშვილი (25), იაშვილი, მიქაძე (2), ხარაძე (2)

27 ნოემბერი

**ჯიხვი — შევარდენი 80:63**

ჯიხვი: მუშკუდიანი (6), ხუჯაძე, ნაცვლიშვილი (9), დევიძე (5), ბერეკაშვილი (26), გუმბერიძე (9), ჯალაღონია (5), თურქაძე, ჩიხრაძე (2), მაჩალაძე (16), სამხარაძე (2)

შევარდენი: ისაკაძე (3), მაჭავარიანი (13), სართანია (14), ინაძე, ფიოდოროვი (7), ქავთარაძე (4), გაფრინდაშვილი (8), ესიტაშვილი (6), ლვინეფაძე (4), თაბუაშვილი (4)

**თბილისი — მერანი 99:59**

თბილისი: ხელაშვილი (13), ქორფაშვილი (2), გურასპაული (4), სანაძე (13), ცაგარეიშვილი (7), ქორქია (4), დერიუგინი (18), აბულაშვილი (4), შავლოხაშვილი (10), კოკოლიშვილი (4), ახვლედიანი (6), ქარაბაკი (14)

მერანი: გიგაური (10), შუხოშვილი, ბერიძე (4), კობახიძე (5), პეტრიაშვილი (5), ჩიხლაძე (7), ანდღულაძე (18), სიხარულიძე, გაბრიჩიძე (10)

**დინამო — კაქტუსი 64:73**

დინამო: სამხარაძე (5), ი.ვაშაკიძე (7), მაისურაძე, დავითულიანი (4), გ.ვაშაკიძე (17), ბაქრაძე (4), სხიერელი, გოგუა (11), კილაძე (4), ცხვედიანი (12)

კაქტუსი: ა. ულენტი (11), აბრამიძე (6), ქართველიშვილი, ოთიურიძე (6), ნაცვლიშვილი (18), ბერძენიშვილი (17), ჩხეიძე (15)

28 ნოემბერი

**აზოტი — მერანი 80:88**

აზოტი: აბზიანიძე (12), გაბისონია (9), ბერუაშვილი (21), კიკვიძე (3), აბაშიძე (22), კოჭლამაზაშვილი (4), ქობულაძე, კეჭაყმაძე, მიქიაშვილი (9)

მერანი: გიგაური (9), ბერიძე, კობახიძე (25), პეტრიაშვილი (22), ჩიხლაძე, ანდღულაძე (12), რაზმაძე (18), გაბრიჩიძე (2)

მატჩის შემდეგ შევიტყვეთ, რომ რუსთაველები გზაზე კვლავ გაწვალებულან. შეხვედრას ძლივს ჩამოუსწარიითო, გვითხრა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა. მატჩი მე-10 წუთამდე თანაბრად მიმდინარეობდა, შემდეგ კი „აზოტი" დაწინაურდა. თამაში ძირითადად თანაბარ ტემპში მიმდინარეობდა, მაგრამ „მერანმა" მაინც შეძლო პირველი ტაიმის ბოლო წამებზე სხვაობა სამ ქულამდე დაეყვანა. მეორე ტაიმში თბილისელები გააქტიურდნენ და მოიგეს. თამაშის ბოლოს იმატა ნერვიულობამ, ბურთისთვის ფეხის მირტყმამ, მსაჯთან კამათმა და მისთანებმა.

**ვითა — ჯიხვი 76:53**

ვითა: უძილაური (2), ბერუაშვილი (3), კობეშავიძე (16), ტურაშვილი (5), ბეჟანიშვილი (12), ჩერქეზიშვილი, შენგელია (12), მაჭარაძე, დადიანი (15), ჩუბინიძე (7), ორმოცაძე (4)

ჯიხვი: მუშკუდიანი, ნაცვლიშვილი (3), დევიძე (8), ბერეკაშვილი (11), გუმბერიძე (16), ჯალაღონია (8), თურქაძე, ჩიხრაძე (2), მაჩალაძე (5)

„ვითას", რომელსაც მატჩი საბრძოლო ხუთეულით არ დაუწყია, განსაკუთრებული მოწადინება არ ეტყობოდა. თამაში საკმაოდ დუნე იყო.

**თორსი — ჯიქი 92:67**

თორსი: ცაგარეიშვილი (4), ლუდუშაური (2), ფიცხელაური, ი. თორთლაძე (8), ტალაბაძე (18), ვასაძე (2), ლომიძე, დ.თორთლაძე (24), ფერიაშვილი (19), იაშვილი (8), მიქაძე, ხარაძე (7)

ჯიქი: წივწივაძე (15), მერკვილაძე (15), რატიანი (3), ლომთაძე (13), ნიკურაძე (4), შერმადინი (4), გოგალაძე (6), ორჯონიკიძე, დავითაია (5), ბიჭიაშვილი (2)

შეხვედრა სიარულზე ოდნავ სწრაფი ტემპით ჩატარდა და გვარიანად შეთხელებული მაყურებელიც ძირითადად კერძო საუბრით იქცევდა თავს. „თორსს" — ფარქვეშ ფერიაშვილსა და ირგვლივ დანარჩენებს — დიდი ჯაფა არ დასდგომია.

29 ნოემბერი

**დინამო — შევარდენი 94:58**

დინამო: ბაქრაძე (11), ცხვედიანი (42), სამხარაძე (2), გოგუა (2), გ.ვაშაკიძე (8); მაისურაძე (6), დავითულიანი (13), ნიკურაძე (4), სხიერელი (6)

შევარდენი: ფიოდოროვი (6), მაჭავარიანი (13), ლვინეფაძე (4), თაბუაშვილი (3), ესიტაშვილი (16); გაფრინდაშვილი, ქავთარაძე (6), ინაძე (10), ბაქრაძე

მატჩი ის შემთხვევა იყო, როდესაც ერთი მეტოქე მეორეზე მთელი თავით მაღლა დგას, მაგრამ მატჩი მაინც მისებურად საინტერესო გამოდის. „დინამოს" 15 ნომერი შალვა ცხვედიანი ბურთს ბურთზე აგდებდა, თუმცა საბოლოოდ „ჯიხვთან" შესრულებული საკუთარივე შედეგის გაუმჯობესება მაინც ვერ შეძლო. ჯერჯერობით ჩემპიონატში მის მიერ აგერ უკვე ორჯერ მოპოვებული 42 ქულაა უმეტესი.

**ჯიხვი — ჯიქი 74:51**

ჯიხვი: ბერეკაშვილი (12), მაჩალაძე (20), ჯალაღონია (4), ხუჯაძე (19), ნაცვლიშვილი (4); მუშკუდიანი, ბერიძე (5), გუმბერიძე (4), თურქაძე, ჩიხრაძე (2), გუბელაძე (4)

ჯიქი: მერკვილაძე (7), შერმადინი (2), დავითაია (5), ლომთაძე (18), ლოლიშვილი (4); რატიანი (1), ბიჭიაშვილი, წივწივაძე (9), გოგალაძე (5)

მატჩის პირველ 9 წუთში „ჯიქმა" ხუთადხუთი ქულის მოპოვება შეძლო, ქუთაისელებმა კი გამართული კომბინაციებიც დაატრიალეს და 20 ქულითაც გაუსწრეს მეტოქეს. ერთადერთი ხიფათი ჯიხვთა თავის, მაჩალაძის სამი პერსონალური ჯარიმა იყო, მაგრამ „მოტორიანმა" რიონისპირელმა ეს იკმარა და დარჩენილ დროში აღარ დაჯარიმებულა.

**თბილისი — კაქტუსი 83:61**

თბილისი: დერიუგინი (17), გურასპაული (11), სანაძე (18), ხელაშვილი (17), კოკოლიშვილი (8); შავლოხაშვილი (6), ახვლედიანი, ქარაბაკი (6)

კაქტუსი: ქართველიშვილი (2), ოთიურიძე (4), ბერძენიშვილი (16), ჩხეიძე (30), აბრამიძე; ნაცვლიშვილი (7), ხუხაშვილი, აბულაძე, ა. ულენტი (2)

ყველა გრძნობდა, რომ საინტერესო მატჩი იქნებოდა, მაგრამ პროგნოზები დიდად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ზოგს „თბილისის" დიდ უპირატესობაში ეჭვი არ ეპარებოდა, მეორენი ქულა ქულაზე თამაშს და მაინც თბილისელთა გამარჯვებას ელოდნენ, მესამენი „კაქტუსის" მოგებას ანუ სენსაციას წინასწარმეტყველებდნენ, მეოთხენი კი შესაძლო შედეგს სენსაციად არ მიიჩნევდნენ. რევაზ ჩხეიძის „კაქტუსის" რიგებში გამოჩენამ გუნდი აშკარად გააძლიერა, მაგრამ ამ ბოლო დროს ნაცვლიშვილი ვეღარ ნაცლიშვილობს. როგორც შევიტყვეთ, ავად ყოფილა. მოთელვა მთავრდებოდა, როცა იგი დარბაზში შემოვიდა. გულშემატკივარი ვახტანგს ტაშით შეეგება. მწვრთნელს დაგვიანებული სასტარტო ხუთეულში არ გამოუყვანია. შეხვედრა სწრაფად და ემოციურად დაიწყო. იყო კომბინაციები, დაცვაში გააზრებული თამაში. დერიუგინმა შესვენებამდე ოთხი პერსონალური მიიღო, რაც მწვანე კაქტუსს დიდად ახარებდა, მაგრამ მისი მეოთხედ დაჯარიმების დროს ანუ ტაიმის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე თბილისელები უკვე 23 ქულას იგებდნენ...

30 ნოემბერი

**თორსი — შევარდენი 108:75**

თორსი: ლუდუშაური (6), ხარაძე (14), ტალაბაძე (7), დ. თორთლაძე (29), ფერიაშვილი (14); ი. თორთლაძე (16), იაშვილი (20), მიქაძე (2), ფიცხელაური

შევარდენი: ფიოდოროვი (9), ლვინეფაძე (6), მაჭავარიანი (11), გაფრინდაშვილი (20), ესიტაშვილი (20); ინაძე (5), ქავთარაძე (2), ბაქრაძე (2), მოისწრაფიშვილი

„თორსი" რომ მოიგებდა, პირველი წუთიდანვე ცხადი იყო. ორივე გუნდი თავისუფლად თამაშობდა. სტუდენტებმა დრიბლინგზე ააგეს თამაში. მათ გუნდში დავით თორთლაძის დიდი გავლენა იგრძნობა. ყველანი მასსავით ფარქვეშ შესვლას ცდილობდნენ და გამოხდიოდათ კიდეც.

**ჯიხვი — მერანი 74:70**

ჯიხვი: ხუჯაძე (16), ბერეკაშვილი (2), მაჩალაძე (15), გუმბერიძე (24), გუბელაძე (15); ნაცვლიშვილი, დევიძე (2), ჩიხრაძე

მერანი: პეტრიაშვილი (7), ანდღულაძე (12), რაზმაძე (13), კობახიძე (9), გაბრიჩიძე (11); გიგაური (18), ბერიძე

თანაბარი ძალის გუნდების თამაში დაძაბულად წარიმართა. თავიდან 17 წუთის მანძილზე ქუთაისელთა ზუსტ ტყორცნას თბილისელებიც სიზუსტით პასუხობდნენ და ანგარიში თანაბარი იყო. მე-17 წუთზე რიონისპირელებმა ივაჟკაცეს და 7 ქულით დაწინაურდნენ, მაგრამ ტაიმი მაინც ნაკლებით — 3 ქულით მოიგეს. მეორე ტაიმის შუაში მერანელები გავიდნენ წინ, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს. ბოლო, დრამატულ წუთში ქუთაისელებმა მოიგეს.

**ვითა — აზოტი 86:60**

ვითა: კობეშავიძე (13), დადიანი (13), ჩუბინიძე (11), ტურაშვილი (2), შენგელია (20); უძილაური (4), ბეჟანიშვილი (10), ჩერქეზიშვილი (7), მაჭარაძე (4), ორმოცაძე (2)

აზოტი: აბზიანიძე (7), გაბისონია (2), ბერუაშვილი (20), აბაშიძე (6), მიქიაშვილი (8); კეჭაყმაძე (11), ქობულაძე (4), კოჭლამაზაშვილი (2), კიკვიძე

1 დეკემბერი

**დინამო — მერანი 111:86**

დინამო: სამხარაძე (18), დავითულიანი (4), გ. ვაშაკიძე (18), ცხვედიანი (41), გოგუა (6); მაისურაძე (7), სხიერელი (2), კილაძე (7), ბაქრაძე (8)

მერანი: კობახიძე (8), რაზმაძე (25), გაბრიჩიძე (8), ანდღულაძე (26), პეტრიაშვილი (4); გიგაური (15), შუხოშვილი

„დინამოს" გამარჯვება არ გასჭირვებია, მაგრამ იგი ჯერ მაინც ტოვებს ჩამოუყალიბებელი გუნდის შთაბეჭდილებას. წარმატებები ძირითადად თავდასხმაში ცხვედიანის თამაშით არის განპირობებული.

**აზოტი — შევარდენი 86:70**

აზოტი: ბერუაშვილი (27), კიკვიძე (11), კოჭლამაზაშვილი (5), კეჭაყმაძე (6), ქობულაძე (8); მიქიაშვილი (7), აბზიანიძე (13), აბაშიძე (9), მიროტაძე

შევარდენი: მაჭავარიანი (18), გაფრინდაშვილი (6), ესიტაშვილი (12), სართანია (19), ინაძე (11); ლვინეფაძე (4), ფიოდოროვი, ისაკაძე

„აზოტმა" ლამის აუტკივარი თავი აიტკივა: აქაო და აუტსაიდერს იოლად მოვუგებთო, რუსთაველებმა პირველ ტაიმში ყოველგვარი დაძაბვის გარეშე ითამაშეს და 8 ქულით წააგეს კიდეც. მეორე ტაიმშიც საკმაო ოფლი ღვარეს, სანამ ყველაფერს თავის ადგილზე დააყენებდნენ

**თორსი — კაქტუსი 92:99**

თორსი: ლუდუშაური (6), ხარაძე (4), ტალაბაძე (22), დ. თორთლაძე (35), ფერიაშვილი (16); ი. თორთლაძე (2), იაშვილი, ცაგარეიშვილი (7)

კაქტუსი: ა. ულენტი (21), ქართველიშვილი (8), ნაცვლიშვილი (22), ბერძენიშვილი (25), ჩხეიძე (16); აბრამიძე (7), ოთიურიძე

ნაცვლიშვილი ფერიაშვილს იჭერდა. თავიდან იგი ამოცანას საუცხოოდ ართმევდა თავს, თუმცა საბოლოოდ არც ფერიაშვილი გამოდგა ჯაბანი. ძლიერად ითამაშა ბერძენიშვილმა, მაგრამ ხუთი პერსონალურის გამო დამთავრებამდე ორიოდ წუთით ადრე დასტოვა მოედანი. შეუდარებელი იყო დავით თორთლაძე. ძირითადად „კაქტუსი" იყო წინ. მეორე ტაიმის ბოლოსკენ „თორსმა" იმძლავრა, მაგრამ შეცდომა მოუვიდა: უფროსი თორთლაძის ცოტა ხნით შეცვლა მეტოქისთვის საკმარისი აღმოჩნდა. მაინც შეეძლოთ სტუდენტებს მდგომარეობის გამოსწორება, როდესაც ერთს პლუს ერთი ტიპის ჯარიმის, ტექნიკური ჯარიმის სროლისა და კიდევ თამაშის განახლების უფლება მიიღეს, მაგრამ მხოლოდ ორი ქულა მოიპოვეს.

2 დეკემბერი

**დინამო — ჯიქი 109:85**

დინამო: მაისურაძე (21), გოგუა (16), ცხვედიანი (33), სხიერელი (12), დავითულიანი (11); კილაძე (10), ბაქრაძე (6), სამხარაძე

ჯიქი: მერკვილაძე (11), დავითაია (16), ბიჭიაშვილი, წივწივაძე (8), ლომთაძე (12); გოგალაძე (22), შერმადინი (8), ლოლიშვილი (8)

თამაშმა უინტერესოდ ჩაიარა. ცხვედიანმა ჯერ ზედიზედ ექვსი ორქულიანი ჩაავდო, შემდეგ ზედიზედ შვიდი სამქულიანი.

**თბილისი — ვითა 74:81**

თბილისი: სანაძე (12), გურასპაული (8), დერიუგინი (31), ქორქია, ხელაშვილი (7); ცაგარეიშვილი (7), კოკოლიშვილი (6), ახვლედიანი (1), შავლოხაშვილი (2)

ვითა: ჩერქეზიშვილი (20), დადიანი (5), შენგელია (5), ორმოცაძე (7), კობეშავიძე (29); ტურაშვილი (4), ჩუბინიძე (7), ბერუაშვილი (4)

ვერის ბაღის დარბაზში ის კუთხე-კუნჭულის სკამებიც შეივსო, რომლებიც როგორც წესი თავისუფალია ხოლმე. მოედანზე დიდი ბრძოლა გაიმართა. მოედნის ცენტრში პირველი გდება დერიუგინმა მოიგო. ორივე გუნდი დაცვაში მთელი ენერგიითა და ყურადღებით თამაშობდა, ხშირი იყო პასების ჩაჭრა და დაფარება. კალათიდან ასხლეტილი თითოეული ბურთის მოგებას საგანგებო ძალისხმევა ჭირდებოდა. ალბათ ამან განაპირობა, რომ მე-10 წუთზე ანგარიში მხოლოდ 15:9 იყო. თბილისელები იგებდნენ. ფარქვეშ ბატონობისთვის შენგელიასა და დერიუგინის დუელი მე-12 წუთზე დროებით შეწყდა, როდესაც ვითელი ცენტრი გამოცვალეს. ამ მომენტამდე შენგელიამ ორჯერ ეფექტურად დაუფარა უშუალო მეტოქეს, ოთხჯერ ასხლეტილი ბურთი ჩამოხსნა და ერთხელ იგი მსაჯებს დააჯარიმებინა კიდეც, მაგრამ თავადაც მისგან ერთხელ დაჯარიმებული და ორჯერ ბურთდაფარებული გახლდათ. ამასთან, დერიუგინს მონაგარი მეტი ჰქონდა და ორჯერ ასხლეტილი ბურთისთვის ბრძოლაშიც გამარჯვებული იყო. მე-13 წუთზე ანგარიში გათანაბრდა 16:16. შემდეგ 18:18, 20:20. ამის მერე მეტოქეებმა თითო ქულით დაიწყეს ერთმანეთის გასწრება. მე-16 წუთზე შენგელია დაბრუნდა, „ვითამ" ანგარიშის სხვაობა 4 ქულამდე გაზარდა, მაგრამ თბილისელები მალე წამოეწივნენ. ტაიმის დამთავრებამდე 11 წამით ადრე „ვითა" იგებდა 39:38, როდესაც „თბილისის" მწვრთნელმა წუთშესვენება აიღო. ორ წამში მეტოქის სკამიდან ითხოვეს ტაიმ-აუტი. საბოლოოდ გურასპაულმა სამქულიანი ააცილა და დროც ამოიწურა.

მეორე ნახევარში მაყურებელთა სიგარეტის კვამლისგან სპეცეფექტებიან სასტრადო სცენას დამსგავსებულ მოედანზე, როდესაც ლამის იყო ბურთი ჰაერს ვეღარ კვეთდა, პირველი გდება კვლავ დერიუგინმა მოიგო. ცოტა ხანში, როდესაც ანგარიში იყო 46:42 ჩემპიონის სასარგებლოდ, გურასპაულმა შენგელიასთან შეჯახების შედეგად ტრავმა მიიღო. მან, მართალია, თამაში გააგრძელა, მაგრამ, როგორც გაირკა, დაშავებულიყო. ბრძოლა კვლავ ქულა-ქულაზე გაგრძელდა 46:45, 46:47 ... „თბილისი" ნელ-ნელა მძლავრობდა 46:50, 49:52 ... „ვითამ" შენგელია მე-14 წუთამდე კვლავ დაასვენა. დადიანმა ტექნიკური ჯარიმა მიიიღო 49:54. „ვითას" ნერვიულობა დაეტყო. ტურაშვილმა მძაფრად გამოხატა ემოცია. ამიტომ მსაჯმა გიორგი ავალიშვილმა მწვრთნელები გააფრთხილა, თუმცა საბოლოოდ უდისციპლინობას ვერავის დავწამებთ. ამის შემდეგ 53:54, 55:54, 57:55, 60:55, 63:55 — „ვითამ" დაცვაში კიდევ უფრო გააუმჯობესა თამაში, შეტევაში კი კობეშავიძე მოუხელთებელი შეიქნა. მისი შორიდან ტყორცნები ერთიმეორის მიყოლებით აღწევდნენ მიზანს. მან ერთ-ერთი შეტევისას ფეხი იტკინა, მაგრამ თამაშის გაგრძელება შეძლო. გადამწყვეტ მომენტებში ზუსტი იყო ჩერქეზიშვილიც. თავის მხრივ, ისედაც კარგად მოთამაშე დერიუგინი კიდევ უფრო გააქტიურდა — 75:71. ამ დროისთვის ორი წუთი იყო დარჩენილი, რომელშიც „ვითამ" სრული მობილიზაციით იმოქმედა და გაიმარჯვა.

მატჩის შემდეგ ორივე გუნდის მწვრთნელს ვკითხეთ, თუ რამ განაპირობა შეხვედრის შედეგი.

**ბესო ლიპარტელიანი (ვითა):** ფიზიკურად ორივე გუნდი ძლიერად იყო მომზადებული. დაცვაში ორივემ მაქსიმუმი აჩვენა, რითაც ასეთი მცირე ანგარიში აიხსნება. ფსიქოლოგიურად ჩვენ უკეთ ვიყავით მომზადებული.

**ვალერი ჭგერენაია (თბილისი):** მიზეზი რამდენიმეა. ერთი გამთამაშებელი — ცაგარეიშვილი ტრავმირებული თამაშობდა. მატჩის დროს ტრავმა მიიღო მეორემ — გურასპაულმა და ამით გუნდს გამთამაშებლის სრულყოფილი მოქმედება მოაკლდა. მეორე, ჩვენი შორიდან მტყორცნელები — სანაძე, ახვლედიანი და კოკოლიშვილი ზუსტად ვერ ისროდნენ. მესამე, „ვითამ" დაცვაში ძლიერად ითამაშა. მეოთხე, ჩვენ 14 (!) საჯარიმო ვერ გამოვიყენეთ.

3 დეკემბერი

**თბილისი — ჯიქი 117:97**

თბილისი: დერიუგინი (8), ახვლედიანი (20), ცაგარეიშვილი (2), ქარაბაკი (32), აბულაშვილი (16); ქორფაშვილი (4), ქორქია (2), შავლოხაშვილი (9), ხელაშვილი (14), კოკოლიშვილი (10)

ჯიქი: დავითაია (4), შერმადინი (4), ლომთაძე (28), ლოლიშვილი (28), წივწივაძე (8); მერკვილაძე (16), ბიჭიაშვილი (5), გოგალაძე (4)


ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჩხეიძე („კაქტუსი") და დავით ტალაბაძე („თორსი")

**კაქტუსი — აზოტი 95:75**

კაქტუსი: ა. ულენტი (19), ნაცვლიშვილი (12), ჩხეიძე (23), ბერძენიშვილი (20), ქართველიშვილი (12); ოთიურიძე (2), ხუხაშვილი, აბრამიძე (7)

აზოტი: ბერუაშვილი (21), აბზიანიძე (16), კიკვიძე (2), აბაშიძე (17), კეჭაყმაძე (4); მიქიაშვილი (9), კოჭლამაზაშვილი (4), გაბისონია (2)

მწვანეებს მეტიც შეეძლოთ, მაგრამ ლამაზი ჩატენვებით თავის მოწონებას ლამობდნენ და 6-8 ნაღდი ქულა ამას შესწირეს.

**თორსი — მერანი 102:78**

თორსი: ლუდუშაური (7), ტალაბაძე (29), დ. თორთლაძე (18), ფერიაშვილი (25), ხარაძე (6); ფიცხელაური (2), ი.თორთლაძე (13), იაშვილი (2), ვასაძე, ლომიძე, მიქაძე

მერანი: კობახიძე (3), პეტრიაშვილი (11), ანდღულაძე (22), რაზმაძე (13), გაბრიჩიძე (14); ჩიხლაძე (3), ბერიძე (2), გიგაური (10)

4 დეკემბერი

**თბილისი — შევარდენი 128:92**

თბილისი: ქორქია (16), ხელაშვილი (17), ცაგარეიშვილი (12), ქარაბაკი (28), ახვლედიანი (27); აბულაშვილი (13), ქორფაშვილი (6); კოკოლიშვილი (9)

შევარდენი: ინაძე (15), მაჭავარიანი (7), სართანია (15), გაფრინდაშვილი (24), ესიტაშვილი (7); ფიოდოროვი, ისაკაძე (22), ქავთარაძე (2)

„თბილისმა" მსუბუქი ვარჯიში ჩაატარა. პირველი ტაიმი 73:40 დამთავრდა. ამის შემხედვარე დერიუგინმა, რომელსაც არც პირველ ტაიმში უთამაშია, მაგრამ სპორტული ფორმით მაინც იჯდა, სამოქალაქო ტანსაცმელი ჩაიცვა.

**ვითა — დინამო 97:75**

ვითა: ბეჟანიშვილი, ჩერქეზიშვილი (27), ჩუბინიძე (8), ტურაშვილი (14), შენგელია (26); ორმოცაძე (13), უძილაური (9)

დინამო: სამხარაძე, გ. ვაშაკიძე (23), დარსაძე (5), კილაძე (4), ცხვედიანი (31); გოგუა, სხიერელი (5), ბაქრაძე (2), დავითულიანი (2), მაისურაძე (3)

„ვითას" კობეშავიძე და დადიანი აკლდა, „დინამოს" დარსაძე დაემატა, რომელზეც დისკვალიფიკაციას ცუდად უმოქმედია. დინამოელებმა ჩემპიონს ბრძოლა გაუმართეს. თავიდან „დინამო" იყო წინ, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლოს მაინც „ვითამ" აჯობა 48:37. მეორე ტაიმში ერთი პირობა „ვითას" ზედიზედ ხუთი შეტევა ჩაეშალა. აქ შეეძლოთ დინამოელებს გარდატეხის შეტანა, მაგრამ ვერ მოახერხეს.

პირველი წრის შემდეგ:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვითა | 9 | 9 | 0 | 825:582 | 18 |
| თბილისი | 9 | 8 | 1 | 822:596 | 17 |
| კაქტუსი | 9 | 7 | 2 | 734:637 | 16 |
| თორსი | 9 | 5 | 4 | 792:770 | 14 |
| დინამო | 9 | 5 | 4 | 731:639 | 13 |
| აზოტი | 9 | 4 | 5 | 690:742 | 13 |
| ჯიხვი | 9 | 3 | 6 | 613:707 | 12 |
| მერანი | 9 | 3 | 6 | 664:768 | 12 |
| ჯიქი | 9 | 1 | 8 | 634:765 | 10 |
| შევარდენი | 9 | 0 | 9 | 611:910 | 9 |

„სარბიელის"
ხუთეული
პირველი წრის შემდეგ:

თორთლაძე — თორსი
კობეშავიძე — ვითა
ჩხეიძე — კაქტუსი
ნაცვლიშვილი — კაქტუსი
დერიუგინი — თბილისი

# ვინდაა უძლეველი

შაბათი, 27 ნოემბერი. თვიქნემი, ლონდონი. 66 ათასი მაყურებელი

**ინგლისი 15 (6) — ახალი ზელანდია 9 (0)**

ინგლისი: კალარდი; ტ. ანდერვუდი, კარლინგი, დეგლენვილი, რ. ანდერვუდი; ენდრიუ, ბრაკანი; ლენარდი, მური, უბოგუ; ბ. კლარკი, რედმანი, ჯონსონი, როდბურგი; რიჩარდსი. — 4ს: კალარდი (3:0, 6:0, 9:3, 15:9); ა: ენდრიუ (12:6)

ახალი ზელანდია: თიმუ; ვილსონი, ე. კლარკი, ბანსი, თუიგამალა; ელისი, ფორსტერი; დაუდი, ფითსპატრიკი, ბრაუნი; ზ. ბრუკი, ი. ჯოუნზი, გორდონი, ჯოზეფი; პენე. — 3ს: ვილსონი (6:3, 9:6, 12:9)

მსაჯი: ბურგერი (სამხრეთი აფრიკა)



ენდრიუმ მორიგი არეკნი შეაგდო

ბრიტანული ტურნეს XI თამაშში მანამდე უძლეველი „ოლ ბლექსი", როგორც იქნა, დამარცხდა. გამარჯვებით გადარეული ლონდონელი მაყურებელი, რომლის ერთ ნაწილსაც მატჩის ბილეთი შავ ბაზარზე 500 გირვანქად ეყიდა, ტრადიციისამებრ გადაიჭრა მოედანზე და თავისი გმირები ხელში აიტაცა. ამ არეულობაში ინგლისელთა კაპიტან ვილ კარლინგს ცალი წაღი დაეკარგა, მაგრამ არა გვგონია, ამის გამო დიდად ედარდა.

შოტლანდიისა არ იყოს, ინგლისსაც არასახარბიელო ბალანსი ჰქონდა ახალ ზელანდიასთან შეხვედრებში, ოღონდაც ოდნავ უკეთესი. თუ შოტლანდიას „ოლ ბლექსთან" ვერასოდეს გაემარჯვნა, ინგლისს 16 თამაშიდან სამში მაინც დაემარცხებინა „შავები": პირველად 1936 წელს, თვიქნემში, რუსი უფლისწულის ალექსანდრ ობოლენსკის ლელოების წყალობით 13:0; მეორედ 1973 წელს, ოკლენდში, სადაც ინგლისმა პირდაპირ სასწაული მოახდინა — რვამატჩიანი ტურნეს ყველა თამაში წააგო, გარდა მხოლოდ ტესტ-მატჩისა 16:10; და მესამედ ათი წლის წინ, 1983 წელს, ისევ თვიქნემში 15:9 — იმ წელს ინგლისი საშინელ კრიზისს განიცდიდა, მაგრამ ვერც ტურნეზე ჩასული „ოლ ბლექსი" ვარგოდა.

ბოლო ათი წლის მანძილზე გუნდები სამად-სამჯერ შეხვდროდნენ ერთმანეთს: ინგლისის ახალ ზელანდიაში სტუმრობის დროს, 1985 წელს მასპინძლებმა 18:14 და 42:15 გაიმარჯვეს, მესამედ კი 1991 წლის მსოფლიო თასის პირველ თამაშში თვიქნემში ისევ და ისევ „ოლ ბლექსმა" მოიგო 18:12, მაგრამ მერე და მერე დუბლინის ნახევარფინალში ავსტრალიის „ვოლაბებს" გადაეყარა, წააგო 6:16 და მსოფლიო თასი დაკარგა.

თვიქნემის ტესტის წინ „ოლ ბლექსს" კარში დამრტყმელის პრობლემა გაუჩნდა: მეთიუ კუპერი შოტლანდიასთან თამაშისას დაშავდა და ერთ კვირაში ვერ მომჯობინდა. მაშინ ზელანდიელებმა დამრტყმელობაც მოკრიკეტესა და მელელოვეს, 20 წლის ჯეფ ვილსონს დააკისრეს. სხვაფრივ „ოლ ბლექსს" შოტლანდიის მძლეველი გუნდი არ შეუცვლია.

ინგლისს სხვაგვარად ჰქონდა საქმე: მარტში ირლანდიასთან სტუმრად წაგების შემდეგ თხუთმეტეულში ერთბაშად 9 კაცის შეცვლა მოუწია. დიდი რაგბიდან წავიდნენ ქირურგი მცველი ვები, ბურჯი პრობინი, მეორეხაზელი დული და ფრთები თიიგი და ვინთერბოთომი, თუმცაკი ეს უკანასკნელი სამეული ზაფხულში „ბრიტანელი ლომების" ახალზელანდიურ ტურნეში მონაწილეობდა. ინგლისელებმა 10 ნომრად ისევ რობ ენდრიუ დააწინაურეს, რომელმაც „ლომების" შემადგენლობაში საიმედოდ ითამაშა, მცველობა და დამრტყმელობა კი ქვეყნის ჩემპიონ „ბასის" ახალბედა 15 ნომერს, ჯონათან კალარდს ანდეს. მანამდე ცნობილი იყო, რომ ასევე ბასელი ჯერი გასკოტი ტრავმის გამო ტესტს გააცდენდა. მისი ადგილი ერგო ფილიპ დეგლენვილს, რომელსაც ზელანდიელებმა ტესტამდე ოთხი კვირით ადრე, ტურნეს მესამე თამაშის დროს უცაბედად სახეზე დააბიჯეს და თვალის ქუთუთო საშინლად გაუსერეს. ტესტამდე ერთი კვირით ადრე ინგლისის უელსელ 9 ნომერს დევი მორისს გრიპი შეეყარა და ისიც შესაცვლელი გახდა. მის მაგივრად შერკინების ნახევარმცველად დააყენეს 22 წლის ბრისტოლელი ირლანდიელი სტუდენტი კიარან ბრაკანი. ერთი სიტყვით, უკანა ხაზის საკვანძო ადგილებზე ინგლისს ორი მთლად ახალბედა — კალარდი და ბრაკანი და ერთი სანახევროდ დებიუტანტი — დეგლენვილი ჰყავდა: ამას ნაკრებში მანამდე ორჯერ ეთამაშა შემცვლელად.

ამ ზაფხულს „ლომების" სატესტო შემადგენლობის ბირთვს ინგლისელები შეადგენდნენ. „ოლ ბლექსთან" ტესტ-სერიის 1-2 წაგების მიუხედავად ბრიტანელებმა ტოლი არ დაუდეს მასპინძლებს, მეორე ტესტი კი უსიტყვოდაც მოუგეს 20:7. თვიქნემშიც იგივე მოხდა. ინგლისმა ყოველმხრივ აჯობა სტუმრებს. მასპინძლებს გულში ხინჯად ის თუღა დარჩებოდათ, რომ გამარჯვების მიუხედავად ლელო მაინც ვერ გაიტანეს. სხვაფრივ, ახალბედების გამოცდა, თანაც უძლიერესი მეტოქის წინაალმდეგ, წარმატებით დასრულდა. კალარდმა გუნდი არ დაალალატა და კარში თითქმის უშეცდომოდ ურტყა, ენდრიუმ კი ტესტებში მორიგი სარეკორდო, მე-15 არეკნი გაიტანა.

„ოლ ბლექსის" მორკინალებმა ღია თამაშში ვერ ივარგეს (?!) ინგლისმა მათ ისე აჯობა, რომ ხშირად თამაშგარეთ ტოვებდა და ესენიც ან განზრახ ჯარიმდებოდნენ, ანაც უმწეობისაგან ხელებს მაღლა სწევდნენ, აქაო და ვაღიარებთ, რომ თამაშგარე ვართო, მაგრამ სამხრეთაფრიკელი მსაჯი სტუმრებს არაფერს პატიობდა.

მსაჯი არც მასპინძლებს ინდობდა, მათაც აჯარიმებდა, მაგრამ კალარდისაგან განსხვავებით ვილსონმა თავისიანებს გარჯა წყალში ჩაუყარა: რვა დარტყმიდან ხუთი გააფუჭა, რის შედეგადაც „ოლ ბლექსი" დამარცხდა. ამით ცხადი შეიქნა, რომ იგი ვეღარ გაიმეორებს 1924-25 და 1989 წლებისეულ წინამორბედთა შედეგს: იმ წლების სტუმრებმა ბრიტანეთი წაუგებლად მოვლეს. ჩამწარდა მორიგი იუბილე „ოლ ბლექსის" კაპიტანს, კვაჭ შონ ფითსპატრიკსაც: მან ამ დღეს ზედიზედ 54-ე ტესტი ითამაშა, რითაც გააუმჯობესა 1960-70-იანი წლების უელსის ნაკრების ლეგენდარული 9 ნომრის გარეს ედვარდზის მსოფლიო რეკორდი.

## უნიკუმთაგან პირველი

„ბარბაროსები" ჩვენებური, ქართული გაგებით იმდენად უცნაური კლუბია, რომ ბოლო წლების მანძილზე ქართულ მასმედიაში მისი ვინაობისა და წარმომავლობის არაერთგზისი განმარტების მიუხედავად, ჩვენი სპორტის ქომაგებსა და მეტადრე რაგბის სამყაროს პურისტებს მისი ხსენება ერთიანად ალაშფოთებთ ხოლმე, აქაო და „მაგათ ვინ დართო ნება, ვინც მოესურვებათ, გუნდში რომ მიიწვიონ და „ოფიციალურ" მატჩში ათამაშონო". აბა, რა გაეწყობა, თუ ჩვენში საჩემპიონატო სულისკვეთებაცა და მეტოქის შემადგენლობის გამო ჩივილიც ძვალრბილში აქვთ გამჯდარი.

საბედნიეროდ, მსგავსი შეხედულებები უცხოური რაგბის სამყაროში ვერ საზრდოობენ, თორემ არ შეიქმნებოდნენ „ახალზელანდიელი ბარბაროსები" (1937 წელს), „ავსტრალიელი ბარბაროსები" (1956), „სამხრეთაფრიკელი ბარბაროსები" (1960), „ფრანგი ბარბაროსები" (1980), „ფიჯელი ბარბაროსები" და კიდევ იმავე იდეოლოგიის გამტარებელი კლუბები: უელსის „ქროშეის XV" (1922), შოტლანდიის „თანა-ოპტიმისტები" (1924), ირლანდიის „მწევრები" (1956), აშშ-ის „კუგარები" (1978), იტალიის „ზებრები" და მისთანები.

ყველა ამათ წინამორბედს ოდენ „ბარბაროსები" ჰქვია. მისი შექმნა 1890 წელს გამოცხადდა იორკშირის ქალაქ ბრედფორდში, სადაც სეზონის დასრულების ალსანიშნავად გამართულ ტურნესშემდგომ ნვეულებაზე ერთ-ერთ ლონდონელ სტუმარს, ვინმე ტოტი კარპმილს აზრად მოსვლია დაეარსებინა კლუბი, რომელიც რეგულარულად გამართავდა საჩვენებელ და საქველმოქმედო თამაშებს.

| „ბარბაროსები" — | |
|---|---|
| ავსტრალია | 9:6 (1948), 11:6 (1958), 11:17 (1967), 19:7 (1976), 30:37 (1984), 22:40 (1988), 20:30 (1992) |
| სამხრეთი აფრიკა | 3:17 (1952), 6:0 (1961), 12:21 (1970) |
| ახალი ზელანდია | 5:19 (1954), 3:36 (1964), 6:11 (1969), 23:11 (1973), 13:13 (1974), 16:18 (1978), 10:21 (1989), 12:25 (1993) |
| ფიჯი | 9:29 (1970) |
| არგენტინა | 34:22 (1990) |
| შოტლანდია | 16:16 (1991) |
| უელსი | 31:24 (1990) |
| ინგლისი | 16:18 (1990) |
| „ბრიტანელი ლომები" | 14:23 (1977) |

მაშინვე დაისახა კლუბის წესდების მონახაზი: კლუბს არ უნდა ჰქონოდა თავისი სტადიონი, ოფისი თუ ბარი; გამგეობა არ უნდა შეკრებილიყო ბრიტანეთში ყოფნისას — ამის ნაცვლად, მთელი საქმიანობა ფოსტით ან ტელეფონით უნდა წარემართა; კლუბში მოთამაშეთა მიღება მხოლოდ გამგეობის მიწვევით უნდა ყოფილიყო შესაძლებელი — კლუბს ვერავინ სთხოვდა, თქვენს წრეში მიმიღეთო, და ა.შ.

იდეამ ივარგა და კლუბმაც 1990 წელს საუკუნოვანი იუბილე აღნიშნა გრანდიოზული ბანკეტითა და ინგლის-უელს-არგენტინასთან თამაშებით.

„ბარბაროსთა" სეზონურ კალენდარში აუცილებლად შედის სამი ლონისძიება: საშობაო თამაში ლესტერთან, სამარტო შეხვედრა ნორთჰემპტონში იქაური საგრაფოს ნაკრებთან და სააღდგომო ტურნე უელსში, სადაც პენარტთან, კარდიფთან, სვონზისა და ნიუპორტთან მატჩების გარდა მორაგბეები გოლფის საქველმოქმედო შეჯიბრსაც აწყობენ.

„ბარბაროსები" ტურნეებითაც სწვევიან სხვა ქვეყნებს — კანადას, სამხრეთ აფრიკას, საფრანგეთსა და რუსეთს (1992 წელს); არაერთხელ უასპარეზიათ ჰონკონგის შვიდკაცაზეც. ელისაბედ მეორის ალსაყდრების 25 წლისთავის ალსანიშნავად „ლომებსაც" შერკინებიან; მაგრამ ისინი ყველაზე მეტად მაინც ცნობილი არიან იმ ტრადიციული მატჩებით, დიდ ბრიტანეთში სტუმრად ჩასულ დიდ გუნდებს რომ უმართავენ ტურნეს ბოლოს.

ამ ტრადიციას საფუძველი 1948 წელს ჩაეყარა. ავსტრალიის ტურნე იწურებოდა, მასპინძლებს კი შემოსავლები ეცოტავებოდათ.

პოდა, ხაზინის შესავსებად ბრიტანული რაგბის მამებმა „ბარბაროსებს" სასეირო თამაშის მოწყობა შესთავაზეს. კლუბმა თავიდან შორს დაიჭირა წინადადება, ვინაიდან ეროვნულ ნაკრებთან გასაჯიბრებლად თავად ძალაუნებურად ბრიტანეთის ნაკრების გაყვანა მოუწევდა, მაგრამ მერე და მერე დაყაბულდა, ოღონდაც წესად დაიდგინა, რომ გუნდში აუცილებლად ჩაერიცხა თავის ქვეყნის ნაკრების მიერ თუნდაც ერთი ხელდაუსხმელი მორაგბე, ან არაბრიტანელი მიეწვია, ანაც მეტოქის რომელიმე გამორჩეული ნევერი თავისს რიგებში ეთამაშებინა მისსავე ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ.

„ბარბაროსებს" წესად აქვთ, ოდენ შეტევაზე იფიქრონ — მაშინაც, როცა ბურთს საკუთარ ლელოსთან დაეუფლებიან. ამგვარი თავზეხელაღებული ტაქტიკით მათ ხანდახან კი დაუმარცხებიათ სტუმარი, მაგრამ მეტწილად თავადვე წაუგიათ, რაკილა შეთამაშებულობა ჰკლებიათ. ასე ყოფილა თუ ისე, „ბარბაროსებისათვის" მოგება-წაგებას, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, დიდი მნიშვნელობა არასოდეს ჰქონია.

ბოლო ათწლეულში „ბარბაროსებმა" სამი შოუ წააგეს ავსტრალიელ „ვოლაბებთან", მაგრამ მათს საუკეთესო თამაშად დღემდე მიიჩნევენ 1973 წლის 27 იანვრის მატჩს, როცა წვეულმა გუნდმა კარდიფში ლელოებით 4-2 მოუგო „ოლ ბლექსს". იმ შეხვედრის მე-4 წუთზე უელსელმა 10 ნომერმა ბენეტმა და ირლანდიელმა შუამარბმა გიბსონმა თავის 22-დან შეუტიეს, მერე მათ სხვები წამოეშველნენ, ბოლოს კი უელსელმა 9 ნომერმა ედვარდზმა მარცხენა ფრთაზე გაიქროლა და შეტევა ლელოთი დააგვირგვინა.





## „ბარბაროსთა" აღლუმი

ამის შემდეგ „ოლ ბლექსმა" ბრიტანეთში კიდევ ორი თამაში გამართა. ჯერ შუა კვირაში, 30 ნოემბერს დევონპორტში მეორე შემადგენლობით ეთამაშა ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების ნაკრებს. სამხედროებმა ნახევარი თამაში კინკილა საჯარიმოს წყალობით მოიგეს, მაგრამ 65-ე წუთზე ზელანდიელთა კვაჭმა ნორმ ჰიუითმა გადამწყვეტი ლელო გაიტანა და სტუმრებმაც საბოლოოდ 15:3 გაიმარჯვეს.

ტურნეს ბოლოს, შაბათს, 4 დეკემბერს კარდიფის „არმზ პარკზე" ტრადიციულ სამადლობელ მატჩში „ოლ ბლექსი" შეეჯიბრა მსოფლიოს უძველესსა და უპირველეს წვეულ კლუბს — „ბარბაროსებს", სადაც ამ დღეს ექვსი ქვეყნის ვარსკვლავები გამოვიდნენ.

„ბარბაროსთა" შემადგენლობა ასეთი იყო: კლემენტი (უელსი); ვოკერი (უ), გიბსი (უ), ს.ჰეისთინგსი (შოტლანდია), სტეინჯერი (შ); ელვუდი (ირლანდია), არმსტრონგი (შ); ფოფლველი (ირლ), კინგსტონი (ირლ), მაკკენზი (ავსტრალია); ვეინრაითი (შ), ჯონზი (ირლ), რუმა (საფრანგეთი), ბექი (ინგლისი); კვინელი (უ). 15 და 11 ნომრებად თავიდან გ.ჰეისთინგსსა (შ) და ტ.ანდერვუდს (ინგ) უნდა ეთამაშათ, მაგრამ ტესტებში ორივე დაშავდა და კარდიფის თვალის სეირისთვის დროულად ვერ მოკეთდა. კაპიტნობა გევინმა ძმას — სქოთ ჰეისთინგსს გადააბარა, ხელდაუსხმელი მოთამაშე კი ნაილ ბექი იყო.

გამოსათხოვარი წარმოდგენისათვის „ოლ ბლექსმა" ისევ სატესტო გუნდი გაიყვანა. ერთი ეგ იყო, რომ კლარკის ნაცვლად შუამარბად ამომავალი ვარსკვლავი ლიი სთენსნესი დააბრუნა, ფრთის მორკინალ ჯოზეფის მაგივრად კი ლარსენი ათამაშა. ჯოზეფს თვიქნემის ტესტის პირველსავე წუთებზე კოჭში განზრახ ჩაურტყამს ბრაკანისათვის და „ოლ ბლექსის" უფროსობას ამგვარად დაუსჯია.

**ბარბაროსები 12 (12)**
**ოლ ბლექსი 25 (20)**

„ბარბაროსები" — 4ს: ელვუდი. „ოლ ბლექსი" — 3ლ: დაუდი, თუიგამალა, ი. ჯოუნზი; 2გ და 2ს: ვილსონი

მსაჯი რობენი (საფრანგეთი)

„ბარბაროსებმა", რაღა თქმა უნდა, ვერ გაიმეორეს 1973 წლის მიღწევა, მაგრამ ერთობ ღირსეულად კი ითამაშეს. „ოლ ბლექსი" დერეფანში მძლავრობდა, მაგრამ „ბარბაროსთა" შერკინება ავსტრალიელი მაკკენზის გამოისობით ერთობ სოლიდურად გამოიყურებოდა. ვილსონს ამჯერად აღარ დაუღალატებია გუნდი — თამაშის დასაწყისშივე ერთობ რთული მდგომარეობიდან გაიტანა საჯარიმო და გარდასახვა. სტუმრები იოლად დაწინაურდნენ და ერთთავადაც იგებდნენ, „ბარბაროსები" კი თავს მედგრად იცავდნენ. მატჩი დაამშვენა „ოლ ბლექსის" ბოლო ლელომ: 75-ე წუთზე სტუმრებმა ბარბაროსულად ითამაშეს, ბურთი 12-მა (!) ზელანდიელმა გაითამაშა და აყლაყუდა ჯოუნზმაც მეტოქის ლელოში დაამიწა.

ამრიგად დასრულდა წლის ბოლო დიდი ტურნე. ახალმა ზელანდიამ ბრიტანეთში (უპირატესად ინგლისსა და შოტლანდიაში) 13 თამაში გამართა, რომელთაგან 12 მოიგო, ერთი კი წააგო. ბურთების სხვაობაა 388:156.

## აქეთური, იქითური

სასამართლომ ავსტრიელ ჩოგბურთელ თომას მუსტერს კომპენსაციის სახით დაუდგინა ორნახევარი მილიონი დოლარი. საქმე ისაა, რომ შარშან კი-ბისკეინში, „ლიპტონ ინტერნეშენალის" დროს ჩოგბურთელს მანქანა დაეჯახა და ისე დააშავა, რომ მუსტერს ექვსი თვე გაუცდა. მერე და მერე ავსტრიელი მოკეთდა, ამჟამად ასპარეზობს კიდეც, მაგრამ ცალი მუხლი მაინც სტკივა. კომპენსაციის გადახდა, რაღა თქმა უნდა, იმ მანქანის მძღოლს დაეკისრა.

*

პუერტო-რიკოზე ათ დღეს მიმდინარეობდა ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის XVII სპორტული თამაშები. მასში 29 ქვეყნის 5 500 ათლეტი სპორტის 31 სახეობაში ეჯიბრებოდა ერთმანეთს. თამაშების გახსნაზე მსოფლიო სპორტის სამი დიდმოხელე — სამარანჩი, აველანჟი და ნებიოლო შეიკრიბა. მასპინძელთა ჩანაფიქრით, თუ დიდ გვამებს ღირსეულად უმასპინძლებდნენ, მაშინ ქვეყანას 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის შანსი გაუჩნდებოდა. თამაშების გამართვა თავიდან საგაისოდ იყო დაგეგმილი, მაგრამ იმის გამო, რომ წელს კოლუმბის მიერ პუერტო-რიკოს აღმოჩენის 500 წლისთავი შესრულდა, ღონისძიების ვადაც გადმოსწიეს. გახსნაზე საპატიო სტუმრებს სწორედ რომ კუნძულის ხუთასწლიანი ისტორიის ამსახველი წარმოდგენა უჩვენეს. თამაშებზე ყველაზე მრავალრიცხოვანი დელეგაციები ვენესუელამ, მექსიკამ და კუბამ მიავლინეს. უდიდესი წარმატება, რაღა თქმა უნდა, კუბამ მოიმკო. მისმა ძალოსნებმა რამდენიმე მსოფლიო რეკორდიც დაამყარეს, მაგრამ არენებზე ნაჩვენები შედეგები მთლად გააფერმკრთალა სხვა მიღწევამ: კუბის 500-კაციანი დელეგაციიდან 42-მა ითხოვა პოლიტიკური თავშესაფარი. როგორც კუბელთა ხელმძღვანელებმა ბრძანეს, ყოველივე ეს აშშ-ში მოკალათებული კონტრრევოლუციონერების, ე.წ. მატლების ოინების შედეგიაო: ეს გარეწრები თითოეულ ცდომილს თურმე 5 ათას დოლარს სთავაზობდნენ სოციალისტური სამშობლოს ღალატისათვის.

*

ლილეჰამერის ზამთრის ოლიმპიადა 12 თებერვალს იხსნება, ოლიმპიური ცეცხლი კი პარასკევს აანთეს ერთობ ორიგინალურად: ნორვეგიის ისტორიის მუზეუმის თანამშრომელმა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონი (!) ყოფილა პირველყოფილი მეთოდებით ცეცხლის გაჩაღებაში. ორი გამხმარ-გამომშრალი ტოტი ერთმანეთს უხახუნა და მეექვსე ცდით, როგორც იქნა, ცეცხლიც გააჩაღა ზედ შუაღამისას. ახლა ამ ცეცხლს ტრადიციული ესტაფეტით ოლიმპიადის გამართვის ადგილზე მიიტანენ.

*

წინა კვირაში დანიის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც 1994 წლიდან იმ დანიელ სპორტსმენებს, რომლებსაც ანაბოლური სტეროიდების ხმარებაზე გამოიჭერენ, ორ წლამდე ვადით პატიმრობას მიუსჯიან. დანიის ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, სტეროიდების ხმარება ორმაგი ჭირია: ერთი, რომ ჯანმრთელობისთვის ყოფილა საზიანო და მეორეც, სპორტის უმთავრეს პრინციპს ეწინააღმდეგებაო.

*

მრავალწლიანი დავა-კამათის შემდეგ ასევე წინა კვირაში რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმადაც რუსეთის ყველა სპორტული ორგანიზაცია გათავისუფლდა საშემოსავლო და საბაჟო გადასახადისაგან. პრეზიდენტს ყურად უღია სპორტული საზოგადოებრიობის ჩივილი, აქაო და სპორტის დაფინანსების ძველი წყაროები დაიშრიტა, გადასახადებმა მთლად უკაპიკოდ დაგვტოვა, რის გამოც რუსული სპორტი თანდათან კნინდებაო.

*

ლიგის რაგბის მსოფლიო საკლუბო ჩემპიონი „ბრისბენ ბრონკოუზი" ინგლისში შეჭრას ლამობს. ქვინზლენდელებს გადაუწყვეტიათ ლონდონში დაიარსონ ფილიალი „ბრიტიშ ბრონკოუზი", რომელიც ბრიტანეთის მეორე ლიგაში ითამაშებს და იმედისმომცემ ბრიტანელებსა და დალვინებულ, მაგრამ ჩამოწერილ ავსტრალიელებს გააერთიანებს.

აქეთური, იქითური

**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით და პარასკევობით
ინდექსი 66441
რაიონებისთვის გაზეთის ფასი სახელშეკრულებოა

რედაქციის მისამართი:
თბილისი 77, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში; ხომარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა
„მარდი"

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
სარედაქციო კოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მექველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)